საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

განცხადება

# კოდორისა და ჩხალთის ხეობებში საქართველოს სამხედრო ვერტმფრენების „გამოჩენასთან“ დაკავშირებით

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებულია გამოეხმაუროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის 2002 წლის 6 აგვისტოს № 1594 განცხადებაში გამოთქმულ მორიგ უსაფუძვლო ბრალდებებს.

განცხადება, ე. წ. „სანდო წყაროებზე“ დაყრდნობით, იტყობინება, თითქოსდა, კოდორის ხეობაში გამოჩნდნენ ქართული სამხედრო, მათ შორის, ამერიკული წარმოების „იროკეზის“ ტიპის ვერტმფრენები, რომლებიც საქართველოს ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში გადმოეცა.

ამის საფუძველზე საქართველოს ბრალად ედება აფხაზეთთან (საქართველო) დაკავშირებული შეთანხმებების უხეში დარღვევა. უფრო მეტიც, რუსი დიპლომატები ეყრდნობიან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და თბილისს პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ სწრაფვის არარსებობაში ადანაშაულებენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ზემოთქმული ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

აღნიშნულ რეგიონში საქართველოს არც ერთი სამხედრო ვერტმფრენს ფრენა არ განუხორციელებია. ხეობის მოსახლეობის მომარაგებისთვის, აგრეთვე, მესაზღვრეების როტაციისთვის გამოიყენება მხოლოდ სატრანსპორტო ვერტმფრენები. რაც შეეხება „იროკეზის“ ტიპის ვერტმფრენებს, გადმოცემის დღიდან ისინი მხოლოდ სასწავლო ფრენებს ასრულებენ მათი დისლოკაციის ადგილის მიმდებარე მკაცრად განსაზღვრულ რაიონებში (თბილისი, თელავი), რომლებიც ასობით კილომეტრითაა დაშორებული ზემოხსენებული ხეობიდან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დარწმუნებული არიან, რომ ეს მორიგი დეზინფორმაცია მხოლოდ რუსეთისა და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

2002 წლის 6 აგვისტო.

დემოკრატია

# კანონპროექტის განხილვა დაჩქარდება



სექტემბრის დამდეგს თბილისში საქართველოს ხელისუფლება და „თავისუფლების ინსტიტუტი“ ერთობლივად გამართავენ კონფერენციას, რომელზეც განხილული იქნება სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ კანონპროექტი. ამაზე შეთანხმდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე.

კონფერენციაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები. მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები საფუძვლად დაედება სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ კანონს, რომლის პროექტი თავისუფლების ინსტიტუტმა შეიმუშავა.

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის ლევან რამიშვილის განცხადებით, აღნიშნული კანონპროექტი შეჯერებულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალისტებთან და იგი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, მიმდინარე წლის დეკემბრისათვის მომზადდება კანონპროექტი მაუწყებლობისა და ტელეკომუნიკაციების შესახებ და მას სავარაუდოდ აპრილისათვის პარლამენტში წარადგენენ განსახილველად და დასამტკიცებლად.

„საჭიროა დაჩქარდეს ამ კანონების მიღება, ვინაიდან ეს აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვნად ჩამოყალიბებლად. ქვეყნის მთავრობა კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ პროცესს. მთავარია თავად კანონპროექტები იყოს ჰარმონიული ევროპის ანალოგიურ კანონმდებლობასთან,“ – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

საქინფორმი.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №193 (4252) შაბათი, 10 აგვისტო, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

„ღლავები“

## დიდ კორუფციაში ასეთი მათემატიკით საკუთარ თავს დავაქცევთ

სადღეისოდ ჩვენში ჩვეულებრივ ამბად იქცა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ჩალის ფასად გაყიდვა, სადღაც, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ კომპანიებთან ჩახუტება და ჩვენი ფულის მოუსავლეთში გადაქაჩვა. ვინ მოთვლის, – რამდენი ხელშეკრულება გაფორმდა სრულიად გასაიდუმლოებულ ფირმებთან, რომლებმაც აშენების, თანადგომის მაგიერ, დაგვაქციეს, გაგვაჩანაგეს.

2001 წლის 24 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური უშიშროების სამსახურში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმში“ დიდძალი ქონების გაფლანგვის ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური უშიშროების სამსახურის მიერ მოკვლეული მასალები, რომლებიც ეხება სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმსა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნოკინტერნის“ საქართველოს ფილიალს შორის განხორციელებულ სამეურნეო ოპერაციას. აი, წინასწარი გამოძიებით რა დადგინდა...

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტი

## შეხვედრა ინდონეზიის საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებულ ახალგაზრდა ფიზიკოსებთან

9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ახლახან ინდონეზიაში გამართული ფიზიკაში საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებული საქართველოს მოსწავლეთა გუნდის წევრები.



ოლიმპიადაში, რომელშიც 60-ზე მეტი ქვეყნის 300-მდე ახალგაზრდა ფიზიკოსი მონაწილეობდა, საქართველოს გუნდი საუკეთესოთა ათეულში შევიდა. კონკურსში მონაწილე ჩვენი ქვეყნის ხუთი წარმომადგენლიდან ორმა – ოქროს, ორმა – ვერცხლის, ხოლო ერთმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

გამარჯვებულები ჯორჯ სოროსის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილენი არიან, რომელიც საქართველოში უკვე 10 წელია ხორციელდება ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით. სწორედ სახელმწიფოს მეთაურის დამსახურებაა ისიც, რომ თბილისში საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ლიცეუმი არსებობს, რომლის მოსწავლეებიც არიან ოლიმპიადის ხუთივე მონაწილე.

ოლიმპიადის მონაწილე ჩვენი მოსწავლეების – ალექსანდრე ბიჯამოვის, სერგო ამირიანის, გიგა ჩქარეულის, ალექსი კარამიანისა და ივანე ჯორჯაძის გამარჯვებამ განაპირობა ის, რომ ორგანიზატორებმა წამოაყენეს კავკასიისა და ბალკანეთის ქვეყნების ფიზიკოსთა ოლიმპიადის დაწესების იდეა. პირველი კონკურსი სავარაუდოდ 2003 წლის გაზაფხულზე საქართველოში გაიმართება.

„მადლობას გიხდით ამ გამარჯვებისათვის, რომლითაც თქვენ არა მარტო თქვენი თავი, არამედ თქვენი მასწავლებლები და მთლიანად საქართველო ასახელეთ“, – მიმართა ახალგაზრდებს ედუარდ შევარდნაძემ. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, ეს ახალგაზრდა ფიზიკოსები ამიერიდან საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატები იქნებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ საქართველოს მეცნიერებაში საკუთარი წვლილი უკვე შეიტანეს.

საქინფორმი.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 9 აგვისტო თბილისი

### გიორგი მილორავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური და სახვითი ხელოვნების განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლების მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებისა და ქალაქის სამუზეუმო ფონდის გამდიდრებისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე გიორგი მილორავა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

შევეწიროთ!



### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| ირაკლი ანდრიაძე (უმცროსი) | – 100 ლარი; |
| გიორგი კვალიაშვილი | – 100 ლარი; |
| ლაშა გურგენიძე | – 15 ლარი; |
| თამაზ თუთარაშვილი | – 60 ლარი; |
| ლ. გრძელიძე | – 10 ლარი; |
| „საქ. ბანკის“ ვაკე-საბურთალოს ფილიალი | – 25 დოლარი. |

1999 წლის 16 აგვისტოს „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორის შუქრი გრიგალაშვილის განკარგულებით შემდგარი მიღება-ჩაბარების აქტით შპს „ნოკინტერნის“ საქართველოს ფილიალს გადაეცა 11.900.000 ლარის ღირებულების 700.000 ტონა ნარჩენები. სანაცვლოდ „ჭიათურმანგანუმმა“ 1999 წლის 21 აგვისტოს მიიღო 492.500 ლარის ღირებულების 2 ცალი „ბელაზის“ მარკის ავტოთვითმცლელი. ამ ოპერაციამ „ჭიათურმანგანუმი“ 11.425.444 ლარით აზარალა.

## საქართველომ დიდი ხელოვანი დაკარგა

დიდი მხატვარი დაკარგა თანამედროვე ქართულმა ხელოვნებამ, კოკა იგნატოვი, სულითა და ხორცით ქართველი ხელოვანი, დიდად აღიარებული და დაფასებული, არა მარტო აქ, არამედ უცხოეთშიც.

იგი სამოციანელთა ბრწყინვალე თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი გახლდათ თავისი სამაგალითო შემოქმედებით, ქართული გარეგნობით, ქართული ხასიათითა და ქართული ღირსებით. ამ თაობამ თვისებრივად განაახლა ქართული ეროვნული ცნობიერება, ახალი ესთეტიკა დაამკვიდრა, ახალი ენა შემოიტანა მხატვრობაში, მუსიკაში, მწერლობაში.

მე მქონდა დიდი ბედნიერება ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებთან მეთანამშრომლა, მათი ცხოვრებით მეცხოვრა, მათ გვერდით მებრძოლა და თუ ყოველი მათგანის წარმატება და მარცხი პირადად ჩემთვის აღიქმებოდა საკუთარ წარმატებად და მარცხად, ახლა ყოველი მათგანის სიკვდილით, თავად ჩემში კვდება რაღაც, მეტად მნიშვნელოვანი და შეუცვლელი.

ახლაც ასეა და სხვა ტკივილებსაც მიმძაფრებს.

კოკა იგნატოვს დიდი ტკივილი წაჰყვა თან იმ მთლიან საქართველოზე, რომლის რუკაც ასე შესანიშნავად დახატა, იმ მიწებზე, რომლებიც ქვეყანას მზაკვრულად ჩამოაჭრეს და იმ საკუთარ ბრწყინვალე პანოებზეც, ბიჭვინთასა და ცხინვალში რომაა მიტოვებული.

ჩვენც ვატკინეთ გული, როდესაც ვერ აღვკვეთეთ მთაწმინდის პლატოზე მისი პანოს ხელყოფა.

ჩვენ ვალდებული ვართ დავუბრუნოთ საქართველოს წართმეული მიწები და მივხედოთ კოკა იგნატოვის ნამუშევრებს.

ჩვენ ვალდებული ვართ არა მარტო აღვადგინოთ მთაწმინდაზე მისი დასახიჩრებული პანო, არამედ გავამთლიანოთ მისი საქართველოც.

საქართველომ დიდი ხელოვანი დაკარგა.

ვუსამძიმრებ ამ დიდ დანაკლისს მის ოჯახს, საქართველოს, ყველას, ვისაც კი დიდი ხელოვნება ჭეშმარიტად უყვარს.

მართალია, მისი ნახატები ჩვენთან დარჩა, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ჩვენს პალიტრას ერთი განუმეორებელი ფერი მოაკლდა და უფრო გახუნდა ყველაფერი.

ედუარდ შევარდნაძე.



კოკა იგნატოვი. „ფიროსმანის მონატრება“, ფრაგმენტი.

გიხაროდეს!

## მილოცვა ისრაელშიც მისწვდებათ

გურანდა ალუღიშვილმა თბილისის 67-ე სკოლა დაამთავრა; შემდეგ მან და ზაზა იზრაელოვმა სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი შექმნეს და ისრაელში, ქალაქ იზრაელ ხულონში დასახლდნენ. დღესაც იქ ცხოვრობენ. ჰყავთ უფროსი ვაჟი თემური;

ახლახან გურანდას კვლავ ვაჟი შეეძინა, – დაარქვეს დავითი.

– ბავშვი 3 კილოსა და 500 გრამს იწონის, 51 სანტიმეტრისაა, კაჟივით ბიჭია! – აცნობეს გურანდას მშობლებს თბილისში აზა სხილაძესა და ვახტანგ ალუღიშვილს. იქ კი ხულონში შეილიშვილის შეძენით მეორე ბებიამ ლია ათანელოვმა გაიხარა.

მახლობლებმა თბილისიდან მილოცვა ისრაელში მაშინვე აფრინეს., გურანდას ნათესავებისაგან შევიტყვეთ, რომ ისე, როგორც თემური, დავითიც ადრეული ასაკიდან ორი ქვეყნის – ისრაელისა და საქართველოს სიყვარულით აღიზრდებიან.



სიკეთე გვისურვებია ისრაელში მცხოვრებ ახალგაზრდა ოჯახისათვის. აქ ამ ოჯახის მახლობლებმა კი იციან, რომ ქართველი ებრაელები ჩვენს გაზეთს იქ წაიკითხავენ და ამ მილოცვასაც შეიტყობენ. ზაზა და გურანდა, იცოდეთ აქ ახსოვხართ და თქვენი ოჯახის სიხარულს იზიარებენ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სიტუაცია

## დაიწყო?



ორშაბათიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია დედაქალაქში საკრებულოს არჩევნების შედეგების გადასინჯვას დაიწყებს. შეგახსენებთ, უზენაესმა სასამართლომ თბილისის საკრებულოს საარჩევნო ოქმი გააუქმა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი საარჩევნო ოქმის შედგენა მხოლოდ ხმების ხელახალი გადათვლის შემდეგ მოხერხდება. არჩევნების შედეგებზე ხუთი ექვს-ექვსკაციანი ჯგუფი იმუშავებს.

ამ პროცედურის დასრულების ვადად ცესკოს ზოგიერთი წევრი ექვს თვეს ასახელებს. პარტიათა უმეტესობაც ვარაუდობს, რომ ეს პროცესი კარგა ხანს გაიწელება. მათგან განსხვავებით, ოპტიმისტურად არის განწყობილი საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი. მან „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში განაცხადა:

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

### მოლაპარაკება გაგრძელდება

საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, ორი ქვეყნის მოლაპარაკება გაგრძელდება როგორც ყოვლისმომცველი ხელშეკრულების, ისე სამხედრო ბაზების თაობაზე. ეს განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა კახა სიხარულიძემ 9 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე.

„იმ შემთხვევაში, თუკი ეს მოლაპარაკება შეჩერდა, ეს იქნება იმ ძალების გამარჯვება, რომელთაც რუსეთ-საქართველოს მხოლოდ გართულებული ურთიერთობა სურთ. ეს კი არ მოხდება, ვინაიდან ჩვენ, ორი ქვეყანა საერთო ენას მაინც გამოვნახავთ,“ – განაცხადა კახა სიხარულიძემ.

### ჩეჩენ მოთარეშეებს „ლეფორტოვოში“ კვლავ ელიან

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის ინფორმაციით, თბილისში ჩამოსულია რუსეთის პროკურატურის გამომძიებელთა ჯგუფი დაკავებული 13 ჩეჩენის ექსტრადაციასთან დაკავშირებით.

როგორც პრაიმ-ნიუსს თედო ჯაფარიძემ უთხრა, რუსეთის პროკურატურის თანამშრომლები ამჯერად „უფრო კარგად მომზადებული“ არიან, ვიდრე რამდენიმე დღის წინათ ამ საკითხზე ჩამოსული რუსეთის გენერალური პროკურორი ვლადიმერ უსტინოვი.

ამასთან, ჯაფარიძემ თქვა, რომ იგი არ ფლობს ინფორმაციას, ჩამოიტანეს თუ არა რუსმა სამართალდამცავებმა ჩეჩნების ბრალეულობის დამამტკიცებელი რაიმე დოკუმენტები.

ჯაფარიძემ თქვა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჩეჩნებთან დაკავშირებით შესაბამისი ნოტები მიიღო.

მისი თქმით, დიპლომატიური და სხვა არხების მეშვეობით მიმდინარეობს პოლიტიკური დიალოგი, თუმცა, ეს იქნება „ხანგრძლივი, რთული და დელიკატური ხასიათის პროცედურა“.

### საზღვართან დამატებითი საგუშაგო გაიხსნა

ქართველ მესაზღვრეებს ინფორმაცია აქვთ, საქართველოში ჩეჩენ ბოევიკთა შეჭრის მორიგი მცდელობის შესახებ და საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე დამატებითი საგუშაგო გახსნეს. ამის შესახებ აცნობა პარასკევს პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კორნელი სალიამ.

მისი თქმით, ამ მიმართულებით ასევე, ფორმირებულია მოტოსამანევრო ჯგუფები.

კორნელი სალიამ წუხილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მხარის არაერთგზის წინადადების მიუხედავად, რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ-კავკასიის რეგიონულ სამმართველოსთან მუდმივი კონტაქტის დამყარება ვერ ხერხდება.

### გაიმართა ნადარეიშვილის მხარდამჭერი მიტინგი

აფხაზეთის მეომართა და მებრძოლთა კავშირმა, დევნილთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ დაუჭირეს მხარი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს. ამ მიზნით 9 აგვისტოს აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს რომ ქვეყნის ხელმძღვანელობამ საშუალება მისცეს აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას აქტიური მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის საქმეში.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

მეუღლესთან, რომელიც იყო ქვრივი და ჰყავდა 1 შვილი, შემეძინა 8 შვილი, ასე, რომ გავხდი 9 შვილის დედა, რადგან ობოლ ბიჭსაც მე ვზრდიდი. მეუღლე გარდაიცვალა 1999 წელს.

ამჟამად პენსიას იღებს მხოლოდ უმცროსი შვილი, ხოლო როდესაც ისიც სრულწლოვანი გახდება, მაშინ მე შემისრულდება 55 წელი.

გთხოვთ განმიმარტოთ, როგორც ცხრა შვილის დედა, ვისარგებლებ თუ არა რაიმე შეღავათით, რომ პენსია დამენიშნოს ადრე, თუ ჩემზეც 60 წელი ვრცელდება?

აგრეთვე, მაინტერესებს, მეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება?

ნინო სორდია.

მოქმედი კანონის შესაბამისად, ქალებს, მათ შორის მრავალშვილიან დედებს მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 60 წლის შესრულების შემდეგ, არანაკლებ 20 წლის შრომის სტაჟით.

1997 წლიდან შემცირებული ასაკით პენსიის დანიშვნა საქართველოში მცხოვრებ ადრე შეღავათის მქონე ყველა კონტინგენტზე, სამწუხაროდ, შეჩერებულია.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 26 მარტის ბრძანებულების შესაბამისად ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 16 წლამდე ასაკის ბავშვი, ენიშნებათ სოციალური (ოჯახური) დახმარება თვეში 35 ლარის ოდენობით.

ვინაიდან თქვენი რვა შვილი უკვე სრულწლოვანია, აღნიშნული დახმარების დანიშვნის უფლებას ვერ იპოვებთ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +19; | დღისით +32; |
| მთაში: | ღამით +15; | დღისით +30; |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +20; | დღისით +35; |
| მთაში: | ღამით +14; | დღისით +29; |

**თბილისში**

მცირე მოღრუბლულობა, საღამოთი ღრუბლიანობა. ღამით +20; დღისით +34.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

9 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.3446 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.18 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1172 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.069 ლარი. |

უკანასკნელ საათს



ლონდონის სასამართლომ ტერორიზმის პროპაგანდაში უდანაშაულოდ ცნო ავტორი ვებსაიტისა, რომელზეც შეიძლება ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა და აღმოსავლური ორთაბრძოლების კურსებზე ჩაწერა. დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს სულეიმან ზაინ-ულ-აბიდინს ბრალად სდებდნენ, რომ იგი ბოევიკებს კრებდა ჯიჰადში – ისლამის წმინდა ომში მონაწილეობისათვის. ეჭვმიტანილი 11 სექტემბრის მოვლენიდან სამი კვირის შემდეგ დააკავეს.

ვაშინგტონს ესტუმრნენ ერაყის ოპოზიციური ჯგუფების ლიდერები. ისინი მოლაპარაკებებს გამართავენ ამერიკის მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირებთან. ვარაუდობენ, რომ შეხვედრისას ძირითადი ყურადღება დაეთმობა აშშ გეგმების განხილვას ერაყის ლიდერის სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის თაობაზე.



ინტერპანორამა

პაკისტანის მთავრობამ ისლამაბადის ახლოს მომხდარი აფეთქებისთვის პასუხისმგებლობა დააკისრა ანტიამერიკულ ისლამისტ ექსტრემისტებს: 3 პაკისტანელი მედდა დაიღუპა და 25 ადამიანი დაშავდა ქრისტიან მისიონერთა საავადმყოფოსთან ხელყუმბარის აფეთქების შედეგად.



ნოვოროსიისკში საგანგებო მდგომარეობაა შემოღებული შავი ზღვის სანაპიროზე სტიქიური უბედურების გამო. როგორც იუწყებიან, 21 კაცი დაიღუპა და 100-მდე უგზოუკვლოდ დაიკარგა წყალდიდობის შედეგად.



კამბოჯის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გაამკაცრებს ზომებს სექსუალური ექსპლუატაციის აღსაკვეთად. გაძლიერდება პოლიციის ზედამხედველობა სასტუმროებისა და სხვადასხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობებისადმი. ეს ნაბიჯები მიმართული იქნება ე. წ. სექს-ტურისტთა წინააღმდეგ, რომელთაგან ბევრი პედოფილია.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

## ოფიციალური ინფორმაცია

# მიენიჭათ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის სტიპენდიები

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცდა განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტების მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება და საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნათ: **გიორგი ავალიშვილს, მარიამ ავალიშვილს, შალვა ავთანდილაშვილს, გიორგი ანჯაფარიძეს, ანა არგანაშვილს, მარიამ ასრიევას, ომარ ბაკურაძეს, ნინო ბარნაბიშვილს, შალვა ბარჯაძეს, ნინო ბაჩუკაშვილს, თამარ ბერაიას, ნათია ბერაიას, გიორგი ბუბაშვილს, მეგი გაბუნიას, მერაბ გაგუნაშვილს, დავით გეჯაძეს, გიორგი გვანცელაძეს, სოფიო გვეტაძეს, ზურაბ გიგაიას, გენადი გოგიაშვილს, მოთა გოგოძეს, გიორგი გოდერიძეს, ლუბა გოლოვინას, ბესარიონ გოჩაშვილს, სოფიო გულიაშვილს, ირაკლი გუნიას, ნუცა გურემიძეს, ივანე დათუნაშვილს, გიორგი დალაქიშვილს, გიორგი დანელიას, სოფიო დაუშვილს, რამაზ დევაძეს, ანა დოლიძეს, ეკა დოლიძეს, ამირან ელბაქიძეს, არჩილ ელიზბარაშვილს, ნატო ვეფხვაძეს, ზურაბ ზვიადაურს, ოთარ თუმიშვილს, მაია კაპანაძეს, ნინო კერესელიძეს, თინათინ კეშელავას, დავით კიკაბიძეს, ლევან კიკნაველიძეს, ზურაბ კიღურაძეს, ნიკოლოზ კომახიძეს, გიორგი ლაცაბიძეს, დავით ლომიაშვილს, თამარ ლომიძეს, ანა ლომსარიძეს, თამარ ლომსაძეს, კახა მამულაშვილს, დავით მარგოშვილს, სალომე მახარაშვილს, მარიამ მაღრაძეს, მიხეილ მებონიას, მიხეილ მესხს, ვლადიმერ მკერვალიშვილს, ალექსი მოდებაძეს, თამარ მოსიძეს, ნინო მუსაშვილს, მარიამ მუქერიას, მიხეილ ნადირაშვილს, ანა ნანუაშვილს, ქეთევან ორჯონიკიძეს, მორენა პავლიაშვილს, მარიამ როინიშვილს, ნეკა სებისკვერაძეს, ქეთევან სეფაშვილს, დავით სილაგაძეს, ზვიად სისაურს, თამარ სტურუას, ნინო სურგულაძეს, ნინო ტაბატაძეს, აკაკი ტიკარაძეს, ანა ტიტვინიძეს, ეკატერინე ტოგონიძეს, ანა ფარჯიანს, ალექსანდრე ქურიძეს, მოთა ღვინეფაძეს, ირაკლი ყალიჩავას, გიორგი შამანაურს, დავით შამანაურს, კონსტანტინე მანავას, გივი მუზბითიძეს, გოჩა ჩხაპელიას, ანა ცარციძეს, არჩილ ცისკარიძეს, ნესტან ცისკარიძეს, ირაკლი წოწორიას, ლალი ჭელიძეს, მარიამ ჭიჭიეეიშვილს, დავით ჭკუასელს, ირაკლი ჭოჭუას, დავით ხატიძეს, ნუნუ ხეცურიანს, ვახტანგ ხოსიტაშვილს, ლელა ჯავახიშვილს, თინათინ ჯამბურიას, სალომე ჯანელიძეს.**

საქინფორმი.

## კვების პროდუქტების ფალსიფიკაციის გამოსავლენად

**კვების პროდუქტების ფალსიფიკაციის გამოვლენის სამუშაოთა ფინანსური უზრუნველყოფის ღონისძიებათა განსახორციელებლად საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება.** ამ დოკუმენტის თანახმად, სამომხმარებლო ბაზრის უხარისხო და ფალსიფიცირებული კვების პროდუქტებისაგან დაცვის მიზნით „სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურს ნება დაერთო ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ლაბორატორიული გამოცდების (ტესტირების) მომსახურება განახორციელოს დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

მომსახურების საფუძველზე მიღებული შემოსავალი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის შემდეგ ჩაირიცხება სახელმწიფო ხაზინაში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურისათვის გახსნილ სპეციალურ (არასაბიუჯეტო) სახსრების ანგარიშზე და მოხმარდება ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, აგრეთვე სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და დასაქმებულ მუშაკთა მატერიალურ წახალისებას.

საქინფორმი.

## სახელმწიფო მინისტრი

# ქართველი სპეციალისტები ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში პროფესიულ გადამზადების კურსს გაივლიან

[illegible] ...ფონდის ხელშეწყობით განხორციელდება.

9 აგვისტოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ჩვენს ქვეყანაში მყოფი ფატეს აღმასრულებელი დირექტორი ელენ სარაო და ამერიკის წამყვანი უნი- [illegible] ...ველო მეირჩა. ფატეს აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, რომ მისი წარმატებული განხორციელების შემთხვევაში ანალოგიური პროგრამები და ტრენინგები გაგრძელდება.

საქინფორმი.

# ინვალიდებით დასაქმებულ საწარმოებს ბიუჯეტში შეტანილი მოგების გადასახადი უკან დაუბრუნდებათ

**– საწარმოებს, სადაც ინვალიდები არიან დასაქმებული, მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების გადასახადის სახით შეტანილი თანხა უკან დაუბრუნდებათ, – ეს გადაწყვეტილება მიიღეს 9 აგვისტოს სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ შეზღუდული შესაძლებლობის პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე.**

ფინანსთა სამინისტრომ, რომელსაც უკვე აქვს გარკვეული მონაცემები, ერთი კვირის ვადაში მოითხოვა ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან ამგვარ საწარმოთა სრული ნუსხა. იმის მიუხედავად, რომ ამ გადაწყვეტილებამ ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობის საკოორდინაციო საბჭოს წევრები სრულად არ დააკმაყოფილა, მათი აზრით, ამ ეტაპზე, ინვალიდთათვის შეღავათის აღდგენის თვალსაზრისით, ეს ყველაზე მისაღები წინადადება იყო. რაც შეეხება 2003 წლის ბიუჯეტში ინვალიდთა საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამების გაფართოებას, სხდომაზე აღინიშნა, რომ მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის და შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები ერთობლივად შეიმუშავებენ სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მიზნობრივი სუბსიდიების 3-დან 6 მილიონამდე გაზრდას. კერძოდ, თანხა მოხმარდება რეაბილიტაციის, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური სფეროს პროგრამების დაფინანსებას.

საქინფორმი.

## შემთხვევა

# ტრაგედია რიკოთის უღელტეხილზე

9 აგვისტოს, დილის 5 საათისათვის, რიკოთის უღელტეხილზე, გვირაბის გასასვლელში ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეეჯახა მიკროავტობუსი და „ლაზის" მარკის ავტობუსი. მიკროავტობუსი ხევში გადაიჩეხა. ავტოავარიის შედეგად დაიღუპა 7 და დაშავდა 9 მგზავრი.

დაშავებულები მოათავსეს [illegible] ზესტაფონისა და ხაშურის საავადმყოფოებში, მათგან ერთის მდგომარეობა მძიმეა.

საქინფორმი.

## დაჯილდოება



### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 9 აგვისტო ქ. თბილისი

**საქართველოს განათლების დარგის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

[illegible] ...**მანანა კაპიტივაძე** – ბაღდათის რაიონის სოფელ დიმის №1 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი; **ბაბუცა კვირკველია** – ჩხოროწყუს №1 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; **თინა ჩხეიძე** – ბაღდათის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის №2 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **ლია ხურცილავა** – ბოლნისის №1 საშუალო სკოლის დირექტორი.

ედუარდ შევარდნაძე.

## კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

**გ. ხარაძის საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ**

დამტკიცდეს აკადემიკოსი **გიორგი ხარაძე** საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მიხეილ ლაპიაშვილი** გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ძალადაკარგულად არის ჩათვლილი „თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის მ. ლაპიაშვილის საქმის განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 16 იანვრის № 42 განკარგულება.

მიხეილ ლაპიაშვილის თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო ასევე ძალადაკარგულადაა ჩათვლილი „მ. ლაპიაშვილისათვის თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 28 ივლისის № 793 განკარგულება.

საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით **დავით სახვაძე** გათავისუფლდა ხარაგაულის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან პირადი განცხადებით „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

საქინფორმი.

## ორი ამერიკული გრანტი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის

[illegible] ...ხელს უწყობს ის საგრანტო ხელშეკრულება და საგრანტო ხელშეკრულების შესწორება, რომლებსაც 9 აგვისტოს ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩვენს ქვეყანაში რიჩარდ მაილსმა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ. პირველი – 683 ათასი ამერიკული დოლარის გრანტი მოხმარდება მიწისქვეშა გაზის საცავის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მესწავლას, მეორე კი – 270 ათასი დოლარის გრანტი – გარემოს დაცვის დარგში საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის კონსულტანტის მომსახურების გაგრძელებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტებში. ორივე გრანტი გამოჰყო ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ.

## დააკავეს პოლკოვნიკ ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილი

**ამიერკავკასიაში რუსეთის სახარისო დაჯგუფების შტაბის პოლკოვნიკის იგორ ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დავით გაზაშვილის ბრალდების საკითხს, პროკურატურა მაბათს გადაწყვეტს.**

**როგორც პრაიმ-ნიუსს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა თამაზ გეთიამ განუცხადა, ამ ეტაპზე გაზაშვილი ეჭვმიტანილის სახით იკითხება და გამოკვეთილია ერთი – იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდება.**

**პროკურორი არ ასახელებს მკვლელობის კონკრეტულ მოტივებს და აცხადებს, რომ, სავარაუდოდ, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე პირადი ანგარიშსწორების მიზნით მოხდა.**

**მისი თქმით, საქმის გამოძიების პროცესში ჩართულია რუსეთის სამხედრო პროკურატურა, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით სამსახურებრივ მოკვლევას აწარმოებს.**

**ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილი გაზაშვილი სამართალდამცავებმა მისივე საცხოვრებელ სახლში პარასკევს, საღამოს დააკავეს, საიდანაც უცხოური წარმოების ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. პირველ ჩვენებებში ეჭვმიტანილი თავს ნაწილობრივ დამნაშავედ სცნობს.**

**45 წლის დავით გაზაშვილი, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, ზაიცევის თანამშრომელი იყო. იგი ამიერკავკასიაში რუსეთის სახარისო დაჯგუფების შტაბში მსახურობდა, საიდანაც ორი წლის წინათ გაათავისუფლეს. იგი ამჟამად არსად არ მუშაობს.**

**27 ივლისს დაკარგულ იგორ ზაიცევის გვამი, სამართალდამცავებმა ხუთშაბათს საღამოს ჯიქიას ქუჩაზე, ტყეში დამარხული იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მისი სიკვდილის მიზეზი ქალა-ტვინის ტრავმა გახდა.**

**საგარეო საქმეთა სამინისტროში „უპასუხისმგებლო" უწოდეს რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადებას, რომლითაც თბილისში პოლკოვნიკ იგორ ზაიცევის მკვლელობა საქართველოს მიერ დაწყებული „ანტირუსული კამპანიის" გაგრძელებაა.**

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

## სიტუაცია

# დაიწყო?

(პირველი გვერდიდან)

– შედარებისათვის გეტყვით, ჩვენმა საგამოძიებო კომისიამ ქუთაისის მეექვსე საარჩევნო უბნის გადასინჯვა დაიწყო. ამ უბანში დარღვევებთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი საჩივარი იყო შემოსული. ქუთაისში კენჭს 196 კანდიდატი იყრიდა. ამომრჩეველს ჰქონდა 15 ხმა (მაჟორიტარულ პრინციპზე 15-წევრიანი საკრებულო ირჩეოდა). ასეთი რთული უბნის გადასინჯვა ჩვენ ორ დღეში შევძელით. ამასთან, ამავე უბანთან მიმაგრებული იყო 73-ე სამხედრო უბანი. მიუხედავად ამისა, [illegible] დარღვევები იყოლია. ჩემი გათვლით, თითოეულმა ჯგუფმა დღეში ორი უბნის გადათვლა უნდა მოასწროს. ასე, რომ საშუალოდ დღეში 10 უბანი გამოდის. 400 უბნის გადათვლა 40 დღეში თავისუფლად მოესწრება. ეს პროცესი სექტემბრის შუა რიცხვებში უნდა დასრულდეს.

მაგრამ უიმედოდ არიან ზოგიერთი პარტიები. მათი უმეტესობა ვარაუდობს, რომ ეს პროცესი თვეობით გაგრძელდება. საკრებულოს შეკრება მე ძალიან მეეჭვება. გადათვლა ნიშნავს ჩაშლას, მაგრამ თუ საკრებულო შეიკრიბება, სიტყვას არ გადავალთ, მხარს სააკაშვილს დავუჭერთ. როგორც ჯორდანო ბრუნო იძახდა დაწვის წინ, დედამიწა ბრუნავსო, აი, ჩვენც ასე მხარს მაინც სააკაშვილს დავუჭერთ, – სიტყვას არ გადადის ნათელაშვილი. არადა, მისი პარტია სწორედ ამ მიზეზით გაიხლიჩა. თუმცა, ნათელაშვილი ამაზე იუმორით ამბობს: 2019 წელს დედამიწას ასტეროიდის დაჯახების საფრთხე ემუქრება, რომელმაც, შესაძლოა, ჩვენი ცივილიზაცია გაანადგუროს. ვფიქრობ, ეს უფრო [illegible] ტის შიგნით მიმდინარე პროცესები არ უნდა გაინტერესებდეთო.

ამბობენ, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობა ავთანდილ ტყებუჩავას უნდოდა, თვითონ ტყებუჩავა ამას უარყოფს, თუმცა ძველი „შეფის" მისამართით უკმაყოფილოდ აცხადებს: – ხალხმა შალვა ნათელაშვილს მხარი იმ ლოზუნგებისთვის დაუჭირა, რითაც არჩევნების წინ გამოდიოდა. რომ ყვირიხარ, ჩვენ მოვსპობთ კორუფციას და ქვეყანას მძარცველებისგან გავათავისუფლებთო, კეთილი უნდა ინებო, შეასრულო და გამარჯვების შემდეგ პასუხისმგებლობა სხვებს არ უნდა გადააბარო.

განხეთქილება მხოლოდ „ლეიბორისტებში" როდია. საუბრობენ იმაზეც, რომ „ნაციონალური მოძრაობა" მისმა ერთ-ერთმა თავმჯდომარემ რეზო შავიშვილმა დატოვა. თუმცა ნაციონალური მოძრაობა ამას უარყოფს და საკრებულოს არჩევნების გარშემო მიმდინარე პროცესების საერთაშორისო საზოგადოებისთვის აფიშირებას იწყებს. არადა, თუ საარჩევნო განცხადების პირველ ვარიანტს ვნახავთ, ცხადი გახდება, რომ შექმნილი სიტუაცია სწორედ მათმა სარჩელმა გამოიწვია.

ამასთან, ძნელია, ლოგიკა მოუძებნო საკრებულოში გასული პარტიის საქციელს, რომელიც [illegible] ეს ქმედება მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მხოლოდ პროფილაქტიკური ღონისძიება ყოფილა და სხვა არაფერი. საკრებულოს შეკრებას ხელს არანაირად არ უშლიდაო (!)

ასეა თუ ისე, ცესკოში გადათვლის პროცესი დაიწყო. ერთი კია, კვლავ გაურკვეველია, როდის დაიწყება სამუშაო დარბაზში კონდიციონერების დამონტაჟება, რის გარეშეც გამორიცხული არ არის ცესკოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა შედეგების გადათვლაზე კვლავ უარი განაცხადონ.

მზია გელენავა.

## „ვიზიტი"

# კმაყოფილია სოხუმი, კმაყოფილია მოსკოვიც

**სეპარატისტთა მთავრობის ხელმძღვანელმა ანრი ჯერგენიამ გამოთქვა კმაყოფილება აფხაზეთში რუსეთის დელეგაციის ვიზიტის შედეგების გამო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ანდრეი პეტროვი, ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მუხამედ ციკანოვი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე საგარეო პოლიტიკის საკითხებში ალექსი სიტინი, მთავრობის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილე ანდრეი დემენტიევი, „სახმშენის" და ფედერალური ქონების რუსეთის ფონდის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები.**

ჟურნალისტებთან საუბრისას ჯერგენია ამტკიცებდა, რომ „რუსეთის დელეგაციის ვიზიტმა მოგვეცა შესაძლებლობა გამოგვეტანა დასკვნა იმის თაობაზე, რომ საჭიროა შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი აფხაზეთში. გაჩნდა კონკრეტული ეკონომიკური გეგმების, ვაჭრობის სფეროში ურთიერთხელსაყრელი პროექტების რეალიზაციის შესაძლებლობა".

რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი პეტროვმა აღნიშნა, რომ „ერთობლივი პროექტების განხორციელებას ამჟამად ხელს უშლის ფინანსური და საბაჟო პრობლემები". პეტროვს მიაჩნია, რომ „ფსოუზე გამავალ საზღვარზე საბაჟო პროცედურების, ტვირთისა და საქონლის გატარების გამარტივება დადებით გავლენას მოახდენდა სავაჭრო ურთიერთობაზე". გარდა ამისა, როგორც მან თქვა, საბანკო ურთიერთობის უქონლობაც უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, საინვესტიციო კლიმატზე.

კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა მხარი დაუჭირა მდინარე ფსოუზე გამავალ საზღვარზე ადამიანების გადაადგილებისა და ტვირთის ნაკადის გატარების რეჟიმის გამარტივებას. ქალაქ სოჭის მერმა ლეონიდ მოსტოვოიმ პირველრიგისეული ამოცანა უწოდა „ვითარების გაუმჯობესებას საზღვარზე, სასაზღვრო გადასასვლელებზე გამტარუნარიანობის გადიდებას, რაც გაზრდის ტვირთების მიწოდებას როგორც აფხაზეთში, ისე რუსეთში". მან გამოთქვა მზადყოფნა „შეუწყოს ხელი ქალაქ სოჭის უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზეთის საკურორტო სფეროს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას".

საქინფორმი.

## ბრიფინგი

# შფოთიანი ორი კვირა

### ზაფხული ინფექციების გავრცელების სეზონია

– ითქვა ამ დღეებში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე. გასული ბოლო ორი კვირა დაძაბული ეპიდსიტუაციით აღინიშნა. კერძოდ, ადიგენსა და ქობულეთში მომხდარ ფაქტებს მოსახლეობაში პანიკა მოჰყვა, – თქვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა **რამაზ ურუშაძემ.** ადიგენის რაიონში 200-კაციანი სარიტუალო სუფრის 125 მონაწილე, რომელთა შორის 16 ბავშვია, საკვებით მოიშხამა, რაც საკვებად უვარგისმა ფრინველის ხორცმა, კრემიანმა ნამცხვარმა და ლიმონათმა გამოიწვია. ადიგენის საავადმყოფომ რომ ვერ დაიტია, მოშხამულების ნაწილი ახალციხის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ ყველას დიარეული დაავადება აღენიშნებოდათ, რასაც ახლდა თავის ტკივილი, გულის რევა და ღებინება. მათ მაშინვე დაუნიშნეს შესაბამისი მკურნალობა.

ადიგენში თბილისიდან ოპერატიულად ჩავიდნენ ექიმები, სანიტარიული სამსახურის და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობას კოორდინაციას უწევდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ქალბატონი მარინა ღუდუშაური. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა არც ერთ მოშხამულს არ აღენიშნებოდა. ყველა მათგანი მკურნალობას დაექვემდებარა. თითოეული ავადმყოფი გამოიკვლიეს. ისინი უკვე გაეწერნენ და მათ ადგილებზე მეთვალყურეობას უწევენ.

ბატონმა რამაზ ურუშაძემ მარნეულში მომხდარი ფაქტის შესახებაც აღნიშნა: ერთი ოჯახის ოთხი წევრი ჭის წყლის დაბინძურების გამო, – სამი მუცლის ტიფით, ხოლო ერთი – სალმონელოზით დაავადდა. მათ ახლა რუსთავის საავადმყოფოში მკურნალობენ.

**ცხინვალიდან** ჩამოსულ მოქალაქეს ბოტულიზმი დაუდგინდა, მას ცხინვალში შეძენილი სათალი უჭამია. ფოთში კი A ჰეპატიტის სამი შემთხვევა დაფიქსირდა, – თქვა რამაზ ურუშაძემ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო ბრიგადა სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობის მასობრივ გასინჯვებს კვლავაც განაგრძობს. ისინი იყვნენ მთა-თუშეთში, ფოთში, არასრულწლოვანთა კოლონიაში. პატიმართა მოთხოვნის საფუძველზე სხვადასხვა პროფილის ექიმებთან ერთად ბრიგადაში მონაწილეობდნენ სტომატოლოგებიც.

ქობულეთში მომხდარი ფაქტის მიზეზები მართლაც გაკვირვებას იწვევს. ზოგიერთების საქმისადმი დაუდევარი, ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. საქმე ის გახლავთ, რომ იმერეთის განათლების სამხარეო სამმართველომ 98 წარჩინებული მოსწავლე ქობულეთში დასასვენებლად გაგზავნა, რომელთაც თან 12 მოზრდილი ახლდათ. ისინი კერძო სექტორში დააბინავეს და იქვე ახლოს სანატორიუმ „აიას" ხელმძღვანელობას (სადაც ახლა დევნილები ცხოვრობენ) სთხოვეს მათთვის პირველ სართულზე გაუქმებული კვების ბლოკი დაეთმოთ, რაზეც თანხმობა მიიღეს. აღნიშნულ კვების ბლოკში საჭმელი ყოველგვარი სანჰიგიენური ნორმების დაუცველ პირობებში მზადდებოდა, – თქვა მთავარმა სახელმწიფო სანიტარიულმა ექიმმა **ნიკოლოზ შავდიამ.** მანვე აღნიშნა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელებმა შეიძინეს შეუმოწმებელი 67 კილოგრამი საქონლის ხორცი. გამყიდველს დარჩენილი ხორცის ნაწილი ყოველი შემთხვევისთვის შესამოწმებლად ბათუმის ვეტერინარულ ლაბორატორიაში მიუტანია, ვინაიდან მას დაცემული საქონელი დაუკლავს და როგორც ჩანს, ეჭვიც ჰქონდა. მას მეორე დღეს ემცნო, რომ საქონელი ცოფით ყოფილა დაავადებული. ამ ამბავს ქობულეთში დიდი პანიკა მოჰყვა, ამასთან დაკავშირებით თბილისიდან ქობულეთში სასწრაფოდ ჩავიდა სპეციალისტთა ჯგუფი და 190 ადამიანს ვაქცინაცია ჩაუტარა.

ექიმების მტკიცებით, მოხარშული ხორცი ადამიანებში ცოფს არ იწვევს. დაინფიცირება მხოლოდ მოუხარშავი ხორცის დამუშავების დროს, ან დასნებოვნებული ხორცის დამუშავების დროს გამოყენებული დანის გაუსუფთავებლად კვლავ გამოყენებით არის შესაძლებელი. ცოფისგან დაცვის მკურნალობის სრულ კურსს ახლა 38 ადამიანი გადის, რომელთაც შეხება ჰ ქონდათ უმ ხორცთან.

როგორც მინისტრმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა – ადგილობრივმა სანიტარიულმა სამსახურმა საქმე პროკურატურას გადასცა კონკრეტული პიროვნებების ბრალეულობის დასადგენად.

დასანანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უპასუხისმგებლობის, მოსახლეობის დაუდევრობისა და მოსახლეობის დაბალი სამედიცინო კულტურის გამო კინაღამ ადამიანები დაიღუპნენ, – თქვა მინისტრმა.

ბელა დურგლიშვილი.

## „ღლავები" დიდ კორუფციაში

# ასეთი მათემატიკით საკუთარ თავს დავაქცევთ

(პირველი გვერდიდან)

შუქრი გრიგალაშვილმა, რომელიც მუშაობდა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" დირექტორად მადნის გამდიდრებისა და ეკოლოგიის საკითხებში, ამავე საზოგადოების აწ გარდაცვლილ გენერალურ დირექტორ ოლეგ ბუცხრიკიძესთან ერთად, 1999 წლის 21 მაისს გააფორმა სპეციალური ხელშეკრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნოკინტერნის" საქართველოს ფილიალთან. „ნოკინტერნს" 250.000 დოლარის ღირებულების ორ „ბელაზის" მარკის ავტოთვითმცლელში უნდა მიეღო 700.000 ტონა მანგანუმის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული ნარჩენები (ერთი ტონა 0,357 დოლარად). ეს ნარჩენები შეადგენდა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონების ნაწილს.

ხელშეკრულების დადება, კანონის შესაბამისად, არ შეთანხმებულა აქციონერთა საერთო კრებასთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან. თუმცა, საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული მატერიალური ფასეულობების რეალიზება და საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირება მხოლოდ მათს კომპეტენციას წარმოადგენდა. ისინი აინუნშიაც არ ჩააგდეს.

ხელშეკრულების საფუძველზე, 1999 წლის 16 აგვისტოს „ჭიათურმანგანუმის" დირექტორის შუქრი გრიგალაშვილის განკარგულებით შემდგარი მიღება-ჩაბარების აქტით შპს „ნოკინტერნის" საქართველოს ფილიალს გადაეცა 11.900.000 ლარის ღირებულების 700.000 ტონა ნარჩენები. სანაცვლოდ „ჭიათურმანგანუმმა" 1999 წლის 21 აგვისტოს მიიღო 492.500 ლარის ღირებულების 2 ცალი „ბელაზის" მარკის ავტოთვითმცლელი. ამ ოპერაციამ „ჭიათურმანგანუმი" 11.425.444 ლარით აზარალა. აქედან სახელმწიფომ 9.128.939 ლარი დაკარგა, რადგანაც ამ პერიოდში საზოგადოების აქციათა პაკეტის 79,9 პროცენტს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ფლობდა.

2002 წლის 17 ივნისს გამოეცა დადგენილება „ჭიათურმანგანუმის" ყოფილი გენერალური დირექტორის ოლეგ ბუცხრიკიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ (მისი გარდაცვალების გამო). რახან დანაკლისი ხელშესახები იყო, შუქრი გრიგალაშვილი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს და პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, შუქრი გრიგალაშვილმა თავი იმართლა. კერძოდ, თქვა: 1996-99 წლებში მუშაობდა „ჭიათურმანგანუმის" დირექტორად მადნის გამდიდრებისა და ეკოლოგიის საკითხებში. 1999 წლის 21 მაისს, „ჭიათურმანგანუმის" ყოფილ გენერალურ დირექტორთან ოლეგ ბუცხრიკიძესთან ერთად, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ნოკინტერნის" საქართველოს ფილიალთან. ხელშეკრულების საფუძველზე მას 1999 წლის 16 აგვისტოს გადაეცა 700.000 ტონა ნარჩენები (ერთი ტონა – 0,357 დოლარად), რომელიც შეადგენდა სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩადებულ ქონებას და რომლის საბალანსო ღირებულება 1 ტონაზე უდრიდა 17 ლარს. ამის სანაცვლოდ, „ჭიათურმანგანუმმა" მიიღო 492.500 ლარის ღირებულების ორი ცალი „ბელაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანა. ხელშეკრულების დადება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაცია ფინანსურად წამგებიანი იყო, განაპირობა ერთმა გარემოებამ: ნარჩენები წლების განმავლობაში საწყობდებოდა ღია ცის ქვეშ, ითხვისის ზეგანზე და ცოფის ღელეში, რომელიც დაუცველი გახლდათ ყოველგვარი სტიქიური მოვლენისაგან. სწორედ ამ ნარჩენებში უნდა მიეღო „ჭიათურმანგანუმს" ორი ცალი „ბელაზის" მარკის ავტომანქანა, რომელიც საჭირო იყო კარიერებზე სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩასატარებლად. ვინაიდან ეს ოპერაცია ხელსაყრელი იყო „ჭიათურმანგანუმისთვის", რეალობიდან გამომდინარე, დაყაბულდა ასეთ პირობას.

ერთი შეხედვით, შუქრი გრიგალაშვილის ახსნა-განმარტება თითქოს დამაჯერებელია, მაგრამ იგი არ გაიზიარა წინასწარმა გამოძიებამ.

ლეო გამყრელიძის ჩვენებით, რომელიც 1996 წლის 6 აპრილიდან 1999 წლის 16 ოქტომბრამდე „ჭიათურმანგანუმის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო, ირკვევა: 1999 წლის 21 მაისის ხელშეკრულების დადება „ჭიათურმანგანუმის" ყოფილი გენერალური დირექტორის ოლეგ ბუცხრიკიძის და დირექტორის შუქრი გრიგალაშვილის მიერ არ შეთანხმებულა სამეთვალყურეო საბჭოსთან. არადა, ამ ხელშეკრულებით გასხვისდა 700.000 ტონა ნარჩენები, რომელიც წარმოადგენდა „ჭიათურმანგანუმის" საწესდებო კაპიტალში ჩადებულ ქონებას. ხელშეკრულება არის აბსოლუტურად წამგებიანი.

ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ბნელა?

ლეო გამყრელიძის ჩვენება დასტურდება „ჭიათურმანგანუმის" სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების: ედგარ მატარაძის, რევაზ სტურუას, გოჩა ბაქრაძის, თეიმურაზ თავბერიძის, გივი წერეთლის და გიორგი ნიკოლაძის მოწმეთა სახით დაკითხვის დროს მიცემული ჩვენებებითაც.

ამავე აზრს ავითარებენ მთავარი მარკშეიდერი გელა ბუზალაძე, შპს „სიხარულის" პრეზიდენტი გია სიხარულიძე, ყოფილი ბუღალტერი მურად მეგრელიშვილი და სხვები.

რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 16 აგვისტოს წერილით, „ჭიათურმანგანუმის" დირექტორს აქციონერთა საერთო კრებისა და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ") უფლება არა ჰქონდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული მატერიალური ფასეულობა გაეყიდა საწესდებო კაპიტალის შემცირებით. ეს არის აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია.

გახსოვთ, სუვერენული საქართველოს გარიჟრაჟზე რით ვაპირებდით ცხოვრებას, უფრო მეტიც, გამდიდრებას? ბორჯომის წყლით, ჭიათურის მანგანუმით და ა. შ. გაიხედეთ დღეს აქეთ-იქით. ბორჯომის წყალი კახურ ღვინოზე მეტი ღირს, ჩვენს მოსახლეობას ინახავს კი არა, იქით აწვება კისერზე. ჭიათურის მანგანუმი კი, – სად მიდის, როგორ მიდის, რა ფასად მიდის, და რაც მთავარია, ეს ფასი ვის ჯიბეში მიდის, ვერავის გაურკვევია. ეს არის ბაზარი? ეს არის საბაზრო ეკონომიკა?

ბონდო გულიაშვილი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## გვეხმაურებიან

პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთის 18 ივნისის ნომერში დაიბეჭდა პროფესორ ელგუჯა ქვათაძის წერილი: „წესრიგი დავამყაროთ მეცნიერებათა აკადემიის გრანტების განაწილებაში", რომელშიც არასწორად, ტენდენციურად არის გაშუქებული ინსტიტუტში 2002 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტების განაწილებასთან დაკავშირებული ვითარება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერო საბჭო გთხოვთ, რომ გაზეთის უახლოეს ნომერში დაბეჭდოთ საპასუხო წერილი, სადაც შევეცადეთ ყველა დაყენებულ საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ თქვენი გაზეთის მკითხველს.

პატივისცემით, აკადემიკოსი
**დავით მუსხელიშვილი,**
ინსტიტუტის დირექტორი.

# რას გულისხმობს პროფესორი ქვათაძე წესრიგის დამყარებაში?

პროფესორ ელგუჯა ქვათაძის წერილს საკმაოდ პრეტენზიული სათაური აქვს: „წესრიგი დავამყაროთ მეცნიერებათა აკადემიის გრანტების განაწილებაში". რა გვეთქმის, წესრიგის დამყარება, მით უმეტეს ჩვენში, ყველგან საშური საქმეა, მათ შორის, ცხადია, მეცნიერებათა აკადემიის გრანტების განაწილებაშიც. მაგრამ, როგორც წერილის გაცნობა გვარწმუნებს, მის ავტორს სულ სხვა მიზანი აქვს: მას შემდეგ, რაც იგი გამოთქვამს ზოგიერთ ზედაპირულ და არაკომპეტენტურ მოსაზრებას, საბოლოოდ ასკვნის: „უმჯობესია ეს თანხები (იგულისხმება გრანტების დასაფინანსებელი თანხები – **ავტ.**) აკადემიის მუშაკთა ხელფასის ფონდში ჩაირიცხოს და მასწავლებლების მსგავსად, ამა წლის პირველი სექტემბრიდან აკადემიის მეცნიერ თანამშრომლებს 30 პროცენტით გაუდიდდეთ თვიური ხელფასი" და სხვ. ერთი სიტყვით, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა ქვათაძე ცდილობს მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს და გრანტების განაწილებაში წესრიგის დამყარების მოტივით [illegible] გრანტების სისტემის საერთოდ გაუქმებას.

ეს ნათქვამი პროფესორ ელგუჯა ქვათაძის მხრიდან მკითხველის შეცდომაში შეყვანის მცდელობის ერთადერთი შემთხვევა არ არის. როგორც ცნობილია, გრანტებით პროექტების დაფინანსება მეცნიერებათა აკადემიის (და არა მარტო მის) სისტემაში უკვე 5 წელიწადია არსებობს და შეიძლება მისი განაწილების პრინციპებს მართლაც სჭირდებოდა დახვეწა და ერთგვარი გაუმჯობესება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სისტემამ დაამტკიცა სიცოცხლისუნარიანობა, რასაც შედეგად მოჰყვა მეცნიერული კვლევის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. როგორც ჩანს, აქამდე ასევე ფიქრობდა პროფესორი ელგუჯა ქვათაძეც, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ სისტემის მოქმედებით კმაყოფილების მეტი არაფერი გამოუთქვამს.

მაშ რა მოხდა? განსახილველ სისტემაში არსებითი ცვლილება ბოლო ხანს არ დაფიქსირებულა, სამაგიეროდ არსებითად შეიცვალა მისდამი ჩვენი ავტორის დამოკიდებულება: თუ აქამდე იგი რეგულარულად იღებდა სათანადო გრანტს, წლეულს სამეცნიერო საბჭომ, ფარული კენჭისყრით, მის მიერ წარმოდგენილი პროექტი დაიწუნა. ამან რადიკალურად, როგორც ვხედავთ, შეცვალა სისტემისადმი მისი დამოკიდებულებაც.

ამრიგად, პროფესორი ელგუჯა ქვათაძე მეორედ ცდილობს მკითხველის შეცდომაში შეყვანას: გრანტების განაწილების სისტემას იმიტომ კი არ იწუნებს, რომ იგი გამოუსწორებელ ხარვეზებს შეიცავს, არამედ იმიტომ, რომ შესაბამისმა სტრუქტურამ გაბედა და გრანტი პირადად მას არ გამოუყო. პროფესორი ელგუჯა ქვათაძე ბრალს სდებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, რომ მისი წევრები გრანტებს ერთმანეთში ინაწილებენ და მათ მფარველობაში მყოფ მკვლევარებს ურიგებენ.

ვიდრე ამ შენიშვნის ავკარგიანობას შევეხებოდეთ, საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო საბჭო, ინსტიტუტის მეცნიერული მუშაობის მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, თანამშრომელთა კრებაზე ფარული კენჭისყრით ირჩევა. შესაბამისად, იგი, შეძლებისდაგვარად, დაკომპლექტებულია მაღალი მეცნიერული დონის, მორალისა და ორგანიზატორული უნარის პიროვნებებისაგან. ბუნებრივია, ეს სტრუქტურა საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს და რაიმე დამატებით გასამრჯელოს არ იღებს. მაშასადამე, სამეცნიერო საბჭოს წევრი ინსტიტუტის თანამშრომელია და მას გრანტების კონკურსში მონაწილეობა არ ეკრძალება, თუკი კონკურსში ჩაებმება, მას გამარჯვების შანსიც აქვს, ასე რომ არ იყოს, მათი საბჭოს წევრობაც გაუმართლებელი იქნებოდა. ამ განცხადების შემდეგ ენახოთ, ამ თვალსაზრისით რა ვითარებაა: წლეულსაც ისტორიის ინსტიტუტში დასამტკიცებლად წარდგა 36 პროექტი, რომელთაგან დებულებით განსაზღვრული პროცედურის სრული დაცვის საფუძველზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად შერჩეულ იქნა 22 პროექტი. საბჭოს 23 წევრიდან გრანტზე რეკომენდებული იყო 12 პიროვნება, ხოლო არასაბჭოს წევრთაგან – 28. უკანასკნელთაგან 6-მა (მათ შორის პერსპექტიულმა ახალგაზრდამ) პირველად შეაგროვა გამსვლელი ხმები. როგორც ვხედავთ, პროფესორ ელგუჯა ქვათაძის ეს ბრალდებაც მკითხველთა შეცდომაში შეყვანის მორიგი (მესამე) ცდაა. ავტორი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ გრანტების განაწილების საკითხმა „კოლექტივში შექმნა კონფლიქტური სიტუაცია, თანამშრომელთა შორის დაპირისპირება". ამ დებულებას იგი რამდენიმე სტრიქონის შემდეგ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს, მაგრამ ეს არაა მთავარი, რამდენჯერაც უნდა გაიმეოროს, ეს მტკიცება აშკარა ტყუილია: არავითარი დაპირისპირება ინსტიტუტში არ არის, თუ არ ჩავთვლით თვითონ პროფესორის ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო განაწყენებას.

ჩვენ არ გვინდა გამოვედევნოთ ავტორის მთელ რიგ ზედაპირულ განცხადებას, ერთი იმიტომ, რომ მათი აბსურდულობა ისედაც ნათელია, მეორეც, მათი გადაწყვეტა ჩვენს კომპეტენციას სცილდება. საბჭო განსახილველ (ისევე როგორც სხვა) საკითხში დამტკიცებული დებულებით ხელმძღვანელობდა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს პროფესორ ელგუჯა ქვათაძის ზედაპირული დამოკიდებულება ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი პრობლემისადმი, კერძოდ, იმერეთის ისტორიისადმი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს და პროფესორს არ უნდა სჭირდებოდეს იმის ახსნა, რომ დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) ისტორია ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი ძირითადი უბანია, არც იმისი, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ხშირ შემთხვევაში, საფუძვლიანად გაამრუდა ამ ისტორიის ობიექტური სურათი (მარტო რუსეთის იმპერიასთან დამოკიდებულების საკითხის გამუქება რად ღირს). რაც შეეხება საქართველოს უახლეს ისტორიას, სამართლიანობა მოითხოვს კიდევ ერთხელ ვამხილოთ ავტორი მკითხველის შეცდომაში შეყვანის მცდელობაში, რომელსაც იგი ამცნობს, რომ ამ თემატიკით, გრანტის მისაღებად მხოლოდ ერთი (მისი) პროექტი იყო წარმოდგენილი და ისიც ჩავარდა. ფაქტობრივად, პროფესორ ელგუჯა ქვათაძის პროექტის დაწუნების პარალელურად კონკურსში გაიმარჯვა უახლესი ისტორიის პერიოდის შემდეგმა პროექტებმა:

„საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა განათლება და კულტურა 1921-1941"; „საქართველო II მსოფლიო ომში (კომპიუტ. ბანკი)"; „არატრადიციული რელიგიური ჯგუფების სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში"; „საბჭოთა ბიუროკრატია და ტოტალიტარული სახელმწიფო (1921-1941 წ.წ.)"; „აფხაზეთის ავტონომიის ეთნოპოლიტიკური სურათი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1956-1990 წლებში"; „საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მოსახლეობის თანამედროვე ეთნოკულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა"; „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები XX ს. 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში". ამ პროექტებში დაკავებულია 14 მეცნიერი თანამშრომელი.

თავისთავად, უახლესი ისტორიის შესწავლის პრობლემა საბჭოს გაძლიერებული ყურადღების და, შეიძლება ითქვას, შეშფოთების საგანია, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ელგუჯა ქვათაძის მცდარი რწმუნების საწინააღმდეგოდ (უკვე აღარ ვიცით, ეს მისი მერამდენე ტყუილია) უახლესი ისტორიის სექტორში მუშაობს არა შვიდი, არამედ ოცდაერთი თანამშრომელი. თავისთავად, ეს არც ისე ცოტაა, მაგრამ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ სექტორი არ ივსება ახალგაზრდა კადრებით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ინსტიტუტს არ გამოეყოფა შესაბამისი შტატები, ხოლო საბჭოს მორალური უფლება არა აქვს გაათავისუფლოს (ახლებით შეცვალოს) ასაკოვანი და, რაც მთავარია, მეცნიერული შრომისუუნარო თანამშრომლები, რადგან არ არსებობს პენსიონერ მეცნიერთა სოციალური დაცვის მექანიზმები, ანუ არ ხდება კადრების როტაცია.

რაც შეეხება ავტორის ბუნდოვან და გაუგებარ განცხადებას, რომ „უახლესი ისტორია დღეს გადაქცეულია მეცნიერებაში ხელმოცარული ადამიანებისა და დილეტანტების პოლიგონად" – ამან შეიძლება მხოლოდ გაკვირვება გამოიწვიოს: თუ ავტორს აქვს მონაცემები, რომ ეს ადამიანები აკადემიის გრანტებით არიან დაფინანსებული, მაშინ მისი ვალია ამხილოს ისინი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ვინ უშლის ამ საქმეს მიხედონ არა ხელმოცარულმა და არა დილეტანტმა, მაგალითად, – ჩვენმა ავტორმა, რომელიც, იმედია, თავის თავს ასეთად არ თვლის. რა აბრკოლებს მის მეცადინეობას იღვაწოს უახლესი ისტორიის პრობლემების შესასწავლად, ნუთუ სათანადო გრანტის არქონა? ამისათვის ის ხომ ხელფასს იღებს!

ჩვენი დიდი ნაკლია (უბედურებაა), რომ ანაზღაურების სიმცირისა და კიდევ სხვა გარემოებათა გამო, მეცნიერის პროფესიამ საქართველოში პრესტიჟულობა დაკარგა და ახალგაზრდები აქეთ ნაკლებად იხედებიან. მეცნიერთა უფროსი თაობის ვალია, ყველა არსებული საშუალებით მოიზიდოს ანალიტიკური კვლევის უნარის მქონე, პატრიოტი ახალგაზრდები.

განსახილველი წერილის მავნე მნიშვნელობა ისიცაა, რომ იგი ამ საქმეში მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის, როცა აცხადებს, რომ „უახლესი ისტორიის პრობლემების შესწავლა ძალზე რთულია, მკვლევარისაგან მოითხოვს ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის საფუძვლიან ცოდნას", რაც სრული გაუგებრობაა. ნებისმიერი ისტორიული პრობლემების შესწავლა მოითხოვს ნიჭს, ისტორიის და, გარკვეულად, ენების ცოდნას და, რაც მთავარია, სამშობლოს უანგარო სიყვარულს. რაც შეეხება ბატონ ქვათაძის მიერ ჩამოყალიბებულ „რეცეპტს", მისი მიზანია ახალგაზრდების დაშინება, მათი ჩამოშორება, რათა შექმნას თავისი და თავისნაირების შეუცვლელობის სინდრომი. ვინ ვინ და ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რა ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის და ა. შ. მეცნიერებათა საფუძვლიანი მცოდნეა ბატონი ქვათაძე. თუმცა, როგორც ვხედავთ, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია დოქტორიც გამხდარიყო, პროფესორიც და ბოლოს ისე გათამამებულიყო, რომ აკადემიკოსებსაც კი ჭკუას ასწავლის.

წესრიგის დამყარება დიდებული რამ არის და არავის არ აწყენს, მაგრამ სიტყვების ზედაპირული რახარუხისა და პირადი ამბიციების და ინტერესების დაკმაყოფილების დაუოკებელი სწრაფვის ნაცვლად აქ გულწრფელობა და თავდადებაა საჭირო.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.**

# პროგრამის მიზანი — დასაქმების ხელშეწყობა

## „საქართველოს ბანკის" და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტი

დაარსების პირველი დღიდანვე „საქართველოს ბანკი" მიზნად ისახავს იყოს საიმედო და პატიოსანი პარტნიორი, რომელსაც აქვს ეკონომიკური და სოციალური პასუხისმგებლობა ქვეყნის, საზოგადოების, აქციონერებისა და თანამშრომლების წინაშე. ამისათვის იგი ინტენსიურად მოქმედებდა რამდენიმე მიმართულებით: აფართოებდა ფილიალების ქსელს, ამუშავებდა ახალ პროდუქტებს, რათა საბანკო მომსახურება ხელმისაწვდომი გახადა საზოგადოების ყველა ფენისათვის. საქართველოში მიმდინარე პროცესების შესაბამისად ინერგებოდა სხვადასხვა პროექტები, მცირე და საშუალო საწარმოების, სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობისათვის. რამდენიმე წელია წარმატებით მიმდინარეობს იპოთეკური დაკრედიტების, საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციების დაფინანსების, მიკროკრედიტების პროგრამები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შედეგად, მიმდინარე წლის აგვისტოდან „საქართველოს ბანკში" ამოქმედდა კიდევ ერთი ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამეწარმეო სუბიექტებისა და რეგისტრირებული უმუშევრებისათვის დასაქმების ხელშეწყობას. ეს პროგრამა ემსახურება საქართველოში არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას თანადაფინანსების პრინციპით. თანადაფინანსება იწარმოებს „საქართველოს ბანკის" საკუთარი საკრედიტო რესურსებითა და საბიუჯეტო ასიგნებებით.

პროექტი თავისი შინაარსით შეიძლება შევაფასოთ, როგორც უპრეცედენტო თავისი სოციალური დატვირთვის თვალსაზრისით. მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულ უმუშევრებს, რომლებსაც აქვთ დასაქმების სახელმწიფო სამსახურის შესაბამისი რეკომენდაცია, საშუალება ეძლევათ, მოიზიდონ პირველადი კაპიტალი დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად. უმუშევრების დასაქმება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იქნება, აგრეთვე, მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებისას.

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის საყურადღებო პირობა ის არის, რომ პროექტის მთლიანი ღირებულების 30 პროცენტს (რეგისტრირებული უმუშევრების მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების შემთხვევაში 40 პროცენტი) არ ერიცხება საპროცენტო საფასური, ამასთან, სესხის აღნიშნული ნაწილის ეტაპობრივი დაფარვა მოხდება გრანტის თანხიდან.

ქვემოთ გთავაზობთ დასაქმების ხელშეწყობის ამ პროგრამის ძირითად პირობებს.

# დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა ძირითადი პირობები

### დასაფინანსებელი ობიექტები

● მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებენ არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში და მათ ხელმძღვანელებს აქვთ სათანადო სამეწარმეო გამოცდილება. ამასთან, მსესხებელი ვალდებულია დაასაქმოს რეგისტრირებული უმუშევრები, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია სესხის თანხასა და რეგიონზე, სადაც ფუნქციონირებს საწარმო.

● რეგისტრირებული უმუშევრები სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მიზნით, რომლებსაც გააჩნიათ დასაქმების სახელმწიფო სამსახურისა და კონსალტინგ-ცენტრების შესაბამისი რეკომენდაცია.

### კრედიტის მისაღებად საჭირო პირობები

● ბიზნესი წარმოებს მინიმუმ 12 თვე
● ბიზნესის ადგილმდებარეობა არის სტაბილური
● ბიზნესი არის მომგებიანი და პერსპექტიული
● ბიზნესის მწარმოებელი არის კერძო მესაკუთრე
● ბიზნესის მფლობელები (ან მათი უმრავლესობა) არიან საქართველოს მოქალაქეები
● ბიზნესის მწარმოებლის ასაკი არის არანაკლებ 18 წელი
● რეგისტრირებული უმუშევრები, რომლებიც მინიმუმ სამი თვის განმავლობაში რეგისტრირებული არიან დასაქმების სახელმწიფო სამსახურში და წარმოადგენენ ეფექტიან ბიზნეს-გეგმას ახალ ბიზნესთან დაკავშირებით (**start up**).

### კრედიტის მოცულობა

● მცირე და საშუალო საწარმოები – ერთ მსესხებელზე გასაცემი მაქსიმალური თანხა შეადგენს 30.000 ლარს
● რეგისტრირებული უმუშევრები – ერთ მსესხებელზე გასაცემი მაქსიმალური თანხა შეადგენს 6.000 ლარს.

### მიზნობრიობა და ვადები

● ვაჭრობისა და მომსახურების სფერო – არაუმეტეს 18 თვისა (მინიმუმ 6 თვე)
● ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, საშენ მასალათა წარმოება, მსუბუქი და კვების მრეწველობა – არა უმეტეს 24 თვისა (მინიმუმ 6 თვე)
● ქიმიური მრეწველობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება – არა უმეტეს 24 თვისა (მინიმუმ 6 თვე)
● სხვა დარგებისათვის – არა უმეტეს 24 თვისა (მინიმუმ 6 თვე)

### საპროცენტო განაკვეთი

● საკრედიტო თანხაზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება 30 პროცენტის (თვეში 2,5 პროცენტი) ოდენობით (იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტის და მასზე დარიცხული სარგებლის დაფარვა წარმოებს ანუიტეტის წესით, ანუ ყოველთვიურად თანაბარი შენატანებით.

### პროცედურები

● მსესხებელი, სესხის დამტკიცების შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებულ თანხას იღებს სრულად, ხოლო გრანტის თანხა ყადაღდება მსესხებლის პირად ანგარიშზე (მცირე და საშუალო საწარმოების შემთხვევაში პროექტის ღირებულების 30 პროცენტი, რეგისტრირებული უმუშევრების შემთხვევაში პროექტის ღირებულების 40 პროცენტი);

● საპროცენტო საფასური დაერიცხება (დანარჩენი თანხა გაიცემა ნულოვანი პროცენტით):
– მცირე და საშუალო საწარმოების შემთხვევაში პროექტის ღირებულების 70 პროცენტი
– რეგისტრირებული უმუშევრების (**start up**) შემთხვევაში პროექტის ღირებულების 60 პროცენტი.

● მსესხებლის პირად ანგარიშზე განთავსებული გრანტის თანხა იყოფა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე და ყოველთვიურად თანაბარი თანხით ხმარდება საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის ძირისა და პროცენტის ნაწილობრივ დაფარვას, ხოლო დანარჩენ ნაწილს ფარავს მსესხებელი.

### უზრუნველყოფა

● „საქართველოს ბანკის" მიკროკრედიტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსესხებლის და/ან სხვა პირის ნებისმიერი სახის საკუთრების კომბინაციით (ბიზნესის აქტივებით ან/და კერძო საკუთრებით)
● ძირითადი უზრუნველყოფის (უძრავი ქონების) სალიკვიდაციო ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ საკრედიტო ვალდებულების (ძირი+პროცენტი) ოდენობას

### უზრუნველყოფის სახეები

● საკუთრება:
– არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი
– საცხოვრებელი ფართობი
– საოჯახო ნივთები (რომლებიც შეინახება ბანკში. მაგ.: ძვირფასეულობა)
● ბიზნესის აქტივები:
– არასაცხოვრებელი ფართობი
– აღჭურვილობები
– სასაქონლო მარაგები
● პერსონალური აქტივები:
– მოწყობილობები
– სატრანსპორტო საშუალებები

### დაზღვევა

● რეგისტრირებული უმუშევრის (**start up**) დაფინანსების შემთხვევაში სავალდებულოა პროექტის ღირებულების 60 პროცენტი დაზღვეულ იქნეს სადაზღვევო კომპანიაში 60 პროცენტის ოდენობით. დაზღვევის ხარჯებს გაწევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო დანარჩენი დაზღვევის სახეების (მაგ.: უბედური შემთხვევის, სიცოცხლის, ავადმყოფობის) ხარჯები ანაზღაურდება მსესხებელზე გამოყოფილი გრანტის თანხიდან.

● მსესხებლის მიერ სავალდებულო წესით ხდება საგირავნო ქონების და/ან იპოთეკის დაზღვევა შესაძლო გაუფასურებისა და/ან განადგურებისაგან.

### ვადაზე ადრე სესხის დაფარვა

● მსესხებელს ეკრძალება ვადაზე ადრე სესხის დაფარვა. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული პროგრამა ჩაითვლება არამიზნობრივად.

● მსესხებლის მიერ ვადაზე ადრე სესხის დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია მთლიანად დააბრუნოს ბანკიდან აღებული ვალდებულება. მის პირად ანგარიშზე განთავსებული გრანტის თანხა დაბრუნდება უკან.

## დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ რაიონების ადგილობრივი დასაქმების სახელმწიფო სამსახურს ან სს „საქართველოს ბანკის" შემდეგ ფილიალებს:

გლდანი-ნაძალადევის ფილიალი
მისამართი: გლდანის „ა" მიკრორაიონი, ვეკუას ქ. № 1,
ტელ: 65-72-30

დიდუბე-ჩუღურეთის ფილიალი
მისამართი: წერეთლის გამზირი № 140
ტელ: 23-00-90

ვაკე-საბურთალოს ფილიალი
მისამართი: ნუცუბიძის ქ. № 221
ტელ: 93-91-04

ისანი-სამგორის ფილიალი
მისამართი: ქეთევან წამებულის ქ. № 80
ტელ: 98-32-68

მთაწმინდა-კრწანისის ფილიალი
მისამართი: თაბუკაშვილის ქ. № 38
ტელ: 98-32-68

ქუთაისის ფილიალი
მისამართი: წმინდა ნინოს ქ. № 17
ტელ: (231) 4-38-76

გორის ფილიალი
მისამართი: სტალინის ქ. № 14
ტელ: (270) 2-24-35

რუსთავის ფილიალი
მისამართი: ბარათაშვილის ქ. № 8
ტელ: (24) 15-16-90

გურჯაანის ფილიალი
მისამართი: ნონეშვილის ქ. № 12
ტელ: (253) 2-34-60

ფოთის ფილიალი
მისამართი: 26 მაისის ქ. № 7
ტელ: (293) 2-57-80

საინფორმაციო ტელეფონი: 92-16-63.

## სიტუაცია

# ვითომ სამხედრო წვრთნების გამო?

## ანუ საკენკი, რომელსაც ქათმებიც კი არ აკენკავენ

პირველი აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით რუსეთის მიერ საქართველოს ავიაკომპანიებისთვის საკუთარ საჰაერო სივრცეზე ცალმხრივად დაწესებული შეზღუდვების შედეგად „აირზენას" ზარალმა ჯერჯერობით 100 ათას დოლარს მიაღწია. რუსულ მხარეს ეს, რასაკვირველია, სულაც არ ადარდებს, მაგრამ ამ ფონზე მათი მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება მეტად მიამიტურად რომ გამოიყურება, ეს ფაქტია. თუ მათ დავუჯერებთ, აღნიშნულ აკვატორიაში საჰაერო სივრცის დაკეტვა სამხედრო წვრთნებს გამოუწვევია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ეს აკრძალვა, სამწუხაროდ, რატომღაც მარტო ჩვენზე ვრცელდება. ეს კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევაა და იგი ძირითადად პოლიტიკური მოტივითაა განპირობებული.

იმ დროს, როცა ჩვენთვის აღნიშნული აკვატორია დაკეტილია, სხვები ამ დროს თავისუფლად დაფრინავენ. მარტო 2 აგვისტოდან 5 აგვისტოს ჩათვლით კი ამ საჰაერო ზონით დღეში 25-30 თვითმფრინავი სარგებლობდა. სხვათა შორის, რუსეთი აღნიშნულ ტერიტორიას დელეგირებს და ჩვენც იძულებულნი გვხდიან დავაყენოთ საკითხი მათთვის ამ უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, როგორც ეს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მერაბ ადეიშვილის და სამოქალაქო ავიაციის თავმჯდომარის ზურაბ ჭანკოტაძის გუშინდელი ერთობლივი პრესკონფერენციიდან გაირკვა, ამ უკანასკნელს წერილითაც კი მიუმართავს საქართველოს პრეზიდენტისთვის, სადაც იგი წერს: „ბატონო პრეზიდენტო, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია იძულებულია მოგმართოთ თქვენ იმ მდგომარეობათა გამო, რომელიც შეიქმნა უკანასკნელი 3-5 დღის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის ორგანიზებაში.

2002 წლის 1 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციამ შემოიღო შეზღუდვები (აკრძალა ფრენები) ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიისა და შავი ზღვის აკვატორიის საჰაერო სივრცეში. ასეთი აკრძალვების შემოღება თავის საჰაერო სივრცეში, რასაკვირველია, ყველა სახელმწიფოს უფლებაა. მაგრამ, ამავე დროს, საერთაშორისო ნორმებით (ჩიკაგოს 1944 წ. კონვენცია, მუხლი 9) ასეთი შეზღუდვა ერთნაირად უნდა შეეხოს ყველა სუბიექტს (საკუთარ და სხვა ქვეყნის ავიაკომპანიებს), ანუ შეზღუდვა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული.



ჩვენს შემთხვევაში, 2 აგვისტოდან მოყოლებული, ყოველდღიურად ხდება საქართველოს ავიაკომპანიების შეფერხება (არ გაიცემა ნებართვა გამოფრენაზე) 10-12 საათით, ან სთავაზობენ მათ იფრინონ შემოვლითი მარშრუტებით, რაც თავისთავად ხარჯების გაზრდას იწვევს. ამავე დროს, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ყოველდღიურად დადგენილი განრიგით სრულდება 30 რეისზე მეტი რუსეთისა და სხვა სახელმწიფოების ავიაკომპანიების მიერ.

ასეთი დისკრიმინაციული მიდგომის შედეგად საქართველოს ავიაკომპანიები განიცდიან მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს, რომ არაფერი ვთქვათ მგზავრთა რთულ მდგომარეობაზე.

ჩვენთან არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ შეზღუდვებს რუსეთის მხარე გააგრძელებს ა.წ. 12 აგვისტომდე. ამავე დროს, ახლახან მიღებული ინფორმაციით, შემდგომი პერიოდისთვის მოსალოდნელია, რომ სეტყვასაწინააღმდეგო სროლების მოტივით შეზღუდვები გაგრძელდება ოქტომბრის თვემდე.

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ შექმნილი მდგომარეობა სერიოზულია და იგი უნდა გახდეს უშიშროების საბჭოს მსჯელობის საგანი".

პრეზიდენტის რეზოლუციის თანახმად, ამ საკითხის განხილვა უშიშროების საბჭოს დაევალა.

უშიშროების საბჭოს მიერ ამ საკითხის განხილვამდე კი ქართული მხარე იძულებული გახდა ადეკვატური ღონისძიებისათვის მიემართა, რადგან ჩიკაგოს კონვენციის თანახმად რუსეთს არ ჰქონდა ცალმხრივად ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ჩვენი მხრიდან ეს ადეკვატური ღონისძიება კი იქამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენი ყოფილი „უფროსი ძმა", როგორც თანასწორს, ისე არ მოგვექცევა.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 193, შაბათი, 10 აგვისტო, 2002 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებები

**„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
2. ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
3. ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 66 ლარი;
4. ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო განყოფილების მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო 47 ლარი;
5. მთავარი კანცელარიის მოქალაქეთა მისაღების კონტროლის სექტორის მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
6. მთავარი კანცელარიის სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი;
7. მთავარი კანცელარიის სპეციალისტი (კურიერი) – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი;
8. მინისტრის აპარატის უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი;
9. მინისტრის აპარატის თანაშემწე – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
10. მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
11. პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის კერძო სამართლის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 91 ლარი;
12. პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტი – თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი;
13. პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი;
14. პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი (ოპერატორი) – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი;
15. სააღსრულებო დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 41 ლარი;
16. სააღსრულებო დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილების მრჩეველი – 2 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
17. სააღსრულებო დეპარტამენტის სააღსრულებო წარმოებათა სამმართველოს დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 66 ლარი;
18. სააღსრულებო დეპარტამენტის არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 91 ლარი;
19. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი;
20. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 91 ლარი;
21. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაციის სამმართველოს უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 91 ლარი;
22. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაციის სამმართველოს მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
23. სამართლებრივი ექსპერტიზის დეპარტამენტის სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი;
24. სამართლის ჰარმონიზაციის დეპარტამენტის სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 37 ლარი;
25. სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 113 ლარი;
26. სამედიცინო დეპარტამენტის მრჩეველი – 2 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
27. ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის კახეთის რეგიონალური სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი;
28. ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი;
29. ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამსახურის მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
30. ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამსახურის მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;
31. ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის შიდა ქართლის რეგიონალური სამსახურის მრჩეველი – 1 საშტატო ერთეული – თანამდებობრივი სარგო – 47 ლარი;

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს (საკონკურსო თემატიკა და მოთხოვნები კონკურსში მონაწილეებს გადაეცემათ იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტთან არსებულ საკონკურსო სამდივნოში).

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, მიუხედავად დაკავებული სახელმწიფო თანამდებობისა, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები და ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას. კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21 წლიდან 60 წლამდე, მამაკაცებისთვის 21 წლიდან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნა:**

უმაღლესი განათლება.

კონკურსს ატარებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია. საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

**1. წერილობითი განცხადება;**
**2. ავტობიოგრაფია;**
**3. უმაღლესი სპეციალური განათლების მიღებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი;**
**4. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.**
**5. ორი ფოტოსურათი 3X4.**
**6. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.**

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

კონკურსი ჩატარდება შეტყობინების გამოქვეყნებიდან არაუადრეს სამი კვირისა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

**380077, თბილისი, რუსთაველის გამზირი №30, ტელ: 99-56-43, 98-30-68, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტი.**

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**

**„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის ვაკანტურ თანამდებობაზე:**

1. სახელმწიფო რწმუნებულის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 91 ლარი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს (საკონკურსო თემატიკა და მოთხოვნები კანდიდატებს გადაეცემათ მცხეთა-მთიანეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი საბუთების წარდგენისას).

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

• **მრჩეველი იურიდიულ საკითხებში თანამდებობაზე:**
– უმაღლესი იურიდიული განათლება;
– სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;
– უცხო ენის სრულყოფილი ცოდნა;
– კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

**1. ავტობიოგრაფია;**
**2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;**
**3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.**

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, ტელ: 4-31-35.**

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**

**„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი);
2. კანცელარიის სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 80 ლარი);

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

• **მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:**
– კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირს, რომელსაც, როგორც წესი, გავლილი აქვს სასწავლო კურსი სამოსამართლო სწავლების ცენტრში, ან აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, აგრეთვე ადვოკატად მუშაობის ერთი წლის გამოცდილება, ანდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი (უმაღლესი) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

• **კანცელარიის სპეციალისტის თანამდებობაზე:**
– კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
– კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

**1. ავტობიოგრაფია;**
**2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;**
**3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.**

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლო. ტელ: 62-96-42, 62-08-08.**

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**




## • ერაყელი ბელადის ახალი სტრატეგია.
## • პრეზიდენტის განდიდების მანია აპოგეას აღწევს.
## • ჩინეთს თავისი „აფხაზეთი" სტკივა.

# ჰუსეინი თალიბებზე გაქნილი აღმოჩნდა

**ერაყთან ომი ამერიკელებს გაცილებით უფრო გაუჭირდებათ, ვიდრე თალიბებთან. სადამ ჰუსეინმა შეიმუშავა თავდაცვის ისეთი სტრატეგია, რომელიც ჯორჯ ბუშს სახელს გაუტეხს. ერაყის ლიდერი აპირებს ჯარებს თავი მოუყაროს მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში და აიძულოს შეერთებული შტატების არმია, დახოცოს მშვიდობიანი მცხოვრებნი.**

მოვლენათა ასეთი განვითარების საშიშროება პირველად ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ იგრძნო. გაელენიანმა Los Angeles Times-მა გამოაქვეყნა ამერიკის სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენელთაგან გაგონილი ინფორმაცია. გამოცემის მონაცემებით, ამერიკის იერიშის მოგერიების სტრატეგია შეთანხმებული იყო საბჭოზე, რომელიც გამართა ამ დღეებში სადამ ჰუსეინმა ერაყის რეგიონალურ ხელისუფლებთან.

ბაღდადში გადაწყვიტეს, რომ, რადაც უნდა დაუჯდეთ, თავიდან აიცილონ „გრიგალი უდაბნოში" და საერთოდ, არ ჩაებან ამერიკელ სამხედროებთან ბრძოლაში ღია სივრცეზე.

ყველაზე მეტად ჰუსეინს აშინებს ამერიკის სამხედრო ავიაცია, რომელმაც ძირითადი როლი შეასრულა ავღანეთში თალიბთა რეჟიმის განადგურებაში. ამიტომ ერაყის ლიდერმა გადაწყვიტა ჯარები განალაგოს ბაღდადსა და სხვა დიდ ქალაქებში, სადაც სამოქალაქო მოსახლეობა ერთი მხრივ დაიცავს ერაყის ძალებს მასირებული ავიადაბომბვისაგან, მეორე მხრივ, ერაყს საშუალება მიეცემა დაადანაშაულოს ამერიკელები მშვიდობიან მცხოვრებთა განადგურებაში, რადგან მსხვერპლი გარდაუვალი იქნება.

„ამერიკის დაზვერვის ყოფილმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ ჰუსეინის გეგმების შესახებ ინფორმაციები მიიღო ერაყელ დისიდენტებთან და ოპოზიციურ ჯგუფებთან ლონდონში ამასწინანდელი შეხვედრის დროს. მან, აგრეთვე, თქვა, რომ ამერიკის სპეცსამსახურებმა ანალოგიური ინფორმაცია მიიღეს და მას საიმედოდ მიიჩნევენ", – წერს Los Angeles Times-ი. ის, რომ დაზვერვამ დაადასტურა თავისი ყოფილი თანამშრომლის სიტყვები, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ ჰუსეინის ეშმაკობა ვერ შეაჩერებს საომარი ოპერაციისათვის ამერიკელთა მზადებას.

ერაყის გეგმას ამერიკელებმა შეიძლება დაუპირისპირონ გააფთრებული კონტროპროპაგანდა, რომლის თანამდევი იქნება, ალბათ ერაყის ქალაქების დაბომბვა.

თავდაცვის სტრატეგიის სასწრაფოდ შემუშავებამ ჰუსეინი აიძულა, როგორც ჩანს, ამერიკის სამხედრო ოპერაციის გეგმებმა, რომლებიც დაიბეჭდა ამერიკის ყოველკვირეული Newsweek-ის ბოლო ნომერში. ჟურნალის მონაცემებით, პენტაგონში მომწიფდა უკვე ჰუსეინის დამხობის ექვსი ვარიანტი. სახმელეთო შეჭრა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ამერიკის დახმარებით მომზადებული ოპოზიციის აჯანყება, მასირებული დაბომბვა ავღანეთის სცენარით, აგრეთვე, ჩამოთვლილ ღონისძიებათა კომბინაცია. რადგან ბაღდადში ყველაზე მეტად აშინებთ მეორე „გრიგალი უდაბნოში", მაშასადამე, ჰუსეინს ურჩევნია ოპოზიციის აჯანყება.

რაც შეეხება სადამ ჰუსეინის საჯარო განცხადებებს, მას საერთოდ არ აშინებს ამერიკის არანაირი გეგმა. ირანთან ომის დამთავრების მორიგი წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე გამოსვლისას, ერაყის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას არ აშინებს შეერთებული შტატების მუქარა და მისი ქვეყანა მზად არის მოიგერიოს ნებისმიერი იერიში.

„ყველა, ვინც ოდესმე დამუქრებია არაბებსა და მუსლიმანულ სამყაროს, უცილობლად ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება ხოლმე", – შენიშნა ჰუსეინმა.

„მარცხისათვის არის განწირული ყველა, ვინც შეეცდება თავს დაესხას არაბებსა და მუსულმანებს, რადგან მათ მოუწევთ ჩვენი იარაღის, ჩვენი კუნთებისა და ჩვენი რწმენის ძლიერებასთან შეჯახება", – მჭევრმეტყველებს ჰუსეინი. მისი კოლეგა ჯორჯ ბუში, რომელიც კიდევ ერთხელ განიხილავს ბაღდადის რეჟიმის დამხობის გეგმებს, გაცილებით უფრო სიტყვაძუნწი გამოდგა. უფრო მეტიც, გუშინ მის სიტყვაში პირველად გაიჟღერა მერყეობის ნოტებმა. „ჩვენ მოვსინჯავთ ყველაფერს – დიპლომატიას, საერთაშორისო ზემოქმედებას და შესაძლოა, სამხედრო ძალასაც კი, – თქვა პრეზიდენტმა ბუშმა [illegible] წარმოთქმისას, – [illegible]რდებით, რომ მოთმინებით აეწონდაეწონი სიტუაციას, განვაგრძობ თათბირს კონგრესთან და, რა თქმა უნდა, ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან".



# ნიაზოვი სახელებს უცვლის თვეებსა და კვირის დღეებს

**თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა წინადადება წამოაყენა, სახელები შეუცვალონ წლის თვეებს და დაარქვან ეროვნული გმირების, მათ შორის, თავად პრეზიდენტისა და მისი განსვენებული დედის სახელები.**

სახალხო საბჭოს ყოველწლიურ კრებაზე გამოსვლისას



ნიაზოვმა, რომელიც რესპუბლიკას ხელმძღვანელობს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან, განაცხადა, რომ იგი აპირებს სახელები შეუცვალოს კვირის დღეებს.

მომავალში თურქმენული წელიწადი დაიწყება თურქმენბაშის თვით – ასეთია ნიაზოვის ოფიციალური ტიტული და ნიშნავს „ყველა თურქმენის მამას". აპრილს ამიერიდან უწოდებენ დედას, ნიაზოვის დედის პატივსაცემად, რომელიც გარდაიცვალა, როდესაც თურქმენეთის მომავალი პრეზიდენტი ჯერ კიდევ ბავშვი იყო. შარშან მას მიენიჭა თურქმენეთის გმირის წოდება.

წლის სხვა თვეებისათვისაც მოიფიქრეს ახალი სახელები – დროშა, დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი.

რაც შეეხება კვირის დღეებს, შაბათს, ნიაზოვის იდეით, [illegible] დღე, როდესაც მთელმა მოსახლეობამ უნდა იზრუნოს თავისი სულისათვის, – იაროს თეატრში, არ გაეკაროს ალკოჰოლს და იკითხოს „რუჰნამა" – ეთიკური და მორალური წესების კრებული, რომელიც ერისათვის თავად პრეზიდენტმა დაწერა.

ნიაზოვის პიროვნების კულტი თავისებურად უნიკალურია. ყოველ შემთხვევაში, ყოფილი სსრ კავშირის ვერც ერთ ქვეყანაში ასეთ რამეს ვერ შეხვდებით. ყველგან ჰკიდია მისი პორტრეტები, მისი სახელი ეწოდება ქალაქს, აეროპორტს და თქვენ წარმოიდგინეთ მეტეორიტსაც კი.

რამდენიმე წლის წინათ საფარმურატ ნიაზოვი სამუდამოდ აირჩიეს თურქმენეთის პრეზიდენტად. თუმცა, მას შემდეგ, არაერთხელ თქვა გადაკვრით, რომ შეიძლება დატოვოს პოსტი. ხუთშაბათს სხდომაზე კრების დელეგატებმა დაადგინეს, რომ ნიაზოვი მაინც სიკვდილამდე მართავს ქვეყანას.

# სუ-27 თვითმფრინავის კატასტროფაში ბრალი ეკიპაჟს მიუძღვის

**უკრაინის მთავრობის კომისიამ აღიარა, რომ ლვოვთან გამართული ავიაშოუს დროს სუ-27 თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი იყო პილოტების შეცდომა.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ ევგენი მარშუკმა თქვა, პილოტებმა გადაუხვიეს ფრენის დავალებას, რის შედეგადაც დაკარგეს თვითმფრინავისადმი კონტროლი. მაგრამ მარშუკმა დასძინა, რომ ტრაგედიაში ბრალი მარტო პილოტებს როდი მიუძღვით. შოუს ორგანიზაცია და მფრინავების მომზადება დასახვეწია, თქვა კომისიის თავმჯდომარემ.

კატასტროფის გამომწვევ სხვა მიზეზთა შორის მარჩუკმა დაასახელა მაყურებელთა და საფრენი ზონების არასწორი განლაგება. გარდა ამისა, შოუს დაწყებამდე არ გამართულა გენერალური რეპეტიცია.

ტრაგედიას ემსხვერპლა 85 კაცი, რომლებიც თვითმფრინავის ჩამოვარდნის მომენტში მაყურებელთა ტრიბუნებზე იმყოფებოდნენ.

ავიაშოუ გაიმართა „სკნილივის" აეროდრომზე უკრაინის საჰაერო სამხედრო ძალების მე-14 საავიაციო კორპუსის 60 წლისთავის აღსანიშნავად. სუ-27 და მიგ-29 ავიაგამანადგურებლები უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს ასრულებდნენ.

მანევრის დროს სუ-27 თვითმფრინავი გამოედო სადგომზე მდგომ თვითმფრინავს, რის შემდეგაც შეცვალა კურსი და ჩამოვარდა მინდორში. პილოტებმა მოახერხეს კატაპულტირება. თვითმფრინავმა კიდევ რამდენიმე ათეული მეტრი გაიარა ფრთით მაყურებლებში, შემდეგ მანქანა გადაბრუნდა და აფეთქდა.

ტრაგედიის შემდეგ უმალ დააპატიმრეს უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი ვიქტორ სტრელნიკოვი, მეთოთხმეტე ავიაკორპუსის სარდალი გენერალი სერგეი ონისჩენკო, რომელსაც ეკუთვნოდა დამსხვრეული სუ-27 ავიაგამანადგურებელი, აგრეთვე რამდენიმე სხვა ოფიცერი. პილოტთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

# ტაივანმა უარი თქვა სამხედრო მანევრებზე

**ტაივანმა უარი თქვა სამხედრო მანევრებზე ჩინეთთან ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობის გამო. ტაივანის სამხედროების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წვრთნა არ გაიმართება გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით.**

ჩინეთის ხელმძღვანელობა გაღიზიანებული გამოეხმაურა ტაივანის პრეზიდენტის ჩენ შუი ბიანის განცხადებებს, რომლებიც მან გააკეთა გასული კვირის დამლევს. ჩენ შუი ბიანმა განაცხადა, რომ ტაივანის მოქალაქეებს კანონიერი უფლება აქვთ, მოაწყონ რეფერენდუმი სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ, რადგან ტაივანი და ჩინეთი უკვე დიდი ხანია არსებობს, როგორც ორი ცალკე სახელმწიფო.

ამ სიტყვების პასუხად ჩინეთის ოფიციალურ გაზეთში დაიბეჭდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წევრის ინტერვიუ, როგორც მან განაცხადა, ბოლო დროს იზრდება იმის საშიშროება, რომ შეიძლება დავა სამხედრო გზით გადაწყდეს. როგორც ჩინეთის წარმომადგენელმა თქვა, როგორც ჩანს, ამ რაიონში მშვიდობის დაცვა ძალის გამოყენებით მოუწევთ.

პეკინი ტაივანს ჩინეთის გამიჯნულ პროვინციად მიიჩნევს, და არაერთხელ გააფრთხილა მკაცრად ტაივანის ხელისუფლება, რომ ოფიციალურად არ გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა.

ტაივანის პრეზიდენტმა ჩენ შუი ბიანმა, ერთხელ ახსენა რეფერენდუმი, შემდეგ კი აღარ უცდია მისი მოწყობა, მაგრამ ჩინეთის ხელმძღვანელობამ მაინც გამოხატა გულისწყრომა, და მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტაივანის მეთაური თავის ხალხს კატასტროფისაკენ უბიძგებს.





# პალესტინელები შეერთებული შტატების დახმარებას ითხოვენ

**პალესტინის დელეგაციამ მოლაპარაკება გამართა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან. ეს ასეთი მაღალი დონის პირველი შეხვედრაა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის ივნისში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ იასირ არაფატი უნდა გადადგეს პალესტინის ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტიდან.**

როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან, არაფატის პოლიტიკური მომავლის საკითხი, რომელშიც ამერიკელებისა და პალესტინელების პოზიციები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მთავარი თემა იქნება.

ამ დროს, პალესტინელებსა და ისრაელებს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინის ტერიტორიებიდან ჯარების თანდათან გამოყვანას ისრაელზე თავდასხმების შეწყვეტის სანაცვლოდ, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო დროის გამოცდას. მოლაპარაკების დამთავრებისთანავე, რომელზეც პალესტინელებმა მოიწონეს ისრაელის გეგმა, ისრაელის ტანკებმა განახორციელეს ოპერაცია ღაზში, მოკლეს ერთი და დაჭრეს 4 პალესტინელი.

იმავდროულად იასირ არაფატის ფათჰის მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის წევრები შეხვდნენ თავიანთ ხელმძღვანელს, რომელზეც განიხილეს ისრაელის მიერ შემუშავებული გეგმა. შეხვედრის შემდეგ, პალესტინის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისრაელმა, რომელმაც კვლავ განახორციელა ოპერაცია ღაზში, დაარღვია თავისივე გეგმის პირობები.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა ლია გოგიჩაიშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

GCF

# ჭადრაკი

№2 (57)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადა

## უმასპინძლებს ბლედი

ფიდე-ს გადაწყვეტილებით 25 ოქტომბერს სლოვენიის ტბისპირა აგარაკ ბლედში დაიწყება მსოფლიოს ვაჟთა 35-ე და ქალთა მე-20 საჭადრაკო ოლიმპიადა, ეს იქნება მოჭადრაკეთა შთამბეჭდავი ფორუმი.

მოჭადრაკეები კარგად იცნობენ კოპწია ქალაქ ბლედს, რომელიც სულ ცოტა, სამი დიდი საჭადრაკო ტურნირის მასპინძელი ყოფილა.

ჭადრაკის ისტორიაში, კერძოდ იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონის ა. ალიოხინის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ბლედის 1931 წლის ტურნირში მისი ტრიუმფალური გამარჯვება.

1959 წელს ბლედმა უმასპინძლა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ოთხწრიან მატჩ-ტურნირს.

1961 წელს ბლედს ეწვივნენ იმდროინდელი კორიფეები – მ. ტალი, რ. ფიშერი, ტ. პეტროსიანი, ს. გლიგორიჩი და სხვები.

ასეთი საჭადრაკო ტრადიციების მქონე ბლედი საგულდაგულოდ ემზადება ახალი მასპინძლობისათვის. ცხადია, ბევრი სტუმარი ეყოლება – 150-მდე გუნდი (თითოეულში – ვაჟებისაში 4 ძირითადი და ორი სათადარიგო მონაწილე, ქალებისაში – სამი ძირითადი და ერთი სათადარიგო). მათ შორის საქართველოს მოჭადრაკეებიც.

ყველამ იცის, რომ ჩვენი ქალთა გუნდი ერთ-ერთი სერიოზული ფავორიტია. სამგზის (1992, 1994, 1996 წწ) ოლიმპიური ჩემპიონი, ერთხელ (1998 წ.) ბრინჯაოს და ერთხელაც (2000 წ.) ვერცხლის პრიზიორი. ცხადია, ახლაც ქართველი მანდილოსნების ნაკრები გამარჯვების დიდად ანგარიშგასაწევი მაძიებელია. ეს იციან ჩინეთის (ოლიმპიური ჩემპიონი), რუსეთის და სხვა გუნდებმა.

არანაკლებ პერსპექტიულია ჩვენი ვაჟთა გუნდი, რომელიც სულ უფრო აუმჯობესებს თამაშს. ბოლო ოლიმპიადაზე სტამბოლში ქართველებმა მეექვსე ადგილი დაიკავეს, წამით დაფიქრდით: მათ ჩამოიტოვეს ჭადრაკის ქვეყნებად აღიარებული მოჭადრაკეები.

ეს ყველაფერი ითქვა ამას წინათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობაზე, სადაც ჩვენი გუნდების შემადგენლობაზე იყო საფუძვლიანი სჯა-ბაასი. გამგეობას დიდი არჩევანი ჰქონდა, რადგან ბოლო დროს საგრძნობლად დაწინაურდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები, ზოგი მათგანი საერთაშორისო დიდოსტატიც გახდა.

გამგეობამ ქალთა გუნდში დაამტკიცა დიდოსტატები **მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო ხურციძე და ქეთევან არახამია,** მწვრთნელი – საერთაშორისო ოსტატი **ხვიჩა სუპატაშვილი** და გუნდის კაპიტნად ცნობილი მწვრთნელი, ოსტატი **გიორგი მაჭარაშვილი**, ვაჟთა გუნდში შეიყვანა: დიდოსტატები **ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზურაბ სტურუა, მიხეილ მჭედლიშვილი, ბაადურ ჯობავა** და საერთაშორისო ოსტატები **მერაბ გაგუნაშვილი და ზვიად იზორია,** გუნდის მწვრთნელია დიდოსტატი **ლაშა ჯანჯღავა,** კაპიტანი საერთაშორისო ოსტატი **აკაკი იაშვილი.**

საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა და ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებმა დაგეგმეს გუნდების შეკრება სექტემბერში ლიკანში. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, დამატებითი სახსრების გამოსაყოფად!

ასე რომ, საქართველოს მოჭადრაკეებს რთული და საპასუხისმგებლო ბრძოლა მოელით. გვჯერა, რომ ისინი არ დაიშურებენ მონდომებას და მამულიშვილურ სწრაფვას სამშობლოს სადიდებლად!

**თენგიზ გიორგაძე.**

ტურნირები

## თბილისელი – ამერიკის ჩემპიონი



ცნობილი თბილისელი დიდოსტატი **გენადი ზაიჩიკი** უკვე რამდენიმე წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ იგი ტურნირებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სახელით თამაშობს. ჭადრაკის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ზაიჩიკი ორი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს ვაჟა ნაკრების შემადგენლობაში.

ამას წინათ ფილადელფიაში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი. ამ ტრადიციულ ტურნირში 600-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის – გენადი ზაიჩიკი.

ჩვენმა თანამემამულემ შესანიშნავად იასპარეზა. მან 7 პარტია მოიგო, 2 ყაიმით დაამთავრა და ტურნირში პირველი ადგილი დაისაკუთრა.

ამ წარმატებით გენადი ზაიჩიკმა უფლება მოიპოვა მომავალი წლის იანვარში აშშ-ის წრიულ ჩემპიონატში ითამაშოს.

## „ლიეპაიას თეთრი ღამეები“

**ასეთი სახელწოდების მეცხრე კატეგორიის ტურნირი დამთავრდა ლიეპაიაში ამ დღეებში. მასში რვა მოჭადრაკე მონაწილეობდა. პირველ-მეორე ადგილი გაიყვეს ცნობილმა დიდოსტატებმა სვეშნიკოვმა და ხალიფმანმა. მათ 7 პარტიაში 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს.** ***ზურაბ აზმაიფარაშვილი*** **მათ ნახევარი ქულით ჩამორჩა. ამდენივე ქულა აქვთ ელვესტს და კენგისს.**

**როგორც ცნობილია, ბლედის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე აზმაიფარაშვილი საქართველოს ვაჟთა გუნდს უთავკაცებს. მანამდე კი ის მიწვეულია მსოფლიოს ნაკრებში, რომელიც 7-12 სექტემბერს მოსკოვში შევენინგენის სისტემით რუსეთის ვაჟთა ნაკრებს შეხვდება.**

**21 სექტემბერს ევროპის საკლუბო თასის გათამაშება აიღებს სტარტს. ზურაბ აზმაიფარაშვილი ბოსნია-ჰერცოგოვინის საკლუბო გუნდის „კისილიაკის“ I დაფაზე ითამაშებს.**

**7 ოქტომბერს ინდოეთში მსოფლიოს თასი გათამაშდება, რომელშიც პერსონალურად არიან მიწვეულები** ***ჩიბურდანიძე, იოსელიანი, ხურციძე და აზმაიფარაშვილი.***

ასი დღე

**საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი ზუსტად 100 დღის წინათ სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ნინო გურიელმა ჩაიბარა.**

**მართალია, სრულყოფილი ანგარიშისთვის 100 დღე დიდი არაა, მაგრამ იმის გასაცნობიერებლად, თუ რა გააკეთა და რას ეპირება საქართველოს საჭადრაკო სამყაროს ახალი პრეზიდენტი, ნამდვილად საკმარისია.**

**გთავაზობთ, საუბარს ქალბატონ ნინო გურიელთან.**



**ნინო გურიელი: „ვიცოდი, ჩემთვის ეს იოლი გასეირნება არ იქნებოდა...“**

**– ჩვენი ინტერვიუს ტრადიციული მიზეზიდან გამომდინარე, პირველი კითხვაც, ცხადია, ტრადიციული იქნება. ყოველი ახალი ხელმძღვანელი, როგორც წესი, იწყებს ბაზის შესწავლით. რა დაგხვდათ?**

– მეც ის პრობლემები დამხვდა, რაც საერთოდ ჩვენი ქვეყნის სენად იქცა. გაუცემელი პრემია, სტიპენდიები, სამეურნეო ვალები. მე ამ პოსტზე 29 მარტს ამირჩიეს. სამი დღის შემდეგ კი პირველი ვექსილით მომადგნენ. გაირკვა, რომ ფედერაციას საკმაოდ დიდი დავალიანება ჰქონდა „ეი-ი-ეს თელასის“ მიმართ. „ეი-ი-ეს თელასთან“ სიტუაციის გარკვევის შემდეგ შუქის დავალიანება ფაქტიურად განახევრდა. ეს პრობლემა სასახლის შიგნითაც დასარეგულირებელი იყო. პრობლემა იყო სტამბოლის ოლიმპიადის გაუცემელი პრემია. ამის გამო საჭადრაკო ელიტა უკმაყოფილებას ნამდვილად არ მალავდა. მეტიც, მაია ჩიბურდანიძეს და ნანა იოსელიანს ჭადრაკისკენ, რომ იტყვიან, გამოხედვაც კი არ უნდოდათ. ჩემი პრეზიდენტობის პირველივე დღეები ამის მოგვარებასაც შევალიე. ახლა ორივე მათგანი სერიოზულად ემზადება მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადისათვის. პრობლემა გვქონდა ტელეფონზეც. მისი მოგვარება იმით დავიწყე, რომ პირადად ჩემს ტელეფონზე დავაწესე ლიმიტი. ეს წესი ავტომატურად გავრცელდა ყველაზე. პირადი ხასიათის და ზედმეტი საუბრების გადახდა, ჩემის თამადობით, თავადვე გვიწევს. შედეგი აქაც ძალიან მალე გამოჩნდა.

მოკლედ, ჩემი პრეზიდენტობის პირველი ასი დღიდან ნახევარი იმაზე წავიდა, რომ ყველაზე მტკივნეული პრობლემები მომეგვარებინა, ჩავმეხედა ყველა პრობლემის სიღრმეში. ახლა ჩვენთან ყველანაირი შემოსავალ-გასავალი გამჭვირვალეა. ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ფუნქცია...

**– ორგანიზაციული საკითხების მოგვარებამ თავად საჭადრაკო ცხოვრების რიტმი ხომ არ შეანელა?**

– არა. რატომ? აპრილში დაგეგმილი საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ჩატარდა. შემიძლია, გითხრათ, მაღალ დონეზე. ტურნირი სცენაზე მიმდინარეობდა თავისი სადემონსტრაციო ჩვენებით და სრული სერვისით. ჩემპიონს – მაია ლომინეიშვილს ხელფასი მაშინვე გაეზარდა. პრიზიორებს ანა მათნაძეს და სოფიკო ნიკოლაძეს კი სტიპენდია დაენიშნათ. ასე იქნება მომავალშიც. ანალოგიურად მოხდა ვაჟთა ჩემპიონატის შედეგების შეფასება. ჩატარდა სხვა ტურნირებიც. სასახლის მესამე სართულზე გაკეთდა მშვენიერი სათამაშო დარბაზი.

ახლა მთელი ყურადღება ოლიმპიადაზეა გადატანილი. დაგეგმილია საწვრთნელი შეკრება ლიკანში. დამეთანხმებით, ეს არ იყო ადვილი გასაკეთებელი. ამ ოლიმპიადაზე ორივე ნაკრებს პირველად გაჰყვება საკუთარი მწვრთნელი. ოლიმპიადის შედეგების მიმართ პრემიალური დამოკიდებულება იქნება, რაც ცხადია, გარკვეული სტიმული იქნება ორივე გუნდისთვის. ღმერთმა ქნას და თუ ბლედში წარმატებით ვიასპარეზებთ, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ პრემიას მოჭადრაკეები წლობით არ ელოდონ.

**– გასაგებია, ახლა მოდით, ერთ საკითხსაც შევეხოთ. როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები წოდებით ნაკლები მოჭადრაკეებისთვის გარკვეული პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით?**

– ფედერაციაში მოსვლისთანავე მე ეს საკითხი პრინციპულად დავსვი. საუბარი იყო 10-10 მოჭადრაკე ქალ-ვაჟზე, რომელთაც ხელფასები უნდა დანიშნოდათ და ისინი, უნდა ითქვას, სულაც არ გადიოდნენ ე. წ. „ელიტარულ“ მოჭადრაკეთა რანგში. დღეს ეს პრობლემა გადაწყვეტილია. მათ შორის, ვისაც ხელფასები დაენიშნათ, არიან, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მერაბ გაგუნაშვილი და სხვები. ამ მხრივ უყურადღებოდ ჩვენ არც ვეტერანი მოჭადრაკეები და საჭადრაკო მოღვაწენი დაგვიტოვებია. კერძოდ, ნანა ალექსანდრია, ოთარ თურქესტანიშვილი, ლილი წეროძე, თენგიზ გიორგაძე და სხვები. შეიძლება ისინი ასჯერ მეტს იმსახურებენ საქართველოში ჭადრაკის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, მაგრამ ფედერაციას ჯერ მეტის საშუალება ნამდვილად არ გააჩნია.

უზომოდ მახარებს ახალგაზრდა მოჭადრაკეების წარმატებები. გარკვეულ წილად ფეხ-ბედნიერი პრეზიდენტი აღმოჩნდი. ამ მცირე დროის განმავლობაში საქართველოს ოთხი ახალი დიდოსტატი შეემატა. მიხეილ მჭედლიშვილს და ანა მათნაძეს ეს წოდება უკვე მიენიჭათ. ზვიად იზორიას და მერაბ გაგუნაშვილს დიდოსტატის რანგში ფიდეს კონგრესის შემდეგ ვიხილავთ.

**– რა შეგიძლიათ თქვენს „ამომრჩევლებს“ უთხრათ?**

– ალბათ, ის, რომ მე სიტყვა არ გამიტეხავს. რაც ჩემს პროგრამაში მქონდა შეტანილი და რასაც ერთგულობაზე დავპირდი საქართველოს საჭადრაკო სამყაროს, ნელ-ნელა ვასრულებ. ბარემ აქვე ჩემს ოცნებასაც გავამხელ. მე ძალიან მინდა, რომ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის თბილისში ჩატარდეს. ამის თაობაზე მე მქონდა საუბარი ქვეყნის ხელმძღვანელობასთან. პრინციპში თანხმობა მიღწეულია და იმედი მაქვს, რომ ეს ჩანაფიქრი რეალურად განხორციელდება.

**– როგორც მოჭადრაკემ, რა გააკეთეთ ამ ასი დღის მანძილზე?**

– ფაქტიურად არცერთი, არც ერთი პარტია არ მითამაშია. მთლიანად ორგანიზაციული და სხვა სახის პრობლემების მოგვარებაზე ვიყავი გადართული. სიმართლე გითხრათ, მე ვიცოდი, რომ იოლი გასეირნება არ მომიწევდა. მაგრამ ასეთს ნამდვილად არ ველოდი.

**– ხომ არ ნანობთ ამ უღელში შებმას?**

– არა. მე ხომ მაინც ჩემს საქმეს ვაკეთებ. ვემსახურები ჭადრაკს და მოჭადრაკეებს.

**– ჭადრაკი საქართველოში ყოველთვის იყო პრივილეგირებული. ახლა, რა თქმა უნდა, გასაგები მიზეზების გამო, ასე ვერ იქნება. და მაინც, ვინ გეხმარებათ, ვინ გიდგათ გვერდში, ვის ემადლიერებით?**

– გეთანხმებით. დღეს ყველას უჭირს. ქვეყანა კრიზისს განიცდის. ჭადრაკისათვის პრივილეგირებული დამოკიდებულებიდან მოგონებაღა შემოგვრჩა. მაგრამ მას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ჩემი ახლანდელი მუშაობის მანძილზე მე საკმაო მხარდაჭერა მქონდა და მინდა მათ ყველას დიდი მადლობა მოვახსენო ამისთვის. პირველ პირში, ეს ქვეყნის პრეზიდენტს ეხება. მე ნამდვილად არ მინდა დავუკარგო ის, რაც მან ქართული ჭადრაკისთვის გააკეთა საერთოდ და ახლაც. სპორტის დეპარტამენტი და მისი ენერგიული ხელმძღვანელი ირაკლი მეძმარიაშვილი მუშაობის პირველივე დღიდან მხარში დამიდგა. მისი უშუალო მზრუნველობის შედეგად მოვახერხე იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. ფინანსთა სამინისტრო და მისი ახალი თავკაცი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად გვიდგანან მხარში. თავად ჭადრაკის სასახლის თანამშრომლები, ჩემი თანამოაზრეები. ყველას მინდა მადლობა ვუთხრა, რადგან თანადგომის გარეშე დიდი საქმე არ გაკეთდება.

ესაუბრა

**გიგლა გოგეჩია.**

ვულოცავთ!

## ამაგი დაუფასდა

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელს **ოთარ ალხანიშვილს** ღირსების ორდენი მიენიჭა, რაც მისი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე საწვრთნელო ასპარეზზე მოღვაწეობის დაფასებაა. ბატონი ოთარი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებს თავის საყვარელ საქმეს. ვულოცავთ ნანა იოსელიანის და ზურაბ სტურუას პირველ პედაგოგს მთავრობის ჯილდოს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და მისი აღზრდილების ახალ წარმატებებს.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ბაქოში

# დიდი წარმატება


ზვიად იზორია.

ნია თექვსმეტწლიანთა შორის, იმავე წელს მოსკოვში დიდოსტატთა მონაწილეობით გამართულ საერთაშორისო ტურნირში მან გარი კასპაროვის თასი დაისაკუთრა. საქართველოს პრეზიდენტის ორ-ორგზის სტიპენდიატი და გრანტის მფლობელი ზვიად იზორია ახლახან საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრად აირჩიეს. 18 წლის ზვიადი, იმედია, მომავალშიც მრავალგზის გაგვახარებს წარმატებებით, რომლის მოპოვებაში მას დიდად ეხმარება სანკტ-პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე ბადრი კაკაბაძე. სწორედ ამ გულისხმიერი მეცენატის დაფინანსებით შეძლო მან სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა...

ამჟამად ზვიადის საერთაშორისო ოსტატი ხვიჩა სუპატაშვილი ამეცადინებს.

ახლა კი კვლავ ბაქოში გამართულ პირველობას დავუბრუნდეთ. ვაჟებში მეორე ადგილზე გასვლის დიდი შანსი ჰქონდა თბილისელ ვალერი გაფრინდაშვილს, მაგრამ ბოლო ტურში იგი შაჰრიარ მამედიაროვთან დამარცხდა და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. ნიკოლოზ ჩხაიძემ და ლევან არომშიძემ შესაბამისად, მე-16 და მე-18 ადგილები დაიკავეს.

ივლისის მიწურულს ბაქოში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც 27 გოგონა და 31 ვაჟი მონაწილეობდა. აზერბაიჯანის დედაქალაქში მედლებისთვის საქართველოს 11 წარმომადგენელი იბრძოდა. ყველაზე უკეთ იასპარეზა თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამეკურსელმა **ზვიად იზორიამ**, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 8.5 ქულა მოაგროვა და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა. ამრიგად, ხონელმა მოჭადრაკემ ოცწლიანებში ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ მოიპოვა (შარშან საბერძნეთში ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე). საგულისხმოა, რომ ზვიადმა ბაქოში მესამედ შეასრულა დიდოსტატობის ბალი. ამ წოდებას მას ფიდეს უახლოეს კონგრესზე მიანიჭებენ. ზვიად იზორია ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ – იგი საქართველოს ხუთგზის ჩემპიონია სხვადასხვა ასაკში, ევროპის პირველობებზე სამჯერ გავიდა საპრიზო ადგილებზე, შარშან კი თვრამეტწლიანებში მოიპოვა ჩემპიონობა, ხოლო ამავე ასაკში მსოფლიო პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ზვიადი 2000 წლის მსოფლიო ჩემპიო-


ნანა ძაგნიძე.


ინგა ჭარხალაშვილი.

გოგონებში დიდ წარმატებას მიაღწიეს ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა: თერთმეტი შესაძლებლიდან 8 ქულით ვერცხლის მედალი ხვდა 15 წლის **ნანა ძაგნიძეს**, (მას ქულით გაუსწრო და ჩემპიონობაც მოიპოვა აზერბაიჯანელმა ზეინაბ მამედიაროვამ). ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი **ინგა ჭარხალაშვილს** ერგო. მეხუთე-მეექვსე ადგილები სოფიკო ხუხაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა გაინაწილეს. მეცხრე ადგილზე გავიდა სალომე მელია, მეათეზე – ნინო ბატიაშვილი, მე-14 ადგილი მეგი ესებუამ დაიკავა.

**ლექსო ცინცაძე.**
**ჯემალ კასრაძისა და ვაჟა დანელიას ფოტო.**

ჰუსეინოვი



იზორია

*გთავაზობთ იზორიას და ჰუსეინოვის პარტიის დასკვნით ნაწილს.*

თეთრები ენერგიული თამაშით გადამწყვეტ უპირატესობას აღწევენ
24. მdc7! მc7 25. კb6 ეc8
26. მd6 ლd7 27. მe8 ლd1
28. ეcd1 მe8 29. ეd8 ეd8
30. კd8 კd4 31. მფf1 b6
32. ეe6 მe6 33. კd5 მფf7
34. f5 და შავები დანებდნენ.

თაობა

# დიდი ნიჭის გამონათება

ვინც საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებას ადევნებს თვალს, არ შეიძლება არ შეემჩნია, რომ ამ ბოლო დროს „ნიაღვარივით" მოედინება ნიჭიერი გოგო-ბიჭების კოჰორტა. XX-XXI საუკუნეების გასაყარზე დიდ საჭადრაკო სარბიელზე გამოჩნდნენ თამაზ გელაშვილი, ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ზვიად იზორია, ანა მათნაძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, სოფიოები – გვეტაძე და ხუხაშვილი და სხვები. ბევრი მათგანი უკვე საერთაშორისო დიდოსტატიც გახდა.

აი, ამ ნიჭის ყმაწვილებს „დაეწია" 17 წლის მერაბ გაგუნაშვილი. იგი მუდამ ბრძოლის ველზე იყო. შარშან პირველად გაიცნო საზოგადოებამ, როცა საბერძნეთში მსოფლიო პირველობაზე 20-წლიან ჭაბუკებს შორის ვერცხლის მედალი და საერთაშორისო დიდოსტატის ბალი მოიპოვა. ეს დიდი განაცხადი გახლდათ, ამიტომაც ალაპარაკდა საზოგადოებრიობა, კიდევ ერთმა დიდმა ნიჭმა გამოანათაო.

ამ გაზაფხულზე ბათუმში, ევროპის ვაჟთა III ჩემპიონატში მერაბმა სენსაციური გამარჯვება იზეიმა. დაიკავა მეოთხე ადგილი, რამაც 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოუტანა და საერთაშორისო დიდოსტატის ნორმაც შეასრულებინა. მსგავსი წარმატება ლოგიკური გაგრძელებაა იმ გზისა, რომელსაც ნიჭიერი ყმაწვილი ბავშვობიდან მიჰყვება.

მერაბი 6 წლის იყო (დაიბადა 1985 წლის 3 იანვარი) ბებია ალამ ჭადრაკი რომ გააცნო, „ბიჭუნა ისე დაინტერესდა თამაშით, რომ 57-ე საშუალო სკოლაში, სადაც იგი პირველკლასელი იყო, სიხარულით ჩაეწერა ჭადრაკის წრეში. მისი პირველი მწვრთნელი იყო საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის ასპირანტურადამთავრებული ქეთი აბაშიძე. საერთოდ, მერაბს ყოველთვის ერუდირებული მასწავლებლები ჰყავდა. იგი მადლიერების გრძნობით იხსენებს აწგარდაცვლილ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს შოთა ინწკირველსა და არჩილ მეგრელიშვილს.

10 წლიდან მერაბი აქტიურად მონაწილეობდა ბავშვთა შეჯიბრებებში. თბილისის ჩემპიონიც ყოფილა თანატოლებში. მერე მონაწილეობა აქვს მიღებული მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში. 12, 14, 16, 18 და 20-წლიან ყმაწვილებს შორის.

– მართალია, მედლები არ მიმიღია, მაგრამ ვგრძნობდი რომ ვიზრდებოდი, – ამბობს მერაბი.

ეს მართლაც ასეა. 162-ე საშუალო სკოლის მოსწავლე წარმატებით მონაწილეობს თბილისის, ერევნის და ბათუმის ტურნირებში. 1997 და 1999 წლებში საქართველოს ჩემპიონია ჭაბუკთა შორის. ფიდე მას საერთაშორისო ოსტატის წოდებას ანიჭებს.



ეს სტიმული უბიძგებს ნიჭიერ ოსტატს უფრო ღრმად ჩაწვდეს ჭადრაკს, მერაბს კარგად ესმის, რომ შემოქმედებით ზრდას ხელს უწყობს სპეციალური ლიტერატურის გაცნობა და გულდადებული, მიზანსწრაფული მუშაობა ანალიზში. ამიტომ ბევრსაც კითხულობს, უზის პარტიების გარჩევას.

სწორედ ამის შედეგი იყო საბერძნეთში მოპოვებული ვერცხლის მედალი 20-წლიანების მსოფლიო პირველობაში.

და აი, ახალი სიმაღლის დაძლევა ბათუმში. მერაბი როდი შეუშინდა დიდოსტატებს და საერთოდ მძიმე ბრძოლას გამოცდილ მეტოქეებთან. მერაბს მხარში ედგა მწვრთნელად დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა. მან 6 დიდოსტატი (მ. კრასენკოვი, ა. მინასიანი, ა. გოლომშჩაპოვი, ვ. კოტრონიასი, ა. ფეოდოროვი, ა. გალკინი) დაამარცხა, ამდენივე პარტიაში ყაიმზე შეთანხმდა და ერთი წააგო. მერაბმა თავისი რეიტინგი (2472) 46 პუნქტით აიმაღლა. საინტერესოა ასეთი ფაქტი: ტურნირში 101 მონაწილეთაგან მხოლოდ მერაბმა 2590 რეიტინგის მქონე დიდოსტატის ძალით ითამაშა.

აი, მისი ერთ-ერთი საუკეთესო პარტია:

ვ. კოტრონიასი — მ. გაგუნაშვილი
უფიმცევ — პირცის დაცვა

1. e4 d6 2. d4 მf6
3. მc3 g6 4. კg5 c6
5. ლd2 b5 6. კd3 კg7
7. f4 0-0 8. a3 h6
9. კh4 e5! 10. de de
11. 0-0-0
11. fe-ს მოჰყვებოდა 11. ... მe4!
11. ... მbd7 12. მf3 ლe7
13. fe მe5 14. კe2 a5
15. მe5 ლe5 16. კg3 ლe6
17. e5 მd7 18. მe4 მe5
19. მფb1 მc4 20. კc4 ლc4
21. მd6 ლg4 22. კf4 g5
23. კe3 კe6 24. h4 b4
25. hg ba 26. gh კb2
27. კd4 f6 28. h7 მფh8
29. c4 ეab8 30. მფa2 c5
31. კc5 კc4. 0:1

შთამბეჭდავმა წარმატებამ ბათუმში მერაბს დიდი აღიარება მოუტანა. იგი საქართველოს ოლიმპიურ გუნდში მიიწვიეს, ეს არა მარტო დიდი ნდობაა, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც. მძიმეა ბრძოლა „საჭადრაკო ფრონტის" წინახაზზე.

მერაბთან საუბარში ვიგრძენით როგორი სიყვარულით და პასუხისმგებლობით ეკიდება იგი ჭადრაკს. მოვუსმინოთ მერაბს:

– ვიცი, რომ ჭადრაკში ბევრი მაქვს შესასწავლი. ამიტომ ვარჩევ თანამედროვე კორიფეთა გარი კასპაროვის, ანატოლი კარპოვის პარტიებს, ვეცნობი თითქმის ჩემი თანატოლების რუსლან პონომარიოვის, თემურ რაჯაბოვის და სხვების შემოქმედებას. არც ძველები მავიწყდება. მაგალითად, მომწონს აკიბა რუბინშტეინის მიერ ენდშპილის თამაში. ყველაფერს დრო სჭირდება. ახლა უფრო ყაირათიანად უნდა მოვეკიდო მას. ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველკურსელი გავხდი. ახალგაზრდა ვარ და იმედია დატვირთვას გავუძლებ. ახლა ჩემი მიზანია ოლიმპიადისთვის კარგად მოვემზადო.

აი, ასეთია ახალი „ვარსკვლავი", რომელსაც ამ დღეებში ფიდე საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიანიჭებს. იგი იქნება ვაჟთა შორის, ყველაზე მცირეწლოვანი დიდოსტატი ქართული ჭადრაკის ისტორიაში.

ვუსურვოთ მერაბს ნათელი გზა მომავლისაკენ!

**თენგიზ გიორგაძე.**

იმრავლოს!

# კიდევ ორი დიდოსტატი

**ამას წინათ ფიდემ მოჭადრაკეთა ერთ ჯგუფს ახალი წოდებები მიანიჭა. მათ შორის 3 ქართველია. დიდოსტატები გახდნენ ანა მათნაძე და მიხეილ მჭედლიშვილი, საერთაშორისო ოსტატი კი — გიორგი ჟოხონელიძე.**

ორივე ახალგაზრდა დიდოსტატის სპორტულ წარმატებებზე „ლაზიერის" მკითხველები ინფორმირებულები არიან. გთავაზობთ ფრაგმენტებს მათი შემოქმედებიდან.

მათნაძე



მგელაძე

საქართველოს ვაჟთა 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში ანა მათნაძე შეუპოვრად თამაშობდა.

31. ... hg 32. hg მფg7!
33. b5 ეh8 34. bc კg3
35. ლe1 კg2 36. კg2 კh2
37. მფf1 fg 38. მფg2 ლf3
39. მფf1 კf4 0:1.

ბაკლანი



მჭედლიშვილი

ეს პარტია ბათუმში ევროპის ჩემპიონატში გათამაშდა. მიხეილმა ზუსტი თამაშით დაამარცხა ცნობილი დიდოსტატი

43. ლc2 კc2 44. d7 ეa2
45. მფg1 ეa1 46. მფf2 ეd1
47. e7 ეd2 48. მფg1 ეd1
49. მფh2 ეd7 50. e8ლ კf5
51. ლe3 b5 52. კc6 ეc7
53. ლb6 1:0.





გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგიონი

მრავალფეროვან სპორტულ ტრადიციათა რაიონში გავიზარდე. ოზურგეთში (1934 წლიდან საბჭოთა პერიოდში მახარაძე ერქვა) ჭადრაკი განსაკუთრებით უყვარდათ, რაც უპირველესად „გურულების ბოტვინიკად" წოდებულ **გრიგოლ (გრიშა) კალანდარიშვილის** და **სიმონ გუგუნავას** დამსახურებაა.

ორივე მათგანი მონაწილეობდა სრულიად საქართველოს საჭადრაკო ტურნირში, რომელიც 1935 წლის 25 ივნისს თბილისში გაიხსნა. 33 მოჭადრაკე საწყის ეტაპზე რამდენიმე ქვეჯგუფში ასპარეზობდა. კალანდარიშვილმა, მართალია, შეძლო ისეთი ძლიერი მეტოქის დამარცხება, როგორიც ლევიტასი გახლდათ, მაგრამ 2,5 ქულით ფინალის მიღმა დარჩა. გუგუნავამ 1,5 ქულა მოაგროვა. სხვათა შორის, ფინალში ლევიტასმა ლამბარაშვილს სძლია. საერთოდ, შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმო აკაკი ფირცხალავამ (4 ქულა 5-იდან), მეორე იყო ვიქტორ სერედა (3,5), მესამე ვლადიმერ ხოტელაშვილი (2,5).

ამ ტურნირში საქართველოს 15 ქალაქის და რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით თბილისის, ბათუმის და სოხუმის შემდეგ ოზურგეთი ქუთაისის და ჭიათურის თანაბრად იყო წარმოდგენილი.

მინდა გავიხსენო მახარაძის რაიონის 1941 წლის პირველობა, რომელშიც კალანდარიშვილის და გუგუნავას გარდა გამოდიოდნენ საქართველოს პირველი საკოლმეურნეო ჩემპიონატის (1939 წ.) პრიზიორი, შემოქმედელი ბადრი ჩხატარაიშვილი, სპორტსაზოგადოება „კრასნიია როზას" რესპუბლიკური შეჯიბრების პრიზიორები ალ. კალანდაძე და ლიუდვიგ ტიმოფეევი, აგრეთვე მეორეთანრიგოსანი სტუდენტი ილია ანთელიძე.

ჩემპიონატის სტარტზე ორივე ფავორიტი დამარცხდა, საბოლოდ კი 16 შესაძლებლიდან 14,5 ქულით გაიმარჯვა გუგუნავამ. კალანდარიშვილი მას 1,5 ქულით ჩამორჩა.

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი გრიგოლ კალანდარიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას შესანიშნავად უთავსებდა ჭადრაკის დიდ სიყვარულს. პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მისი ორსვლიანი ამოცანები. საჭადრაკო კომპოზიციაში მისი მოღვაწეობის ლოგიკურ შეფასებად მიგვაჩნია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" და ოზურგეთის „ალიონის" რედაქციების მიერ 1993 წელს გამოცხადებული რესპუბლიკური საჭადრაკო კონკურსი ორსვლიანი ამოცანების შედგენაში, რომელიც გრ. კალანდარიშვილის 80-ე წლისთავს მიეძღვნა.

მახარაძის ათგზის ჩემპიონი ბატონი გრიშა დიდი წარმატებით გამოდიოდა განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში; 1939 და 1940 წლებში მეორე პრიზიორი გახლდათ.

მკითხველებს ვთავაზობთ გრ. კალანდარიშვილის მიერ 1947 წელს საქართველოს გუნდურ პირველობაზე აჭარის მრავალგზის ჩემპიონთან პირველთანრიგოსან პ. მორჩილაძესთან მოგებული პარტიის ფინალს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის შოთა ინწკირველის კომენტარებით.



# გიორგი მახარაძე
# საჭადრაკო გურია

კალანდარიშვილი



მორჩილაძე

მწვავე პოზიციაა. ღია g ხაზი, შავი მხედრის თეთრი მეფის მახლობლად დგომა... 26. ... ეg3! განხორციელდა ჩატრევის იდეა. 27. ლg3 ეg7 28. ეf3 ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ორი ეტლი გაიცვალა ლაზიერსა და პაიკში, მაგრამ 28. ... b4! მორჩილაძე დანებდა.

ბატონმა გრიგოლმა მეორე პარტიაშიც გაიმარჯვა (შეჯიბრება ორ წრედ ტარდებოდა), რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი მატჩში ოზურგეთელების გამარჯვებას საერთო ანგარიშით 6,5:3,5.

გრიგოლ კალანდარიშვილი, დღესაც (თავის 92 წლის ასაკში) „სპორტულ ფორმაშია".

ოზურგეთელ მოჭადრაკეთა მეორე ლიდერი სიმონ გუგუნავა – ჭადრაკზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი, წლების განმავლობაში რაიონში საჭადრაკო-საშაშო სექციის ხელმძღვანელი, კულტსახლის ჭადრაკის მეთოდისტი, საჭადრაკო ღონისძიებათა ორგანიზატორი და ფრიად განათლებული პიროვნება.

... 1935 წლის იანვარში, მახარაძეში ქალაქის პირველი ჩემპიონატი მოეწყო, საპრემიო ფონდით. ტურნირში 21 მოჭადრაკე მონაწილეობდა, 17-17 ქულით 20-დან გაიმარჯვეს ს. გუგუნავამ, დ. მჟავიამ და ი. სურგულაძემ. დაინიშნა სამთა მატჩ-ტურნირი, რომელიც ბატონი სიმონის დიდი უპირატესობით აღინიშნა: 4-დან 3,5-ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ქალაქის პირველი ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილი მჟავიას, ხოლო მესამე – სურგულაძეს ერგო წილად.

სიმონ გუგუნავასთვის საჭადრაკო მოღვაწეობის მწვერვალს 1955 წლის შემოდგომაზე გამართული საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი წარმოადგენდა. ქვეყნის ათი ქალაქისა და რაიონის 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა ქ. მახარაძეში მოწყობილ ამ შეჯიბრებაში. ჩვენი ნარკვევის გმირთან ერთად მასპინძლებიდან ნახევარფინალში დაუშვეს რევაზ ჭყონია და პანტელეიმონ თენიეშვილი.

ნახევარფინალური ტურნირი მოიგო ს. გუგუნავამ, რომელმაც „ლელოს" შეფასებით „შეჯიბრება თანაბარი ძალით ჩაატარა", 13-დან 10 ქულა შეაგროვა.

ფინალურ ტურნირში (მარტი, 1956 წელი) აგრეთვე გამსვლელი მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს ზუგდიდელმა მ. დემურიამ და ქუთაისელმა ა. რაზოვსკიმ (9,5-9,5 ქულა თითოეულმა), ფინალში სამივენი შეუერთდნენ ოსტატებს შიშოვსა და გურგენიძეს, გამოცდილ ოსტატობის კანდიდატებს სოროკინს, ბლაგიძეს, გიორგაძეს, ბუსლაევს, გერშკოვიჩს და სხვებს.

სამწუხაროდ, ს. გუგუნავა საბრძოლო განწყობილებით ვერ შეხვდა ჩემპიონატს და შედეგიც შეუფერებელი ჰქონდა. მოხერხდა თბილისის 1960 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალური ტურნირის მასალების მოძიება. 12 მონაწილეს შორის ს. გუგუნავამ 6,5 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილა ა. კოტლიარევსკისთან, რომელთანაც პირად შეხვედრაში მოგებული პარტიის ფინალს გთავაზობთ.

გუგუნავა



კოტლიარევსკი

შუა თამაშში თითქოსდა გამოიკვეთა თეთრების პოზიციური უპირატესობა, მაგრამ ს. გუგუნავამ რამდენიმე გაბედული სვლით. (g5, მ:e5, c5) მოშალა თეთრების ბასტიონი დაფის ცენტრში და ხელთ იგდო ინიციატივა.

31. ... ეe3! 32. მg1 კa5
33. ეe2 კa6 34. ეed2 კd2
35. ეd2 ეe1 36. კd6 ეf1
37. მფg2 ეc1 38. b4 ე8e1!
39. კh2 d3 40. bc ეc2
41. კf4 ეd1! 42. მf3 კb7! შავებმა რამდენიმე სვლაში მიაღწიეს გადამწყვეტ მატერიალურ უპირატესობას და გაიმარჯვეს.

60-იან წლებში და შემდგომ ს. გუგუნავა, ფაქტობრივად, ჩამოშორდა ჭადრაკის პრაქტიკულ თამაშს და დროის ძირითად ნაწილს უთმობდა საჭადრაკო შეჯიბრებათა მსაჯობას, როგორც რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ასევე სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაზით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იმ წლებში კულტურის სამინისტროს ტირაჟირებით მისი ორი ნაშრომი გამოიცა: ოსტატ ა. ებრალიძის რედაქტორობით საჭადრაკო ხელოვნების თეორიის სწავლების მეთოდიკისა და ორგანიზაციის საკითხები. მეორეც – ჭადრაკის თამაშის ზოგიერთი წესი.

სიმონ გუგუნავა გარდაიცვალა თბილისში, 73 წლის ასაკში, 1984 წელს.

## ისტორია

# ვის დავუჯერო?

50-იან წლებიდან ვიკვლევდი სახელგანთქმული ქართველი მოჭადრაკის **ანდრია დადიანის** ცხოვრებასა და შემოქმედებას. რამდენიმეჯერ შევეცადე მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვეცნობოდი მის საჭადრაკო მემკვიდრეობას. უცხოელებთან არ დამრჩენია რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთები. 1972 წელს გამოვეცი კიდეც მონოგრაფია „თამაშობს ანდრია დადიანი" 10-ათასიანი ტირაჟით.

მაგრამ ერთი რამ მაინც მწყდებოდა გულს: ვერ დავადგინე დადიანის დაბადების თარიღი. წელი (1850) ვიცოდი, მაგრამ დღესა და თვეს ვერსად მივაგენი. საინტერესოა, რომ ცნობილ მწერალს, „დადიანოლოგს" იოსებ მეუნარგიას მაინცდამაინც ანდრიას დაბადების თარიღი გამორჩა. მაშინ, როცა მისი და-ძმისა აქვს მოხსენიებული. ვცადე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული რუსეთის არმიის არქივში გამეგო. მით უმეტეს, რომ დადიანი რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი გახლდათ. აქაც კი ვერ ნაცარში ჩამივარდა...



და აი, 2000 წლის თებერვლის დამდეგს საქინფორმმა გაავრცელა ცნობა, რომ 12 თებერვალს სრულდება ანდრია დადიანის დაბადებიდან 150 წლისთავი. გამეხარდა. პრესაში მეც აღვნიშნე იუბილე. მოვიკითხე საიდანაა-მეთქი ეს მონაცემები. ქუთაისიდანო. მართალი რომ ვთქვა, არ ვაინტერესებდი თუ საიდან მოიძიეს ქუთაისელებმა ეს თარიღი. მთავარი იყო, რომ დადგინდა იგი.

მეგონა, საკითხს ნათელი მოეფინა, მაგრამ 2001 წლის ჟურნალ „64-შახმატნოე ობოზრენიეს" მეათე ნომერში რუბრიკაში „დამოძღვრება" ამოვიკითხე, რომ დადიანი დაბადებულა 1850 წლის 24 ოქტომბერს. გავცოცდი. მაშინვე გავეგზავნე შეკითხვა „დამოძღვრების" წამყვანს, ჩემს ძველ კეთილ მეგობარს, ოსტატ ანატოლ მაცუკევიჩს, საიდან ჰქონდა ეს ცნობა. მან დაუყოვნებლივ მიპასუხა: იგი 1973 წელს ფილადელფიაში (აშშ) გამოცემულ მოჭადრაკეთა ვინაობის კატალოგიდან ამოვიღეო, თან გამომიგზავნა კატალოგის ტიტულის და იმ გვერდის ქსეროასლი, სადაც ანდრიას დაბადება-გარდაცვალების თარიღები იყო მითითებული.

ახლა აღარ ვიცი ვის დავუჯერო. ვინაა მართალი. ჭეშმარიტების დასადგენად, ალბათ, საჭიროა მესამე წყაროს მოძიება.

კატალოგში უზუსტობაა. დადიანის გარდაცვალების თარიღში ცნობილია, რომ იგი გარდაიცვალა კიევში 1910 წლის ივნისში. კატალოგში მითითებულია 12 ივნისი. მაგრამ ანდრიას კიეველი მეგობარი, თავადი ნესტორ ერისთავი წერდა სადომე დადიანი-მიურატისას, რომ მისმა ძმამ სული დალია 13 ივნისს „დამე მოსამსახურეების ხელში". საინტერესოა, საიდან აიღეს ამერიკელებმა 12 ივნისი?

ერთი სიტყვით, ანდრია დადიანის დაბადების თარიღთან დაკავშირებული კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს.

**თენგიზ გიორგაძე.**

## რეცენზია

# გარდასული წლის მატიანე

როგორ იქმნება ისტორია? ეს საიდუმლო როდია: ყველა დიდი, საყურადღებო მოვლენა ფიქსირდება დროის მითითებით. ასე გროვდება ჟამიდან ჟამამდე და ერთად თავმოყრილი ინახება ფოლიანტებში. ეს პროცესი რუდუნებას, მოთმინებასა და გულშემატკივრობას მოითხოვს. ასე მოაღწია ჩვენამდე ქართული ჭადრაკის წარსულმა თენგიზ გიორგაძის სამტომეულის „ქართული ჭადრაკის მატიანეს" სახით.

ცხოვრება ერთ ადგილას როდი დგას. XXI საუკუნის დასაწყისიც სავსეა თვალსაჩინო ტურნირებით, მატჩებით, რომელთა ფერხულში ქართველი მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ. ბევრ შემთხვევაში – წარმატებითაც, ამიტომ ამ მიღწევებმა უკარნახა ქართული ჭადრაკის მესვეურებს მათი ამსახველი საინფორმაციო ცნობარის გამოცემა. შარშან დაისტამბა კიდეც ქართველი მოჭადრაკეების 2000 წლის მონაპოვართა ჩამონათვალი -ცნობარი, რომელსაც დიდი მოწონებით შეხვდნენ გულშემატკივრები.

ახლახან დღის სინათლე იხილა ახალმა ცნობარმა – „ქართული ჭადრაკი-2001", რომელიც კვლავ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, კომპოზიციის დიდოსტატმა დავით გურგენიძემ და ცნობილმა მწვრთნელმა ოსტატმა გიორგი მაჭარაშვილმა მოამზადეს.

ცნობარი შეიცავს მრავალნაირ ინფორმაციას, მეტიც, მასში ახალი რუბრიკებიც გაჩნდა. მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკის" დამატება „ლაზიერში" 2001 წელს დაბეჭდილი წერილების ჩამონათვალი; წარმატებული მწვრთნელების ფოტოები თავის აღზრდილებთან ერთად. ეს უთუოდ პასუხისმგებლობას შემატებს ნორჩი თაობის აღსაზრდელებს. აგრძნობინებთ მათი შრომა-ღვაწლის დაფასებას საზოგადოების მხრიდან.




2001 წლის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლდათ სწორუპოვარი ნონას დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ცნობარში სრულფასოვნად არის აღბეჭდილი ყველაფერი, რაც გაკეთდა იუბილეს დღეებში.

ცნობარში დაინტერესებულთ შეუძლია გაეცნოს საქართველოს მოჭადრაკეების რეიტინგებს, ყველა მიღწევას საქართველოს და საერთაშორისო ორბიტაზე ჩვენი დიდოსტატების, ოსტატების და ნორჩი მოჭადრაკეების მიღწევებს.

დიდ მოწონებას იმსახურებს ქართველ მოჭადრაკეთა კომბინაციური შემოქმედების 132 მაგალითი, რომლებიც დიაგრამებით არის მოცემული. უკეთესი ხომ არ იყო, რიგი პარტიები მთლიანადაც მოეყვანათ, როგორც ეს 2000 წლის ცნობარშია? მკითხველს უფრო ღრმად ჩაახედებდა მოჭადრაკეთა „სააზროვნო ლაბორატორიაში".

ცნობარი ამჯერადაც უხვადაა ილუსტრირებული, რაც მას მიმზიდველობას სძენს. გულშემატკივრები უნდა იცნობდნენ ჩვენს საამაყო დიდოსტატებს, ოსტატებს და წარმატებულ ნორჩ თაობას, ჩვენს ხვალინდელ გმირებს.

სასიამოვნოა, რომ ცნობარის გამოცემის ტრადიცია გრძელდება.

**ნინო იმესაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 193, შაბათი, 10 აგვისტო, 2002 წელი.

კომპოზიცია

# საეტიუდო პოლონეზი

„შემოქმედი თავისი ხელოვნებით შუქს ჰფენს სამყაროს სილამაზეს და საიდუმლოებას, რაც საგანთა უკანაა დაფარული".
ანდრე მორუა.

ბოლო დროს მსოფლიოს მრავალი ეტიუდისტი წარმატებით ამუშავებს ეტლების ენდშპილის თემატიკას. კერძოდ, სტინტერესო გამოდგა ორი ეტლის დაპირისპირება ერთი ეტლის წინააღმდეგ. ცხადია, ორი ეტლი იგებს ერთი ეტლის წინააღმდეგ, მაგრამ ხშირად მატერიალური უპირატესობა გაწონასწორებულია პაიკთა პოტენციური შესაძლებლობებით.

ამ მასალაზე დაყრდნობით მრავალი საინტერესო ნაწარმოებია გამოქვეყნებული. დღეს გავეცნოთ, რა ტრანსფორმაცია განიცადა ერთმა საეტიუდო იდეამ, რომელიც პოლონელ ეტიუდისტს კოზლოვსკის ეკუთვნის.

ზ. კოზლოვსკი, 1931 წ.



ყაიმი

1. ეf8 მფe7 2. ეf7 მფe6
3. ეf5! მფe7 4. ეf7 მფe6
5. ეf5!

და შავებს არ ძალუძს თავიანთი მატერიალური უპირატესობის გამოყენება.

მოგვიანებით აღნიშნული იდეა ბრწყინვალედ დაამუშავეს კოროლკოვმა და გერბსტმანმა.

ვ. კოროლკოვი, ა. გერბსტმანი, 1946 წ.



ყაიმი

1. c7 ეa1 2. მფc2 ეc5
3. მფb2 ეc1 4. b4 მფb4
5. ეb3 მფa5 6. ეa3 მფb6
7. c8მ! ეc8 8. ეb3 მფa5
9. ეa3 მფb4 10. ეb3 მფc4
11. ეd3! და ყაიმია.

შემდგომში პოლონელმა ეტიუდისტმა თავისივე საეტიუდო იდეა უკვე მოგებაზე შექმნილ ეტიუდში წარმოგვიდგინა.

ზ. კოზლოვსკი, 1938 წ.



თეთრები იგებენ

1. ეb2 მფc7 2. ეc3 მფd6
3. ეd2 მფe5 4. ეe3 მფf4
5. ეd3! მფg4 6. ეg3 მფh4
7. ეh3 მფg4 8. ეg3 მოგებით.

და ბოლოს, გთავაზობთ „პოლონეზის" შესრულებას ქართველ ეტიუდისტთა ინტერპრეტაციით:

დ. გურგენიძე, ვ. კალანდაძე, 1976 წ.



ყაიმი

1. მფa2! ეb2 2. მფa1 ეb1
3. მფa2 ე4b2 4. მფa3 ეb3
5. მფa2 b4! 6. ეg7! მფe6!
7. ეb6 მფd5! 8. ეg5! მფe4
9. ეe6 მფf4 10. ეg4! მფg4
11. ეe2 მფf3 12. ეc2! მფe4
13. ეd2 და ყაიმია.

როგორც აღვნიშნეთ, ძალთა ასეთი დაპირისპირება მდიდარ შესაძლებლობებს იძლევა მნიშვნელოვანი საეტიუდო იდეების გამოსახატად. ეს ძიება, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება.

ველიმირ კალანდაძე.




# დაფასება

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით წლეულს გაიმართა გამოჩენილი ქართველი ეტიუდისტის გია ნადარეიშვილის მემორიალი. კონკურსის მთავარმა მსაჯმა დავით გურგენიძემ გამოსცა კრებული „Конкурсы, посвященные Г. Надареишвили", რომელშიც ამ მემორიალის სრული შედეგები გამოქვეყნდა. აქვე მოყვანილია გია ნადარეიშვილისადმი მიძღვნილი სამი კონკურსის რჩეული ნაწარმოებები. ორი მათგანი დიდოსტატის სიცოცხლეში გაიმართა. პირველი ნადარეიშვილის 60 წლის იუბილეს მიეძღვნა, ხოლო მეორე კი 70-ისას. მესამე კონკურსი ეტიუდისტის გარდაცვალების შემდეგ გაიმართა.

სულ კრებულში 30 ეტიუდია წარმოდგენილი.

გთავაზობთ ველიმირ კალანდაძის ეტიუდს, რომელმაც ნადარეიშვილის მემორიალში ჰოლანდიელ ჰაროლდ ჰეიდენთან I-II პრიზი გაინაწილა.

ვ. კალანდაძე



თეთრები იგებენ

1. მფc7 მb5 2. cb ეc3 3. მფd7 ეd3 (ნაადრევია 3. ... ეc8 4. მფc8 b1ლ 5. ეh8 ლh7 6. ეd8! და თეთრებს მხედარი გადაჰყავთ c7 უჯრაზე).
4. მფe7 ეe3 5. მფf7 ეf3
6. მფg7 ეg3 7. მg5! ეg5 იცვლება მოძრაობის მიმართულება.
8. მფf7 ეf5 9. მფe7 ეe5
10. მფd7 ეd5 11. მფc7 ეd8! შავებმა წინააღმდეგობის გაწევის ახალი რესურსი გამონახეს. 12. მფd8 b1ლ 13. ეh8 ლb2 იწყება სისტემატური მოძრაობის მესამე ნაირსახეობა.
14. ეg8 ლb3 15. ეf8 ლb4
16. მფe8! და თეთრები იგებენ.

ვის რამდენი?

# რეიტინგები

ფიდემ გამოაქვეყნა 2002 წლის 1 ივლისის რეიტინგები. გთავაზობთ 21 საუკეთესო ქართველი მოჭადრაკის მაჩვენებელს.

*1. ზურაბ აზმაიფარაშვილი – 2676;*
*2. გია გიორგაძე – 2591;*
*3. გიგა ყაჭეიშვილი – 2588;*
*4. ზვიად იზორია – 2563;*
*5. ბაადურ ჯობავა – 2562;*
*6. მიხეილ მჭედლიშვილი – 2554;*
*7. ელიზბარ უბილავა – 2552;*
*8. თამაზ გელაშვილი – 2550;*
*9. ზურაბ სტურუა – 2530;*
*10. გენადი ზაიჩიკი – 2516;*
*11. მაია ჩიბურდანიძე – 2516;*
*12. ხვიჩა სუპატაშვილი – 2509;*
*13. ნანა იოსელიანი – 2491;*
*14. დავით ლობჟანიძე – 2487;*
*15. მიხეილ კეკელიძე – 2477;*
*16. მერაბ გაგუნაშვილი – 2471;*
*17. ვალერი გაფრინდაშვილი – 2471;*
*18. ნინო ხურციძე – 2455;*
*19. გიორგი ბახტაძე – 2452;*
*20. ლევან ფანცულაია – 2437;*
*21. გიორგი ბაღათუროვი – 2437.*

ვაჟთა პირველ ასეულში **ზურაბ აზმაიფარაშვილი** 21-23 ადგილს იყოფს.

მსოფლიოს 50 საუკეთესო მოჭადრაკე ქალს შორის 6 ჩვენი თანამემამულეა. **მაია ჩიბურდანიძეს** მესამე პოზიცია უკავია, **ნანა იოსელიანს** – მეცხრე, **ნინო ხურციძეს** კი მეცხრამეტე. საგრძნობლად დაწინაურდა **ანა მათნაძე**, რომელიც 2424 პუნქტით ოცდამერვეა. **ქეთევან არახამია** 2413 პუნქტით 37-ე, ხოლო **მაია ლომინეიშვილი** 48-ე ადგილზეა, მისი რეიტინგია 2396. ორმოცდაათ საუკეთესოს შორის 8 რუსი, 5 ჩინელი და ამდენივე უკრაინელი მოჭადრაკეა.

ფიდე აქვეყნებს აგრეთვე 20 წლის მოჭადრაკე გოგონების და ჭაბუკების ოცეულებს.

გოგონათა შორის **ანა მათნაძე** მეხუთეა, ხოლო ჭაბუკებში **ზვიად იზორია და ბაადურ ჯობავა**, შესაბამისად, მე-13 და მე-14 პოზიციას იკავებენ.

სანთელი



# მეგობრის ხსოვნას

გარდაიცვალა ცნობილი დრამატურგი, პოეტი და საჭადრაკო კომპოზიტორი ვაჟა დადიანიძე.

ვაჟა დადიანიძე ადამიანთა იმ იშვიათ წრეს განეკუთვნება, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობის განსხვავებულ სფეროებში ერთნაირ წარმატებებს მიაღწიეს.

ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორებს შორის ის გამორჩეული ფიგურა იყო. იოსებ კრიხელთან მეგობრობამ განსაზღვრა მისი საჭადრაკო კრედო. ვაჟას ამოცანებში დახვეწილი გემოვნება და მაღალი ტექნიკა „იკითხება". მისი ერთადერთი ეტიუდის იდეური ჩანაფიქრიც ორიგინალური გახლდათ – პაიკის მოტივით თეთრი ფიგურის ჩაკეტვის მუქარა.

მისი ინიციატივით და უდიდესი ძალისხმევით 90-იან წლებში საჭადრაკო კომპოზიციის სპეციალური ჟურნალი „შამათი" გამოიცა. ვაჟა დადიანიძე მისი მთავარი რედაქტორი და სულისჩამდგმელი იყო. მართალია, ჟურნალის მხოლოდ ოთხი ნომერი გამოვიდა, მაგრამ მან გარკვეული კვალი დატოვა ქართულ საჭადრაკო კომპოზიციაში. დაიბეჭდა ქართველ პრობლემისტთა მრავალი ორიგინალური ნაწარმოები. ჟურნალმა რამდენიმე სოლიდური კონკურსის ორგანიზაცია უზრუნველყო, დაიწყო დისკუსია სპეციალური საკომპოზიციო ტერმინების ქართულ ენაზე შესაბამისად გამოსახვის შესახებ.

და მაინც, ვაჟა დადიანიძე ჩვენთვის პირველ რიგში პიროვნება და თანამოაზრე იყო. მახსოვს ორივეს როგორ გვიმძიმდა, როცა იოსებ კრიხელი გავაცილეთ „მარადისობაში".

ჩემო ვაჟა! შენი ხალისიანი, ოდნავ სარკაზმგარეული იუმორი და შენი თბილი ღიმილი მოგვაკლდა, სანაცვლოდ შენი მრავალფეროვანი შემოქმედება მუდამ იქნება ჩვენი სიამაყის საგანი.

მე არ ვიცი, რა უფრო ფასეულია – შენი პიესები, ლექსები თუ საჭადრაკო ამოცანები, მაგრამ ვიცი, რომ აუცილებელია შენი საჭადრაკო კომპოზიციების რჩეულის გამოცემა. მომავალი წლისთვის ჩვენ შენს წინაშე ვალმოხდილები ვიქნებით.

გთავაზობთ ვაჟა დადიანიძის სამსვლიან კოოპერაციულ ამოცანას, რომელმაც 1991 წელს საერთაშორისო კონკურსზე I პრიზი დაიმსახურა.



თეთრების სვლით იდეალური შამათი მიიღება 1. ... კd1 2. d6 მd7 3. e6 კf3, მაგრამ, როგორც ცნობილია, კოოპერაციულ ამოცანებში პირველი სვლა შავებს ეკუთვნის. 1. e5 მd2 2. მფd4 კd3 3. d5 მc6 ისევ იდეალური შამათი.

დავით გურგენიძე.

ინტერვიუ

# როცა ჩემპიონი 18 წლისაა...

ის, რომ ახალი მსოფლიო ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი უჩვეულოდ ახალგაზრდაა (დაიბ. 1983 წ. 11 ოქტომბერს) კიდევ უფრო ამწვავებს საჭადრაკო სამყაროში შექმნილ ისედაც რთულ სიტუაციას. ერთი აღიარებული „კერპი" ვასილი ივანჩუკი მან უკვე დაამხო, შეძლებს კი იგივე გააკეთოს საჭადრაკო კორიფეების საყოველთაოდ აღიარებულ პირველ სამეულთან (გარი კასპაროვი, ვლადიმერ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი) შეხვედრებში?!

**– აღიქვამთ თუ არა კრამნიკს, როგორც, ასე ვთქვათ, „პარალელური მსოფლიოს" ჩემპიონს?** – კითხვა, რომელიც ჟურნალისტებს პონომარიოვს მისცეს.

– მან დაამარცხა კასპაროვი – მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე. ამასთან, იგი ვალდებულია, დაამტკიცოს კიდევ თავისი წოდება.

**– შეეცდებით თუ არა საჭადრაკო სამყაროს გაერთიანებას, თუ შექმნილი სიტუაცია სავსებით გაძლევთ ხელს?**

– მინდა, საჭადრაკო სამყარო გაერთიანებული ვიხილო, ამიტომ ორ ჩემპიონს შორის გამაერთიანებელი მატჩის მომხრე ვარ. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემზე როდია დამოკიდებული, არამედ – კასპაროვზე, კრამნიკზე, ფიდეზე.

**– თუკი ასეთი მატჩი მართლაც გაიმართება, დროის როგორი კონტროლით ითამაშებდით: ახალით (ოთხსაათიანით) თუ ძველით (შვიდსაათიანით?)**

– ვფიქრობ, ეს დავის საგანი გახდება, ისე კი ჩვენ შევძლებდით კომპრომისის გამონახვას.

**– რამდენად გრძნობ თავს უკრაინის მოქალაქედ (პონომარიოვი რუსია), ფლობ უკრაინულ ენას?**

– – უკრაინული ენა ვიცი, მაგრამ მე ვცხოვრობ დონეცკის აუზში, სადაც უფრო რუსული ენაა გავრცელებული. მე დავიბადე და გავიზარდე უკრაინაში, მომწონს აქ ცხოვრება, სადმე სხვა ქვეყანაში გადასახლებას არ ვაპირებ. კითხვა ბულგარელ სპეციალისტ **სილვიო დანაილოვს**, რომელიც პონომარიოვის „შტაბის" წევრი იყო:

**– როგორია პონომარიოვის პოტენციალი, შეძლებს იგი, რომ გადაასწროს კასპაროვს?**

– ძნელი სათქმელია, რადგან რუსლანი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. ბევრ მოჭადრაკეს მიღწევების პიკი 21 წლის ასაკში ჰქონდა: ტალს, კასპაროვს, კარპოვს, ტოპალოვს, შიროვს, კამსკის. თუკი სამი უახლოესი წლის მანძილზე არაფერი მოხდება და პონომარიოვი ამდენივეს იმეცადინებს, მაშინ შევძლებთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. რაც არ უნდა იყოს, კასპაროვი განუმეორებელი მოთამაშეა, მაგრამ პონომარიოვიც შეიძლება გახდეს ასევე განუმეორებელი.

GCF
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ნინო გურიელი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 193. შაბათი, 10 აგვისტო, 2002 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემა

[illegible] (Homo Bellator, 2001) [illegible]

# სულიერი ნაკრძალი, ანუ ტკივილით ცეკვა




[illegible]

ვლენების მათეული ხედვა. მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა იგი საკუთარ აზრსა და შეფასებებს, გალექსა ქართველ პოეტთა ერთმა ჯგუფმა" (რატი ამაღლობელმა, ჯემალ აჯიაშვილმა, ზაზა ბერიშვილმა, ნინო ბერძენიშვილმა, ეკა გამცემლიძემ, ნიკო გომელაურმა, შარლოტა კვანტალიანმა და დავით ჯავახიშვილმა).

ეს, ერთი შეხედვით მეტად უჩვეულო ლექსთა კრებულია, სადაც ჩვენი ყველაზე გამოუთქმელი ტკივილი, მხოლოდ მათი – აფხაზ პოეტთა თვალსაწიერიდან არის გაცნობიერებული და გათავისებული. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ ომის ფენომენი მთელი სიცხადითა და სიმძაფრით სწორედ ამ ლექსებიდან უნდა იყოს ამოზრდილი, როგორც ლოგიკური შედეგი მხატვრულ აზროვნებაში კოდირებული დამთრგუნავი აგრესიის, გამოხატული ომის ცალსახა, არაერთგვაროვანი პათეტიკით, რის გამოც ამ კრებულში არაერთი ამგვარი ლექსი იძებნება, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, აფხაზ პოეტთა ერთი ჯგუფის სინანულზე აღმოცენებული „სულით ობლობა და მიუსაფრობა“, რამაც თავის მხრივ, უნდა აღმოფხვრას ქართულ-აფხაზურ ცნობიერებაში წარმოშობილი გულგრილი სიცარიელე.

ამ ურთულესმა პოლიტიკურმა ფენომენმა ერთგვარი ნავსაყუდელი დღესდღეისობით მხატვრულ აზროვნებაში მოიძია – ლექსთა კრებულში „რა დამავიწყებს“. პირადად ჩვენი ემოციური დაფიქსირება ამ უპრეცენდენტო გამოცემაზე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ აფხაზმა პოეტებმა ამ ლექსების აფხაზურ დედანს თან დაურთეს სწორედ ქართულ და არა რუსულ ენაზე შესრულებული ბწკარედები, რითაც, კიდევ ერთხელ მოხდა ხაზგასმა, თუ ქვეცნობიერად მათთვის რამდენად მისაღები და ფასეულია ქართული აზროვნება.

რაც არ უნდა დიდი იყოს ამ ლექსების ემოციურ-წარმოსახვითი ფონი, მაინც უნდა შევეცადოთ გავაცნობიეროთ იმ ტკივილის ფენომენი, რამაც ეროვნული თვითგანვითარების სხვადასხვა ნაპირზე გარიყა ქართველი და აფხაზი, თუმცალა

[illegible] აღმოვჩნდით საოცრად შემზარავი და იმავდროულად ფრიად მასშტაბური კონფლიქტის წინაშე.

თქვენ წარმოიდგინეთ, ომის მთელი სიმძაფრე, ის დაუოკებელი, მოუთვინიერებელი ენერგია, რომელიც დღემდე დაღს ასვამს ქართულ-აფხაზურ თანაცხოვრებას, მთელი სიცხადით სწორედ ამ პატარა პოეტურ კრებულში გამოიკვეთა და დროის ფენომენმა ტკივილისა და განცდის დიაპაზონი უფრო მასშტაბური გახადა, რაც აისახა კიდეც იმ „ადამიანური ციკლის“ ლექსებში, სადაც ქაოტური სამყაროდან გამორიყული ადამიანი ისწრაფვის, მხოლოდ და მხოლოდ, სულიერი სიმშვიდისაკენ.

ალბათ, ამიტომაც შეიძლება, რომ როცა ადამიანს ფეხქვეშ მიწა ეცლება, ის ცდილობს ხის საშუალებით გააცნობიეროს თავისი არსებობა ერთიან სამყაროში, „რადგანაც ბიბლიური სახისმეტყველებით. სამყარო მთლიანი ხეა, რომლის ჩრდილშიაც დასახლდა ხალხი“.

**ხეს რომ მიყრდნობია – ეს**
**ჩემი სულია,**
**სული დაღლილია, არ მსურს**
**საუბარი,**
**თუმც არც ჩანს არავინ, ჩემი**
**ხმის გამგონი.**

(„მარტოსული“, ენვერ აჟიბა – დავით ჯავახიშვილი).

ასეთ ვითარებაში ხდება სრული გაუცხოება – ფესვებს მოწყვეტა და

**მეც... უსახელოდ სახელდებული**
**ყრუ სასოებით დაგიზავდები.**

(„უსახელო ყვავილი“, ტაიჭ აჩბა – ჯემალ აჯიაშვილი).

„ადამიანად სახელდებულ პოეტს“ კი სულ სხვა ფუნქცია აკისრია:

**პეპელასავით ვერ დაკეც**
**ფრთებს და**
**ვერც დაიწვები ფარვანასავით.**

(„ადამიანი“, ტაიჭ აჩბა – ჯემალ აჯიაშვილი).

ბუნებრივია, საოცრად ძნელია სიცარიელესთან შეგუება, თუმცაღა ის თავისთავად გითრევს, როგორც მორევი და ხდება პიროვნების სრული ხელყოფა:

**ვერ ვურიგდები სიცარიელეს**
**და არც ისა მთელის**
**თავისიანად,**
**ვერც ვეგუები, ვერც მეგუება,**
**მაგრამ ვერც მიპყრობს**
**დარდი მთლიანად.**

(„მე და ღამე“, ინა აჰამბა – ზაზა ბერიშვილი).

დაცარიელებულ სამყაროში – ომის წნეხქვეშ გატარებულ ქვე- [illegible]

რომელიც „თითთა სამებით შეიძლება მოიტანო“.

**სუფთა და სავსე**
**წყალი – რომელიც უნდა**
**შევსვა**
**მე შენ მაგივრად.**

(„იქ უხმაუროდ“, საიდა დელბა – რატი ამაღლობელი).

ეს სრული მიტევებაა, აბობოქრებული სულის ჩაცხრობაა, ცხოვრების საზრისის გაცნობიერებაა – მძაფრი ტკივილია – ომის სტიქიის რეალური ანარეკლია.

**სამყაროსგან რა წავიღო?**
**– რაც კი ჩავდე მასში.**
**ცხოვრებისგან რა წავიღო?**
**– რაც კი ჩავდე მასში.**
**მიწისაგან, მიწისაგან რა**
**წავიღო?**
**– ...?**

(„სამყაროსაგან...“, გუნდა საქანია – ნიკო გომელაური).

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ომში ბოლოს ტკივილიც კი კვდება, მაგრამ როდის?

**როდესაც ტკივილს ველარ**
**უძლებ,**
**ტკივილიც კვდება,**
**თავს ჩამოგადებს მხარზე**
**ფრთხილად,**
**მოგეფერება.**

(„როდესაც ტკივილს“, გუნდა საქანია – ზაზა ბერიშვილი).

ეს ომის წარმოსახვით-ემოციური ფონია, რომელიც თავად სიყვარულის ფერისცვალებასაც კი გვთავაზობს და ტკივილს, რომლის ატანა თავად ვერ შესძლო ღმერთმა, სიყვარული უწოდა და კაცთ მოდგმას გაუნაწილა...

(„ტკივილს“, გუნდა საქანია – ზაზა ბერიშვილი).

ომი სტიქიაა, ერთი შეხედვით, თითქოსდა მართვადიც, თუმცალა ისე უმოწყალოდ აჩანაგებს ჩვენს სიყვარულს, რომ გიჭირს იმის გაფიქრებაც კი, რომ თვალსა და ხელს შუა გიქრება სიცოცხლის ფენომენი...

**ვხედავ ჩვენს შორის ტყვია**
**ჩამდგარა –**
**ერთურთს ამაგი ვერ**
**დავუფასეთ,**
**მაგრამ რა ვუყო ამ გულს,**
**რომელიც –**
**ვერ დაივიწყებს ნოდარ**
**დუმბაძეს.**

(„ვხედავ ჩვენს შორის“, შამილ ფილია – შარლოტა კვანტალიანი).

როდესაც ამქვეყნად, როგორც ცარიელ სცენაზე, შენდა უნებურად, ისე აღმოჩნდები, ბუნებრივია, ეძებ გამოსავალს – ქართულ-აფხაზური თანაარსებობაც ომის ფენომენის მხატვრულ ჭრილში გააზრების გზით ეძებს თანაკვეთის სრულიად ახლებურ ფორმას, რისი გამოხატულებაცაა ეს ლექსთა კრებული, როგორც „სულიერი ნაკრძალის“ მოკრძალებული ნიმუში.

**P.S. ბუნებრივია, აფხაზ პოეტთა ამ კრებულში განთავსებულ ლექსთა არცთუ მცირე ნაწილი – მხოლოდ „ემოციური ციკლი“ შეესიტყვება ჩვენს დებულებებს.**

**ეს დღევანდელი დღეა, ხვალ კი სწორედ სულიერებამ უნდა დააზავოს ეს ორი ერი და სიყვარულის მადლმა უნდა დაუბრუნოს მათ „გონების თვალით დაკარგული სიფხიზლე“.**

**ქეთევან ელაშვილი.**

**შპს „თავთავი“ აცხადებს ლიკვიდაციას.**
დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ჩაპაევის 1.

2002 წლის 4 სექტემბერს დღის 2 საათზე ტარდება **სააქციო საზოგადოება „კობის“** აქციონერთა კრება. დღის წესრიგშია სააქციო საზოგადოება „კობის“ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა და მომავალი საქმიანობის პერსპექტივები.
**სამეთვალყურეო საბჭო.**

ვემშვიდობებით

# რაც დავიწყებით არ დაიბინდება

## საქართველოს სახალხო მხატვრის ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვის გარდაცვალების გამო



### ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი

გარდაიცვალა დიდი ქართველი ხელოვანი, საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი, შესანიშნავი მხატვარი, რომელსაც თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობით უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაში. ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი დაიბადა თბილისში 1937 წლის 29 ივლისს. 1956-62 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ჯერ გრაფიკის, შემდეგ კი თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განყოფილებაზე გამოჩენილ პედაგოგებთან – სერგო ქობულაძესთან, ევსილ შუხაევთან, ფარნაოზ ლაპიაშვილთან და იოსებ შარლემანთან. აკადემიის დასრულების შემდეგ მხატვარი დიდი წარმატებით მუშაობდა დაზგურ და მონუმენტურ ფერწერაში, თეატრალურ და კინომხატვრობაში, შექმნა დაზგური და წიგნის გრაფიკის არაერთი შესანიშნავი ნიმუში.

კოკა იგნატოვის მრავალმხრივი ინტერესები, დიდი შემოქმედებითი დიაპაზონი ნათლად გამოჩნდა 70-80-იან წლებში შესრულებულ ფრესკებსა და პანოებში, რომელთაც მას დიდი წარმატება მოუტანეს. მოხატულობამ „სიმღერა საქართველოზე“ (ბიჭვინთა), თბილისის მთაწმინდის მიღებათა დარბაზის პანომ „ფიროსმანის მონატრება“. კომპოზიციებმა „ბერიკაობა“, „ლეგენდა ოქროს საწმისზე“ და სხვებმა მკაფიოდ გამოავლინეს მხატვრის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება – შესანიშნავი უნარი გაეთავისებინა ძველი ქართული ხელოვნების ტრადიციები, გამოეყენებინა თანამედროვე კომპოზიციური და პლასტიკური ენა. სწორედ ასეთი მთლიანობით შექმნა მან ფერადოვანი სანახაობა, სადაც ალეგორიულ, ზღაპრულ სამყაროში ჩანს თანამედროვეობასთან დამაკავშირებელი ძაფები.

მხატვრის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო თეატრი იყო. წლების მანძილზე მან გააფორმა არაერთი დრამატული, მუსიკალური თუ საბალეტო სპექტაკლი. შექმნა კოსტიუმები. ყოველი დადგმისათვის კომპოზიტორის, დრამატურგის ინდივიდუალობისა და ნაწარმოებში ასახული ეპოქის გათვალისწინებით მხატვარი ქმნიდა მშვენიერ გარემოს. ამგვარადაა გადაწყვეტილი კოკა იგნატოვის მიერ გაფორმებული სპექტაკლები: ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ (1962), ბ. კვერნაძის „ქორეოგრაფიული ეტიუდები“ (1963), „ბერიკაობა“ (1975), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე – სიცრუისა“ (1965), მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ (1967), ა.სულაკაურის „სალამურა“ (1969), ე. შვარცის „ჩრდილი“ (1970), გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ (1972), ი.ფალიკის „ორესტეა“ (1975), ს.ცინცაძის „ანტიკური ესკიზები“ (1975), ბახის „ჩაკონა“ (1975), ლეონკავალოს „ჯამბაზები“ (1976), პერგოლეზეს „მოახლე – ქალბატონი“ (1976), შექსპირის „მეფე ლირი“. ეს ნაწარმოებები და ილუსტრაციები შექსპირისავე პიესებისათვის – „ტიტუს ანდრონიკუსი“, „რიჩარდ მეორე“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“ ქართული შექსპირიანის მნიშვნელოვანი ნაწილია.

დიდია კოკა იგნატოვის ღვაწლი ქართული წიგნის გრაფიკის განვითარებაში. მის მიერ სხვადასხვა დროს დასურათებული ზღაპრები – „ხარბი ოქრომჭედელი“, „ხარბი და ალალ-მართალი“, „ქონსტაყუილა“, „სამი ძმა“, ილუსტრაციები სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებისა და ქართული ფოლკლორის ანთოლოგიისათვის ავლენენ კოკა იგნატოვის შემოქმედების ღრმა კავშირს ეროვნულ ძირებთან და თავად მხატვრის კომპოზიციურ ოსტატობას.

მხატვრის დაზგური ფერწერის ლაკონიური, მეტყველი ნიმუშები გამოირჩევიან თემათა და ჟანრთა მრავალფეროვნებით. მათ შორისაა საქართველოს სხვადასხვა კუთხისადმი მიძღვნილი პეიზაჟები, პორტრეტები, ჟანრული სურათები: „თუშეთი“, „კახელები“, ტრიპტიქი „ჩემი საქართველო“, არქიტექტორ რამაზ კიკნაძის პორტრეტი, „ბერიკაობა“, „ხაბაზები“. წლების მანძილზე კოკა იგნატოვის ფერწერული შემოქმედება უფრო და უფრო დახვეწილი და მდიდარი ხდებოდა. ამას ნათელყოფენ მისი ბოლო პერიოდის ნამუშევრები სერიიდან „ქვები“, განსაკუთრებით კი პარიზულ პერიოდში შესრულებული ნატურმორტების სერიები.

ბოლო წლებში კოკა იგნატოვის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაზგურმა გრაფიკამ დაიკავა. ადრეულ პერიოდში შექმნილი სერიის – „აღმოსავლური მოტივების“, თბილისისადმი და ირანისადმი მიძღვნილი ნახატების ციკლების მსგავსად 1999 წელს დახატულ ასობით ფურცელში სერიებიდან „თამაში ვაშლთან“, „ჯამბაზები“, „მოგონებები“ ნათლად გამოჩნდა მისი ორიგინალური კომპოზიციური აზროვნება, მაღალი გრაფიკული კულტურა. ამ ნაწარმოებებისათვის მხატვარს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

კოკა იგნატოვის შემოქმედების საინტერესო ფურცელი გახლდათ მისი კინომხატვრობა („ერთი ცის ქვეშ“, „თბილისი ათას ხუთასი წლისაა“, „მაია წყნეთელი“).

მხატვრის შემოქმედების სურათი სრული არ იქნება მთაწმინდის მიღებათა დარბაზისათვის გაკეთებული ესკიზის – „თბილისობა“ გარეშე, რომელიც მას განუხორციელებელი დარჩა.

აქვე უნდა ითქვას კოკა იგნატოვის მიერ ბოლო წლებში შექმნილ საქართველოს რუკაზე, რომელიც მართლაც სახალხო ნამუშევრად იქცა. ეს ფერადოვანი, დეკორატიული ნაწარმოებია, რომელშიც მხატვარმა თავისი ქვეყნის დიდი სიყვარული ჩააქსოვა. იგი ყველა ოჯახში უნდა იყოს, რათა მომავალმა თაობამ ბავშვობიდანვე თვალნათლივ შეიგრძნოს, რა მშვენიერია საქართველო.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოწყობილ კოკა იგნატოვის პერსონალურ გამოფენებზე, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ ექსპოზიციებში, ნათლად წარმოჩნდა მხატვრის შემოქმედებითი მრავალფეროვნება.

მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სურათების ეროვნულ გალერეაში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, მოსკოვის ბახრუშინის სახელობის თეატრალურ მუზეუმში, საქართველოს და საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში.

კოკა იგნატოვი შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, იყო სახელოსნოს ხელმძღვანელი, თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალ თაობას. რამდენიმე წელი მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის მთავარ მხატვრად.

სამწუხაროდ, მძიმედ დაავადებულ მხატვარს ბოლო დროს დიდი გულისტკივილი შეხვდა – ბარბაროსებმა დააზიანეს მისი ცნობილი პანო „ფიროსმანის მონატრება“.

მაგრამ, ამ ტკივილის მიუხედავად, პარიზში ყოფნისას, მისი ბოლო სურვილი, ბოლო ნატვრა თბილისი იყო. ეს პანო უნდა აღდგეს.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი შემოქმედი და პიროვნება, დიდი მხატვარი ნიკოლოზ იგნატოვი. მან ბევრი გააკეთა, მაგრამ ბევრი იდეა განუხორციელებელი დარჩა. ბევრი დაწყებული ნამუშევარი – დაუმთავრებელი.

მისი შემოქმედება მარტო მუზეუმებისა და გალერეების კი არა, ჩვენი ფიქრის, განცდისა და მახსოვრობის მუდმივ რეალობად იქცა, ხოლო ავტორი – მტკივნეულ მოგონებად.

**ე. შევარდნაძე, ნ. ბურჯანაძე, ა. ჟორჟენაძე, ა. აბაშიძე, ვ. აზარაშვილი, გ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. ამაღლობელი, რ. ამაშუკელი, ჭ. ამირეჯიბი, ი. ანდრიაძე, ვ. ასათიანი, ნ. ახმეტელი, მ. ბერძენიშვილი, გ. ბუღაძე, ი. გეგეშიძე, გ. გეგეჭკორი, ს. გოგიბერიძე, თ. გოცაძე, კ. გურული, მ. დოიჯაშვილი, დ. ერისთავი, ა. ერქომაიშვილი, ნ. ზაალიშვილი, ი. ზოდელავა, ა. თავხელიძე, გ. თევზაძე, გ. თოიძე, რ. თორდია, კ. იმედაშვილი, ხ. ინაიშვილი, თ. ისაკაძე, ე. კალანდაძე, ი. კეჟაყმაძე, ბ. კვერნაძე, ნ. კობახიძე, თ. კომახიძე, ტ. ლასხიშვილი, ნ. ლადიძე, მ. ლებანიძე, ნ. ლეკიშვილი, ზ. ლომიძე, გ. ლორთქიფანიძე, ზ. ლეჟავა, მ. მალაზონია, პ. მამრაძე, კ. მახარაძე, გ. მელივა, რ. მეტრეველი, ი. მექვაბიშვილი, ო. მელვინეთუხუცესი, ჯ. მიქატაძე, თ. მურვანიძე, ზ. ნიჟარაძე, ზ. ოიკაშვილი, დ. ოქი[illegible]აშვილი, გ. ოჩიაური, ი. ოჩიაური, გ. ჟორდანია, თ. ჟღენტი, ა. სანებლიძე, რ. სტურუა, თ. სუხიშვილი, ჯ. ფაჩუაშვილი, ს. ქეცბა, ი. ქორიავა, ბ. ქუთათელაძე, ლ. ღოღობერიძე, გ. ყანჩელი, ე. შენგელაია, ზ. შენგელია, გ. შერაძე, გ. შხვაცაბაია, ჯ. ჩარკვიანი, გ. ჩოგოვაძე, რ. ჩხეიძე, რ. ჩხიკვაძე, გ. ცქიტიშვილი, გ. წერეთელი, ზ. წერეთელი, თ. წივწივაძე, ტ. ჭანტურია, თ. ჭილაძე, ო. ჭილაძე, ჯ. ჭკუასელი, ვ. ჭუმბურიძე, ჯ. ხუნდაძე.**

# არაჩვეულებრივი შემოქმედი

თავზარდაცემული ვარ კოკა იგნატოვის, ჩემი მეგობრის, შესანიშნავი ქართველი მხატვრის გარდაცვალებით. დავკარგეთ არაჩვეულებრივი შემოქმედი, ქართული ფრესკის, თეატრალური მხატვრობის, ფერწერის, გრაფიკის გამოჩენილი ოსტატი. ასაკში გარკვეული განსხვავების მიუხედავად მრავალი წელი ვმეგობრობდით. ჩემს თვალწინ ჩაიარა მისმა შემოქმედებამ – პირველი ნაბიჯებიდან ბოლო ნამუშევრებამდე. მუდამ აღტაცებული ვიყავი მისი ქმნილებებით. მათში ვხედავდი სიღრმეს, უსაზღვრო ფანტაზიას, მაღალპროფესიულობას. მიხაროდა, რომ ორივე ჩვენგანის ნამუშევარი ბიჭვინთაში იყო. საქართველოში დატრიალებული მოვლენების შემდგომ ორივეს გვაწუხებდა აფხაზეთში დარჩენილი ნამუშევრების ბედი. კარგად ვიცნობ მის ოჯახს, დედას, დას, ქეთუსიას – მის სათაყვანებელ შვილს, მის მეუღლეს დალის, რომელმაც ამდენი წვალება გადაიტანა, რომ მისთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა. რამდენიმე წლის წინათ მე და იური მექვაბიშვილი ვესწრებოდით ოპერაციას, რომელიც თბილისში გაკეთდა. გვიხაროდა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. სამწუხაროდ, ეს სიხარული მხოლოდ ცოტა ხანს გაგრძელდა.

მხიბლავდა მისი ტემპერამენტი, უშუალობა, შინაგანი ბუნება. კოკა რომ ქუჩაში გაივლიდა, ყველა ადამიანი ცნობდა თუ არა, მაინც მიაქცევდა მას ყურადღებას, შესანიშნავ, რაინდულ გარეგნობას. რომელშიც შერწყმული იყო დახვეწილი ინტელიგენტობა და ვაჟკაცობა.

მახსოვს, მის მიერ გაფორმებული მრავალი სპექტაკლი, მისი შესანიშნავი ილუსტრაციები. ბოლო წლები კოკა თბილისში, პარიზში, ხანდახან კი გონიოში აგარაკზე ცხოვრობდა, მძიმე ავადმყოფობას არ ეპუებოდა და ბევრს მუშაობდა. ბოლოდროინდელი ნამუშევრები მისი შემოქმედების საუკეთესო ნაწილია.

როგორც ყველა ნიჭიერ ადამიანს მასაც ჰქონდა უცნაურობები, მაგრამ ეს არ გაგალიზიანებდა, უხდებოდა კიდევაც.

**გივი თოიძე,**
**რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.**



# სამძიმარი

ძვირფასო ქართველო კოლეგებო!

მწუხარებით შევიტყვეთ დიდი მხატვრის, შესანიშნავი ადამიანის ნიკოლოზ იგნატოვის გარდაცვალების ამბავი. მისი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, ფრესკები, პანოები, სცენოგრაფიის, დაზგური გრაფიკის, ილუსტრაციის, სატელევიზიო და კინომხატვრობის ნიმუშები მრავალი წელია იპყრობდნენ ხელოვნების მოყვარულთა, მხატვრების, ხელოვნებათმცოდნეების ყურადღებას. მისი ხელოვნება გამოირჩეოდა სრულიად ორიგინალური ხედვით, კომპოზიციური აზროვნებით, მრავალფეროვნებით. მას დიდად აფასებდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ამას მოწმობს მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი მოსკოვში გამოცემული შესანიშნავი ფერადოვანი ალბომი. მოსკოვის ბახრუშინის სახელობის თეატრალურ მუზეუმში დაცულია მისი შემოქმედების მრავალი საუკეთესო ნიმუში.

გთხოვთ გადასცეთ ჩვენი სამძიმარი მხატვრის ოჯახს, საქართველოს საზოგადოებრიობას.

**მახსუტ ფატხულინი,**
**მხატვართა საერთაშორისო კონფედერაციის თავმჯდომარე.**

# ჩვენი მშვენიერი კოკა

კოკა იგნატოვი იმ იშვიათ და გამორჩეულ ქართველ მხატვართა პლეადას მიეკუთვნება, რომელთა „ამოცნობა“ ავტორის ფაქსიმილეს გარეშეა შესაძლებელი.

ამ უპირატესობით შემკულ მხატვართა მადლი კი ის გახლავთ, რომ ისინი თავად ქმნიან საკუთარ მშვენიერების სამყაროს, რომელსაც უშურველად უძღვნიან საზოგადოებრიობას და ამდიდრებენ ეროვნულ კულტურას.

მართალი გითხრათ, ასეთი თვითმყოფი და ლაღი ინდივიდუალურობით გაჯერებული არტპროდუქტებით აღტაცება კოკა იგნატოვისაგან არც კი უნდა გვიკვირდეს, რადგან კოკა თავად იყო მშვენიერი.

მახსოვს სან-დიეგოში, საქართველოს კულტურის მოღვაწეთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე, რომელიც ჩვენთვის ერთობ უჩვეულო გარემოში გაიმართა წყნარ ოკეა- [illegible] სკვლავი და ერთობ ტანადი, აშოლტილი ოქროსთმიანი ლედი, რომელიც თავისი მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელით, კოკაზე ერთი თავით მაღლად გამოიყურებოდა.

– არ მსიამოვნებს, როდესაც ჩემზე მაღალი და მომხიბლავი ქალბატონები ზემოდან დამცქერიან... – ღიმილით უთხრა კოკამ ლედის...

– ნუთუ მართლა?! – გაუკვირდა ლედის – კი მაგრამ, ნეტავ მაგაზე ადვილი რა არის?! – ღიმილითვე უპასუხა ლედიმ კოკას, სასწრაფოდ წაიძრო ფეხსაცმელები და ოკეანეში მოისროლა; შემდეგ ფეხშიშველა კოკასთან მიიჭრა, თავი მხარზე მიადო და ჰკითხა.

– ახლა, ახლაც დამიწუნებთ?!

ალბათ დამეთანხმებით, ასეთი ექსცენტრული პასაჟი ჰოლივუდის ვარსკვლავებსაც კი შეშურდებოდათ, კოკასთვის კი მსგავსი სიურპრიზები მისი ლამაზი და რთული ცხოვრების ჩვე- [illegible]

**ნოდარ მალაზონია,**
**საქართველოს სახალხო მხატვარი.**

# ქუთაისთან დიდი სიყვარული აკავშირებდა

ქუთაისელი მხატვრები დიდად დაამწუხრა ცნობამ კოკა იგნატოვის, ქართული ხელოვნების დიდოსტატის, უსაზღვრო ფანტაზიის, ორიგინალური აზროვნების მქონე შემოქმედის გარდაცვალების შესახებ. მისი შესანიშნავი ნამუშევრები სამუდამოდ შევა ეროვნულ საგანძურში.

კოკას ქუთაისთან დიდი სიყვარული აკავშირებდა. ხშირად ჩამოდიოდა, ურთიერთობდა კოლეგებთან, იზიარებდა ჩვენს სიხარულსა და პრობლემებს. თავის დროზე მან საგანგებოდ შექმნა ნამუშევრები, რომლებიც ამჟამად ჩვენი ქალაქის დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეას ამშვენებს. კოკა იგნატოვის სახელი მუდამ იქნება ძვირფასი მათთვის, ვისაც უყვარს ქართული ხელოვნება. გვინდა [illegible]

[illegible]

# გამორჩეული ხმით იმღერა

ჩვენო კოკა!

ძმაო, მეგობარო, კოლეგა, დიდო ხელოვანო! ჩვენი დროის გამოჩენილო და გამორჩეულო მხატვარო! ძნელია, შევეგუოთ შენს არყოფნას, ასე უდროოდ წასვლას ამქვეყნიდან. აუნაზღაურებელია ის დანაკლისი, რომელიც თანამედროვე ქართულმა მხატვრობამ განიცადა. ვიგონებ შენს ღვაწლს, რომელიც შენ გასწიე ქვეყნის, შენი სათაყვანებელი ხალხის სამსახურში, საოცრად გამორჩეული ხმით იმღერე, წარუშლელი კვალი დატოვე ქართულ და ზოგადსაკაცობრიო მხატვრობაში. კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეგეძლო. ვაგლახ, ნაადრევად შეწყდა შენი საოცარი შემოქმედება. მაგრამ იმას, რაც შენ შექმენი, რისი დახატვაც შესძელი, არასოდეს დაივიწყებს საქართველო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

**მამია ახობაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი.**

# აუნაზღაურებელი დანაკლისი

[illegible]

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



დიდი ვერიკო და მისი თაყვანისმცემელი. გადაღებულია 1979 წელს.

მოგვაწოდა ოლღა ლვინიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## დედაქალაქი

# მოვუაროთ ქანდაკებებს

დავიწყებ შოთა რუსთაველის ძეგლით, რომელიც მყვირალა ფერადი რეკლამების გარემოცვაშია მოქცეული...

რა აუცილებლობითაა გამოწვეული ძეგლების გარშემო ან თვით ძეგლთა კვარცხლბეკზე აფიშების, განცხადებების გაკვრა და შემდეგ მისი სანახევროდ აფხეკა. ნუთუ არ შეიძლება, სახანძრო მანქანით ჭუჭყისა და წარწერებისაგან გაესუფთაოთ ვაჟა-ფშაველას ძეგლი, ანდა, აკაკი წერეთლის ქანდაკება? ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ აღმართული „მუზაც" უყურადღებოდაა მიტოვებული, მის ქვეშ სავაჭრო ჯიხურიც კი გაუხსნიათ.

გამოჩენილი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ბიუსტი ისეა მოუვლელი, შეხედვაც გეუხერხულება (მადლობა ღმერთს, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი და აკაკი წერეთლის ბიუსტი ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში)...

აუცილებელია, რომ ნებისმიერი ქანდაკება, ბიუსტი თუ მემორიალური დაფა, რა დანიშნულებისაც უნდა იყოს, უკონკურსოდ არ დაიდგას.

უნდა გაიმართოს ქალაქში ქანდაკებების, ძეგლების დასადგმელი ადგილების შესარჩევი ესკიზების ღია, საჯარო კონკურსები, მათ შეფასებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებამ, დედაქალაქის რაიონულმა გამგეობამ, საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა შეიქმნას მეურვეთა ან მზრუნველთა საბჭო ძეგლების, პარკების, სკვერების გადარჩენის, განახლებისა და აღდგენისათვის...





**ოთარ თოლორაია,**
**თბილისის მერიის, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის პრესსამსახურის წამყვანი სპეციალისტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.**

ჯავარ ლომაძის ფოტო.

## გახსენება



### ზურაბ ღუჭაშვილი

40 მძიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დაგვტოვე, ჩემო ძმაო და ძვირფასო მეგობარო. ზურა, უზომოდ დიდია შენი დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი და უძნელესი – უშენობას შეგუება. დრო ვერ წაშლის ჩემი ძმისა და დიდი მეგობრის ზურა ღუჭაშვილის მარადიულ ხსოვნას, იგი მუდამ ცოცხალი დარჩება ჩემს გულში.

შენი მეგობარი გიორგი ჯაფარიძე.

---



საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეან-გინეკოლოგი, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მეან-გინეკოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი

ზურაბ ალექსანდრეს ძე ჭილაძე.

---

სენაკის რაიონისა და ქალაქის გამგეობები, აკ. ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან სენაკის თეატრის ყოფილი რეჟისორის

ლერი პაქსაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ჩოხატაურის რაიონის გამგეობა და საკრებულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩოხატაურის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

გაურ ოსეფაიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე დათო სალარიძე, შვილი ნატო, დედა მერი კანდელაკი, ძმა გია თათარაშვილი, დედამთილი თინა სალარიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნატა თათარაშვილი

პანაშვიდი 11, 12 VIII, 5 სთ. გამოსვენება 13 VIII, 3 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

მისამართი: ლარსის შეს. №7.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კოლეგა

ნატა თათარაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს დავით სალარიძეს მეუღლის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საბჭო, დეკანატი და სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი პედაგოგისა და მეცნიერის, დოცენტ

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნათია, გიორგი, მანანა და ნუგზარ ფოფხაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო და გულწრფელად უსამძიმრებენ განსვენებული ოჯახს.

---

პეკა ხურცილავა ოჯახით თანაუგრძნობს დავით სალარიძეს მეუღლის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ავთანდილ შერმადინი ოჯახით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს დავით სალარიძეს მეუღლის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

რეზო და მანანა სალუქვაძეები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ დავით სალარიძეს მეუღლის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ავთანდილ წერეთელი, მეუღლე ნანა ხუნდაძე, შვილი ვახტანგ წერეთელი, რძალი ქეთა ჯაფარიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დავით სალარიძის მეუღლის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გივი ჯაფარიძე ოჯახით დიდ მწუხარებას გამოთქვამს დავით სალარიძის მეუღლის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ლევან დოლიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დავით სალარიძის მეუღლის

ნატა თათარაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ღიმილის დოზა



**სამხედრო** მეცადინეობის დროს:

— რა არის, ჯარისკაცებო, ტანკი?

— აღგზნებული ტრაქტორი.

***

**მეცნიერული** განსაზღვრა ცნებისა „ცოლი":

ეს არის ოჯახში მომუშავე აგრეგატი, რომელიც ყოველ ღამე უნდა დაქოქო.

***

**სოფლის** „ზაგსში" მივიდა ქალი აღრიცხვის წიგნში შვილის ჩასაწერად.

— მამის სახელი? — ეკითხება რეგისტრატორი.

— ჩერნოვკელი ვასკა.

— რა საინტერესოა! — ალაპარაკდა რეგისტრატორი, — გასულ კვირას სოსნოვკელმა ზინკამ, მანკამ ვოლობუიდან და მიტიავკელმა ფროსიამ იგივე განმიცხადეს... ახლა თქვენც ბავშვის მამად ჩერნოვკელი ვასკა დაასახელეთ... გამაგებინეთ, რა ხდება!

— რა ხდება, და, — ვასკას ველოსიპედი აქვს.

***

**რუსეთელმა** იხტიოლოგებმა, როგორც იქნა, გაშიფრეს დელფინის ხმა, რომელმაც ადამიანი გადაარჩინა:

— ხელი გამიშვი, შე იდიოტო!

## გამოფენა

# ახალი ტექნოლოგიები — ფოტოგრაფიის სამსახურში



**სრულიად** ახალი ტექნოლოგია ფოტოგრაფიაში მყარად მკვიდრდება ცივილიზებულ ქვეყნებში. ციფრული ფოტოაპარატებით გადაღებული კადრები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რადგან ამ შემთხვევაში გამოირიცხება ფირის გამოყენება და, აქედან გამომდინარე, შემდგომი ოპერაციები — გამჟღავნება, ფოტოქაღალდზე დაბეჭდვა და ა. შ.

ციფრული ფოტოაპარატის მფლობელი აფიქსირებს კადრებს სპეციალურ მოწყობილობაზე, რომლისგანაც კომპიუტერის ეკრანზე ღებულობს გამოსახულებას, მას კი ჭკვიანი მოწყობილობა იმახსოვრებს.

ჟურნალ-გაზეთების მესვეურებს შეუძლიათ სწრაფად გადაიტანონ სასურველი კადრი (კადრები) თავიანთ ფურცლებზე, ამობეჭდონ ცალკე სურათებად და ა. შ. ხელ-ფეხი ეხსნებათ ფოტოგრაფებსაც. მათ შეუძლიათ სწრაფად მიიღონ ნებისმიერი ფორმატის ფოტოები.

ციფრული სისტემის გამოყენებით გადაღებული კადრები გამოირჩევა მაღალი ხარისხით...

ახალმა ტექნოლოგიებმა შემოაბიჯა ჩვენს ქვეყანაშიც. ამის დასტური გახლავთ ციფრული ტექნოლოგიით გადაღებული ფოტოსურათების გამოფენა, რომელიც ახლახან გაიხსნა ფურცელაძის ქ. 11-ში, „თავადაზნაურთა საგვარეულო ოფისში". გამოფენის სპონსორია ასოციაცია „ფოტოსამყარო", რომელიც სულ სამი თვეა რაც დაარსდა. როგორც გამოფენის გახსნაზე მოსულ საზოგადოებრიობას „ფოტოსამყაროს" მარკეტინგის მენეჯერმა სოფო თავხელიძემ განუცხადა, ასეთ სერვისს ისინი სთავაზობენ ფოტომოყვარულებს თუ პროფესიონალებს.

მიბრძანდით ციფრული ფოტოაპარატებით გადაღებული ფოტოების გამოფენაზე. იქ იხილავთ ახალი ტექნოლოგიების დიდ სიკეთეს!

**ნანა სულავა.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.





## კრიმინალი

# ვერსიები, ვერსიები...

**თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის სამხედრო ბაზიდან 13 სატანკო ტყვიამფრქვევისა და 24 რადიოსადგურის გატაცების საქმესთან დაკავშირებული გამოძიება დასასრულს უახლოვდება, – აცნობა პარასკევს პრაიმ-ნიუსს საქართველოს მთავარმა სამხედრო პროკურორმა გიორგი ჯიქიამ.**

მისი თქმით, ვაზიანის ბაზის სამი ოფიცერი უკვე დაკავებულია და სავარაუდოდ ახლო დღეებში ახალი დეტალები გამოქვეყნდება, რასაც შესაძლოა სასჯელაღმჯეთი ღონისძიებები მოჰყვეს.

მისი თქმით, ჯერჯერობით, გატაცებული იარაღი და რადიოსადგურები ნაპოვნი არაა.

ჩეჩნეთში იარაღის გაყიდვის ვერსიას „არსებობის საფუძველი აქვს", – აღნიშნა გიორგი ჯიქიამ.

მისი თქმით, გამოძიება რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობის ვარიანტსაც ამუშავებს, კერძოდ, ინციდენტი „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ნატოს მრავალეროვნული სწავლებების ვაზიანში დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა და შესაძლოა ამ ღონისძიების ჩაშლას ითვალისწინებდა.

პრაიმ-ნიუსი.

## განცხადება

# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების და ტვირთების დაცვის სამმართველო, საიდენტიფიკაციო კოდი № 202924005 მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, საფოსტო ინდექსი 380012, აცხადებს ტენდერს ოთხი ცალი მსუბუქი ავტომანქანის შესყიდვაზე. 1) 2 ავტომანქანის მოკლე აღწერილობა: გამოშვების წლები – 1993-96, ძარის ტიპი – სედანი, გაბარიტული ზომები – მინიმუმ 4700/1700/1400, ძრავის ტიპი – ბენზინიელექტრო შეურქევის სისტემით, ძრავის სიმძლავრე – 120-195 ცხ/ძ, ცილინდრების რაოდენობა – 4-6, საწვავის ხარჯი – საშუალოდ 10-15 ლიტრი 100 კმ-ზე. 2) 2 ყველგანმავალი მსუბუქი ავტომანქანის მოკლე აღწერილობა: გამოშვების წლები – 2002, გაბარიტული ზომები – მინიმუმ 3700/1800/1600, კარების რაოდენობა – 3, ორხიდიანი 4X4, ძრავის ტიპი – ბენზინი, 4-ცილინდრიან კარბურატორზე, ძრავის სიმძლავრე – 70-90 ცხ/ძ, საწვავის ხარჯი – 8-14 ლიტრი 100 კმ-ზე.

შესასყიდი საქონელი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებს ГОСТ 25478-91 და შეესაბამებოდეს მოთხოვნილ ტექნიკურ მახასიათებლებს, შესყიდული საქონელი **DDP** პირობით მოწოდებულ უნდა იქნეს მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15 (საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის შენობა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების და ტვირთების დაცვის სამმართველოს ოფისში, გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

საკვალიფიკაციო მონაცემების მიღება ქართულ ენაზე დაიწყება 2002 წლის 27 აგვისტოს და დამთავრდება არა უგვიანეს 2002 წლის 30 აგვისტოს 18 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების და ტვირთების დაცვის სამმართველოს შტაბის უფროსის მოადგილე ოთარ ლოლაძესთან.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" თანახმად, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

◆ რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

◆ სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ (პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);

◆ ცნობები რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების, სანაციის და ყადაღის დადების საქმეთა არარსებობის შესახებ (შესაბამისად, პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან და საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

◆ ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

◆ ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებიდან);

◆ ცნობა, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

◆ ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (პირის საცხოვრებელი ადგილის რაიონული სასამართლოდან)

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად და დაიშვება შესყიდვაში შემდგომი მონაწილეობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი ყალბი არ აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის 500 ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ 04.09.02-დან 09.09.02-ის 18 სთ-მდე, მისამართზე: <u>**ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15 (საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის შენობა), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების და ტვირთების დაცვის სამმართველო, მე-4 სართული.**</u> სატენდერო წინადადებების გახსნა, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, მოხდება 2002 წლის 13 სექტემბერს დღის 15 სთ-ზე, პრეტენდენტი პირების თანდასწრებით.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და პაკეტის გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი ან ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

ზემოთ აღნიშნული შესასყიდი საქონლის თითოეული პოზიციის გათვალისწინებით ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

<u>**ყველა სახის ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსს ბ-ნ ოთარ ლოლაძეს მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15 (საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის შენობა), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტების და ტვირთების დაცვის სამმართველო, მე-4 სართული, ტელეფონი: 99-37-22; 99-37-34; 99-47-78.**</u>

## ცოდნის სკივრი

**მაგნეზიტის** მოპოვებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ავსტრია.

ალუმინის წარმოებით კაპიტალისტურ სამყაროში პირველ ადგილზეა აშშ, მეორეზე – კანადა, მესამეზე – იაპონია, მეოთხეზე – ნორვეგია.

ყველაზე მეტ პირიტის მსოფლიოში იაპონიაში მოიპოვებენ. მეორე ადგილზეა ესპანეთი.

შავი ლითონის გამოდნობით მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოში პირველ ადგილზეა ლუქსემბურგი.

ნიობიუმის მადნის მოპოვებით ნიგერია პირველ ადგილს იკავებს კაპიტალისტურ სამყაროში.

ყურძნის მოსავლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა საფრანგეთი.

ყველაზე მეტ ფინიკს აწარმოებენ ერაყში.

თამბაქოს მოსავლით პირველობს – აშშ, მეორეზეა ჩინეთი, მესამეზე – ინდოეთი.

ზეთის წარმოებით მსოფლიოში პირველია მალაიზია, მეორე – ნიგერია, მესამე – ინდონეზია.

ვარდის ზეთის წარმოებითა და ექსპორტით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ბულგარეთი (1 ტონაზე მეტი წელიწადში).

კაკაოს წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა განა, მეორეზე – ნიგერია, მესამეზე – ბრაზილია.

***

შუა საუკუნეებში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ხანად 70 წელს გულისხმობდნენ.

***

**ცნობილი** გერმანელი ნატურალისტის ედუარდ პეპინგის დამოწმებით პუნჩებში (ჩილე) მისალმების ეტიკეტად მიღებულია თავის სამჯერ შეტრიალება ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ და კვლავ მარჯვნივ, თანაც მისასალმებელი სიტყვის „მარი-ს" სამჯერ შეძახილი.

## ტელევიზია — შაბათი, 10 აგვისტო

**1**

**08.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.10** მულტსერიალი "საბრალონი" **09.05** "მსოფლიოს ველური ბუნება" **10.00** "ცირკი" **11.05** "მხიარული კარუსელი" **11.30** დოკ. ფილმი "**მეხუთე განზომილება**" **11.55** "კვალი" **12.30** "საწინდარი" **13.00** "რეალური სამყარო" **13.20** "ენა დედაა ერისა" **13.45** "ზღვარი" **14.05** "ყველაფერი ქორეოგრაფიაზე" **14.35** "თქვენი უფლებები" **15.15** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მექსიკა - აშშ (განმეორებითი ჩვენება) **17.25** ვახტანგ ტატიშვილის იუბილე **19.00** "ვესტნიკი" **19.40** "დროშა" **20.25** "ქიმერიონი" **21.00** ფეხბურთი საქართველოს პირველობაზე, "ლოკომოტივი" - "მეტალურგი" **21.55** "ოქროს იერუსალიმი" **23.05** დოკ.სერიალი "**მეოცე საუკუნე**" **23.25** მეალომანია **00.15** მხ. ფილმი "**მიმი მეტალურგის შელახული ღირსება**"

**2**

**19.00** იყო და არა იყო რა **19.30** მხ. ფილმი "**ჯუნგლების მეომრები**" **21.20** დოკ. ფილმი **22.00** მხ. ფილმი "**ჭექა-ქუხილის ულეტეხილი**"

**რუსთავი 2**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **10.00** პოლტერგეისტი **11.00** მულტსერიალი **12.30** სერიალი "**ნიკიტა**" **13.30** მხ.ფილმი **15.20** სიმფსონები **16.00** მხ. ფილმი **18.00, 00.00** კურიერი **18.20** რუსული ფილმი **20.00** ჯეოპოპი **21.00** **კურიერი P.S.** **22.00** **ფსიქო**. მხ.ფ. "**სასტუმრო ამერიკა**" **00.15** მხ.ფ. "**მარტოხელა თეთრი ქალი**". მთ. როლებში ბრიჯიტ ფონდა, ჯენიფერ ჯეისონ ლი **02.00** ღამის ჯაზი

**იმედი**

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** ალსავალი **08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45** მუსიკა **08.30** მხ.ფ. "**სიკვდილის ბილმა**" **10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **10.25** საბავშვო სერიალი "**მხიარული არდადეგები**" **10.50** მხ. ფილმი "**შავი კატა, თეთრი კატა**" **13.10, 17.30** მულტფილმი **18.00** დოკუმენტური ფილმი **19.30** ჩანახატი **20.00** მხ.ფ. "**უკანასკნელი გამაკაცი დედამიწაზე**" **22.30** მხ. ფილმი "**ალფრედ დიდი**" **00.50** ღამის ფილმი

## განცხადება

*ტარდება სააქციო საზოგადოება „ქ. ფოთის მაცივარ კომბინატის" აქციონერთა კრება მ. წ. 31 აგვისტოს 12 სთ-ზე.*

მისამართი: ფალიაშვილის № 4.

1. საფინანსო სამეურნეო ანგარიშის წარმოდგენა.
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა.
3. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება.
4. ფოთის საგადასახადო ინსპექციის და ფოთის შინაგან საქმეთა დაცვის პოლიციისადმი დავალიანების საფუძვლის განაცხადი.
5. 2002 წლისათვის აუდიტის არჩევა.

„ფოთის მაცივარ კომბინატის" ადმინისტრაცია.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ ზოტიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბექა ჭელია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში რკინიგზის ჩიხი 20.